

K 13 234
4

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ
ବିହାର ପାତ୍ର

ବାଲି ଗୀତାରେଖା

ବାଲି ଗୀତାରେଖା
ମୁଦ୍ରଣ ପାତ୍ର
ବିହାର ପାତ୍ର



საქართველოს სსრ მიცნარებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ის განამდვივებელის სახლობის ისტორიის, არქეოლოგიის
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ИСТОРИИ,
АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ ИМЕНИ
И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



1967



Н. Н. УГРЕЛИДЗЕ

К ИСТОРИИ
ПРОИЗВОДСТВА
СТЕКЛА
В РАННЕСРЕДНЕВЕКОВОЙ
КАРТЛИ (ИБЕРИИ)



ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1967

ც ი ნ ღ მ ა გ ა ღ ი ლ ი ტ ე ბ ი

ა დ ა კ ე დ
შ უ ა ს ა უ კ ა ნ ე თ ა
ქ ა გ თ ლ შ ი
მ ი ნ ი ს
ნ ა გ მ რ ე გ ი ს
ი ს გ მ რ ა ი ი ს ა თ ვ ი ს

K 19. 234
4



ს ა მ ი პ ი ე მ ლ ი ბ ა „ მ ი ც ი ი რ ი ბ ა „
თ ბ ი ლ ი ს ი
1967

902.7(c)(=93.962.1) + 666.1(c922)(09)



902.7(C41)
902.7(47.922)+666.1(47.923)(09)
201

საქართველო
სპეციალური

მინიჭებული ქადაგი სტანდარტი

ნაშრომი ეყრდნობა ისტორიული ქართლის ა. წ. IV-VIII
საუკუნეთა სამართვებში აღმოჩენილი მინიჭებულის შესწავ-
ლას. მასში წარმოდგენილია: სათანადო სამართა ქრონიკი-
ური დანაწერება, მინიჭებულის კურკლის აღგილი სამარხეულ ინვენტრ-
ში, მისი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, ანალოგები (კვეყანი-
დან და სხვა ქვეყნებიდან); გარკვეულია კურკლის დაზიშნუ-
ლება, ხოლო თანხლები ნივთების დაშვრილებითი ანალიზის სა-
ფუძველი დადგენილია მისი ხნოვანება. საგანგებო თავი ეძღვნ-
ბა ას კურკლის ტექნიკის ტექნიკის საყითხს.

უკველივე მისი საფუძველი დადგენილია, რომ ქართლში და
უპირველეს ყოვლისა მის ტექნიკურ დადგენილებები მცხოვარი საკვლე-
ბანიში არსებოւლა მინიჭებულის კერძობა.

ნაშრომი განკუთვნილია საერთო ისტორიკოსებისა და კერ-
ძოდ კულტურის ისტორიკოსებისათვის.

1-6-2

114-1967 აღგ.

15983 NO: 19.11.58.

2612

1-19

১৯৬১৪৮৩০

სადღეისოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული უცველესი მინის ნოვობი (მძიები) ოღმოჩენილია მესხეთში, ამირანის გორაზე გათხრილ სამარხებში და შიდა ქართლში (ურბნისთან), ქვაცხელების ნომისახლარჩევ¹. ეს ძეგლები ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება და მიეკუთვნება ნივთიერი კულტურის ისტორიის იმ საფეხურს, როდესაც ადგინანი თანადანან ეცულება სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიას². ვარა უღობენ, რომ იმ საწყის საფეხურზე მეტალურგია და მინის კეთება ტექნოლოგიურად დაკავშირებული იყო ერთ-მეორესთან, რადგან ორივეს დაზიანება მოითხოვს სათანადო ცეცხლგამძლ ჭურჭელს და მაღალ ტემპერატურას³.

კავკასია და კერძოდ საქართველო მეტალურგიის ერთ-ერთი აღრეული კერა და შევებილია ვიზუალო, რომ მასთან ერთად მინის წარმოება აქვთ ისევე ძველი საწყისის მქონეა. ეს მოსახურებას საბაზულებს უზრბინში აღმოჩენილი მინის მდივები: ზოგი მათგანი ლითონის ცეკვძოდ, სპილენძის პოლიტერალური მარნის) წილისაგან არის ნაკეთები¹.

კავკასიაში ძევლი მინის წარმოებსთან დაკავშირებით საყურაღლებოა ფლინფერს პეტრის მოსახრება: მისი აზრით, უჭერელესი მინის ნივთები ნაკეთებია მესოპოტამიის ჩრდილო რაიონში და იქნებ კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც — კავკასიაში. სადაც მინის საწარმოო ცენტრები უფრო აღრე არსებოდნა, ვიდრე სხვა ქვეყნებში და, კრძოლ ეგვიპტეში. ფლინფერს პეტრის აზრს იზიარებს ე. ბერეგერი, რომელიც აგრძელებს თულის ჩრდილო მესოპოტამიას ან კავკასიას მინის ძევლ საწარმოო ცენტრებაზ.

ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, ანგარიშგასაშეუვი უნდა იყოს.

მომღერალი სანის, ძვ. წ. II ათასწლეულის ქადაგიდან აღსანიშნავია თრიალეთისა და დმანისის ყორანებში აღმოჩენილი მრავალტექსოვანი და-

¹ ტ. ჩუბანიშვილი, მირანის კორა, თბ., 1963, გვ. 61—62, ტ. X; ალ. ფაზაშვილი, ლ. ლეონტიევი, ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 47, ტ. XXXIV.

² က. နာဖူရာရိတ္ထု, အောက်ဖော်လုပ်ခံများ၏ ပညာပိုင်ဆောင်ရွက်ခြင်း၊ နှစ်မီးပါဝါး၊ အကျဉ်းဆောင်ရွက်သွေး၊ စာ., 1961; ပ. နှေ့ပိုင်ခွဲခွဲ၊ ပ. ယောက်ပြုလွှာ၊ နှစ်မီးပါဝါး၊ ၁၉၆၁-၁၉၆၃ခွဲခွဲ၊ ပ. လွှဲ။ အောက်ဖော်လုပ်ခံများ၏ နှစ်မီးပါဝါး၊

³ А. Безбородов, Стеклоделие в древней Руси, Минск, 1956, стр. 3; 6. ҃ 8-
р 2 0 0 6 г, №66а фрагм. №250-251, №252-253.

ବ୍ୟାକ ପାଇଁ, ସାହିତ୍ୟରେଣ୍ଟ ଉଦ୍‌ସ୍ଵରୂପ ମନ୍ଦିରରେ ଶୈଖିତ୍ୟଲିଙ୍ଗରେ, ଅଧ., 1964, ୩୩- ୧୦—
୧୫.

⁵ Flinders Petrie, Glass in the Early Ages, Journ. Soc. of Glass Technology, vol. X, № 39, 1936, pp. 229-234.

⁶ E. Berger, Glasbereitung und Glas-Rohstoffgemenge vor zweitausendfünfhundert Jahren. Glästechnische Beiträge, Bd. S. H. 4, 1937, S. 160-166.



მრავალფეროვანი მინის მძიები⁷, საყურადღებოა აგრეთვე წალკის იმატრიცული, XVII ყორლაში აღმოჩენილი ოქროს ქუსლიანი სასმისი⁸. რეპრესული მორჭვილია ფერად თვლებით: ნარინჯისფერი სარდიონითა და ცისფერი შინით. აღნიშნულ ღრუშების ძვირფასი ქვების მიბაძვით ხელოვნური თვლების დამზადება მინის ტექნოლოგიის დიდი ცოდნის მანძნებელია. ექვე უნდა ითქვას, რომ ეს თასი, ისევე როგორც თრიალუთის, დამასისის და იმავე ღრიას სხვა სამარხებში აღმოჩენილი ნივთები (ოქროს, ვერცხლის, თიხის კურჭელი და სხვ.) მომხმარებელი საზოგადოების კულტურის და ხელოსნობის მაღალი ღონის მაჩვენებელია⁹.

ძვ. წ. I ათასწლეულის შუა სანის სამარხებში ხშირია სხვადასხვავარი მინის მძიები და ფერადი თვლები. ამთა დიდი უმრავლესობა ხსიათდება ნაერთობის რთული ტექნიკით (ოქროთფერილი, ვერცხლითფერილი, ინკრუსტირებული და სხვ.)¹⁰.

ძვ. წ. IX — VI ს. სამარხებში გვხედება უკვე მოქიეული თიხის კურჭელიც. კიქური, როგორც ცნობილია, შეიცავს ყველა იმ კომპონენტს, რასაც მინა და ამდენად ჩვენოვის საყურადღებოა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მოქიეული კურჭლის წარმომავლობის საკითხიც. მოქიეული კურჭელი აღმოჩენილა თრიალუთში და მცხეთ-სამთავროს სამაროვაზე¹¹.

სამთავროს სამაროვაზე აღმოჩენილი მოქიეული კურჭელი ზედმიშევნით მსგავსია იქვე ნაბოჭი, უდაოდ ადგილობრივი შა-ლეგა თხის კურჭლის ზოგიერთი ფორმისა და ამდენად სასებით გასაზიარებელია ალ. კალანდაძის მოსაზრება, რომ იგი მცხეთაში მზადდებოდა. რაც შეეხება მინის კურჭელს, ის ძვ. წ. I ათასწლეულის სამარხებში იშევათის: სადღეისოდ აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ორი კურჭელია ცნობილი¹². ამათგან ერთი—ალგეთის ხეობაში, სოფელ წინწყაროში 1940 წელს აღმოჩენილ სამარხეში ნაპოვნი მოყვითალო მინის ფიალა¹³, მეორე — 1947 წელს წალკაში გათხრილ აქემე-

7. Б. Куптии, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр.78; გ. გ. გ. ა. ძ. ე., თრიალეთის შეაბრიჭანის ხანის კულტურის პერიოდისაცის საქართველოს (ხელნაწერი საქ. მუ. წინაველი). ხანის არქ. განყოფილებაში; ი. გ. ფ. ა. რ. ი. ძ. ე., დამასისის არქოლოგიური ექსპელიციის გათხრების ანგარიში 1959—60 წ.

8. Б. Куптии, დასახელებული ნაშრომი, ტ. XX, გვ. 275.

9. ი. გ. ა. ფ. ა. რ. ი. ძ. ე., და. ნაშ.

10. გ. გ. ბ. ე. ჭ. ვ. ი. ლ. ი., რავის არქოლოგიური ექსპელიციის ანგარიშები, 1950—1952 წ. (ხელნაწერი დაცულისასტ., არქ. და ეთნ. ინსტიტუტის არქივში); კ. თ. ლ. ლ. დ. ა. ვ. ა. მასალები ქორთლის სამუშაოს ისტორიისაციი ძვ. წ. III—I ს. მასალები საქართველოს და ძავაცისის არქოლოგიისათვის, ტ. III, 1963, გვ. 152.

11. Б. Куптии, დასახელებული ნაშრომი, გვ. 275, ტ. XX. პ. კუჭურინი იყენებს საკოსს მოქიეული კურჭლის ადგილობრივის შესახებ. ი. კ. კ. ა. ლ. ა. ნ. დ. ა. ძ. ე., სამთავრო. ორმოსამარხებში აღმოჩენილი მოქიეული თხის კურჭელი (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნ. ინსტიტუტის არქივში). სამთავროს სამაროვაზე მოქიეული კურჭლის აღმოჩენის ფაქტს აღნიშნავდა ფ. ბოტრინი. Untersuchungen über die ältesten Gräber-und Schatzfunde im Kaukasien, herausgegeben und mit einem Vorwort versehen von R. Virchow, ZE, 1885, Supplement.

12. დასავლეთ საქართველოში კ. აღნიშნული ღრუშის ათიადე გინის კურჭელია აღმოჩენილი, ყველა ერთი ტაბიასა, კ. წ. ფინიური სანდლაცხებლევებია. იხ. გ. გ. ბ. ე. ჭ. ვ. ი. ლ. ი., ნაშრ. Н. Хостария, Археологические раскопки в Вани, კუკასიურ-აღმოსავლეთ კურჭელი, II, თბ., 1962, გვ. 65—75.

13. Б. Куптии, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53, ტ. VIII.



ნიდური ხანის სამარხში აღმოჩენილი შავი, გაუმჭვირვალე მინის ფრიად ჰქონდა თანამდებობა კეცური მოყვანილობის, სურნელოვანი სითხის შესანახი ცურველი¹⁴.

ხაზგასასმელია, რომ მინის ჩამოსხმული ფიალა დიდად ემსგავსება იმავე ხანის, ე. ი. VI—V საუკუნეთა ახალგორულ, ვანურ, ყანჩეთურ ვერცხლის ფალებს და აშკარად მათი ან მათნაირის მიბაძეოთ არის ნაკეთები¹⁵. რაც შეეხება შავი, გაუმჭვირვალე მინის სანელსაცხებლის წარმომავლობას, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალაში და ლიტერატურაში მსგავსი ცურველი არ შევვხედრია.

ჩვენი ვარაუდით არანაკლებ საყურადღებოა საქართველოს ტერიტორიაზე, ძვ. წ. V—I სს. სამარხებში აღმოჩენილი ლურჯი მინის მრავალწესანაგა, პარალელური მოყვანილობის საბეჭდავები, რომელთა წახნაგებზე ცხოველები და ნადირობის სცენებია გამოხატული. მ. მაჭისმოვასა და მ. ლორთქიფაინის აზრით, ეს საბეჭდავები ადგილობრივ არის ნაკეთები¹⁶. ჩვენ დასძნდით, რომ საბეჭდავები, ვარდა იმისა, რომ მცირე ხელოვნების პირველხარისხოვანი ნიმუშებია, კარგი ხარისხის ლურჯი მინისგანც არის ჩამოსხმული. ახ. წ. I საუკუნიდან მოყიდებული, მინის ნაწარმი (მიმვები, საბეჭდავები, ფერადი თვლები და სხვ.), ჩანს, ფართო მოხმარების საგანი ნდება საქართველოში, ხოლო მინის ცურველი — უკვე ჩვეულებრივი კომპონენტი სამარხეული ინვენტარისა (მცხოთა ურბნისი, ავეჯალა, გორი, კლდევთი, ბორი და სხვ.)¹⁷. როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც მინის მასობრივ წარმოების ხელს შეუწყობდა ძვ. წ. I ათასწლეულის მიწურულში მომხდარი დიდი გარდატეხა — მინის წარმოებაში საბერავი მილის გამოგონება. როგორც ცნობილია, საბერავი მილი ქმნის ახალ ეპოქას მინის ინდუსტრიაში, რაღაც, ვარდა იმისა, რომ იგი ნაკეთობის ფორმის, ზომისა და კედლების სისქის მხრივ დიდ შესაძლებლობას ანიჭებს ოსტატს, ხელსაყრელსა ხდის ცურვლის წარმოებას. ამიტომ არის, რომ იმ ღროიდან მოყოლებული, მინის ცურველი ფართოდ უცცელდება არა მატრიტ რომის იმპერიაში, არამედ საერთოდ მაშინდელ დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც კი მოიპოვებოდა მინის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის საპაროები.

როგორც უკვე ითქვა, ახ. წ. I საუკუნიდან მოკიდებული, აღმოსავლეთ საქართველოს¹⁸ სამარხებისათვის მინის ცურველი ჩვეულებრივი ნივთია. ე. წ.

¹⁴ Б. Кутини, Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе, Тб., 1948, стр. 89, рис. 8. აღსანიშვანია, რომ ამ ნიერის შესახებ ბ. კუტინი გადატრია არა ამბობს მის ვარაუდი იგი ან მარათის ტრი, ან სანელსაცხებლე ცურველია. ჩვენ უპირატესობას უკანასკნელს ვანიებთ.

¹⁵ Я. Смирнов, Ахалгорийский клад, Тиф., 1934, стр. 34—47, табл. XIII, XII; Н. Хостария, Серебряные фиалы из Вани, Даблагоми и чаша алгетского клада, (ხელნაწერი ისტ. არქ. და ეთნ. ინსტ., არქივშ); ი. გ. გ. თ. მ. ძ. ე, აღრავნებური ხანის ქველები ქსნის ხელითან, თბ., 1964, გვ. 72—74. ალგეთის მინის ფიალთან დაკავშირებით საყურადღებო ნ. ხოშტარიას აზრი: იგი ვალია, ისევე როგორც იმავე დროის ცურცხლის ფიალებს, აღვილითობივ ნაწარმად მიიჩნევს (ნ. ხოშტარია, დასახ. ნაშრ.).

¹⁶ М. И. Максимова, Стеклянные многоугольные печати, найденные на территории Грузии, „ენამის მომავა“, X, 1941, № 91—92; მ. ლორთქეთ ფ. ფ. ა. ნ. ძ. ე, გვანჯემენიდებური ხანის მცენერების საბეჭდავების მიზრული პირები, ლურჯი მინის მრავალწანაგა საბეჭდავები, „საქ. მეც. ავალ. მომავა“ № 6, 1963, გვ. 134—154.

¹⁷ 6. უ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე, მინის წარმოების ქველები (გვიანაურული ხანიდან აღრეველია-ლური ხანის ჩათვლით). (ხელნაწერი დაცული ისტორიის, არქ. და ეთნოგ. ინსტიტუტის არქივშ).

¹⁸ ნაშრომის სათავრის შესაბამისად, მეტად შემოიფარგლებოთ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ძველი ქართლის სამურავის ფარგლებში მოპოვებული მინის ცურვლით.



გვანანნტრიულ სანაში (I—III ს.ს.) ქართლის ორ დიდ ქალაქში, მცხოვრილი და უჩნაბისში, ხელოსნობის სხვა დარგთა შორის მინის წარმოებაც არის უძველესი და უჩნაბის, ხელოსნობის ნაქალაქარის თხრის დროს ნაპოვნია მინის ზოღება, რაც იქაურ სამარხებში მრავლად აღმოჩენილ ჭურჭელთან ერთად, მინის აღგილობრივ წარმოებაზე გვაფექტრებინებს¹⁹. დროის ვა მონაკვეთში მინის ჭურჭელის ფორმების დიდი უმრავლესობა მსგავსია საყოველთაოდ ცნობილი, ე. წ. რომაული ფორმებისა. მათ შესწავლა ცხადყოფს იმ გაცხოველებულ სავაჭრო-ტრულ ურნულ ფორმების მიბაძიოთ აქ დამზადებულ ჭურჭელი²⁰. ამის მაგალითით 1939 წ. სამთავროს სამართვაში 89-ე ორმოსამარხში აღმოჩენილი უცხოური ფორმის (სირიული) ამფორისკენ, რომელიც შეკრად წუნდებულია, მაშასადმე შემოტანილი არ უნდა იყოს. ანალოგიური დაკვირვება მოეპოვება დ. ქორიძეს ურნაბისში აღმოჩენილ I—III-ს. მინის წუნდებული ჭურჭელის შესახებ²¹. ამრიგად ყოველი შემოთქმული თითქოს საკმარის საბუთი იმისა, რომ უკვე I—III და მით უმეტეს IV—VIII ს. ქართლის სამართველოში აღმოჩენილი მინის ჭურჭელის უმრავლესობა მივიჩნიოთ საქართველოშივე ნაერთებად, ძველი საწყისების მქონე, ადგილობრივ განვითარებული მინის წარმოების ნაყოფად.

მცეთა-სამთავროს სამართვის IV—VIII ს. სამრხები მინის ჭურჭელის სიმრავლით გამოიჩინა კავკასიაში დღემდე გათხრილ იმავლროცლ სამართვენებში. ამიტომ, აღრეულ შუასუუკუნეთა ქართლში მინის წარმოების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიშვება სწორედ სამთავროში აღმოჩენილ მინის ჭურჭელს. ხაზგასამელია აგრეთვე, რომ ეს სამართვანი წლების განმავლობაში სისტემატურად, მეცნიერულ დონეზე ითხრებოდა საქ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ²². (ექსპედიციის ხელმძღვანელები 1938—1941 წლებში აჭ. განსკ. მ. ივაშჩენკო და ა. კალანდაძე, ხოლო 1946 და მომდ. წლებში ალ. კალანდაძე)²³.

¹⁹ გ. ლ. მ. თ. ა. თ ი ძ. ე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I—III საუკუნეებში, „ისტორიის ისტორიული შრომები“, 1, 1955, გვ. 352; ურნაბის ნაქალაქარის არქოლოგიური ძალების დასწავლი, „მაცნე“, 1964, № 3, გვ. 99—100; ნ. უ. გ. რ. ლ. ი ძ. ე, მინის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში (ურნაბის მასალები მიხედვით), ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგ. ინსტ. არქივში; დ. ჭ. ი ღ. ღ. ა შ. ვ ი ღ. ღ. ნ. ნაკადების ურნაბი, თბ., 1964, გვ. 57; დ. ჭ. ი რ. რ. ი ძ. ე, ურნაბის სამართვანის (XXV უბანი) აღმოჩენილი გვანანტრიული ძეგლების პერიოდზეცისთვის (ხელნაწერი. საქ. სახ. მეზეულის წინაფერდ. არქეოლოგიის განცალკევების არქივი).

²⁰ О. Лордкипаниძე, Ремесленное производство и торговля в Мцхете в I—III вв. //, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 65, 1957.

²¹ ნ. უ. გ. რ. ლ. ი ძ. ე, მინის წარმოების ძეგლები (გვანანტრიული სანიდან აღრეულდალური სანის ჩათვლით), ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგრაფ. ინსტიტ. არქივში.

²² დ. ჭ. ი რ. რ. ი ძ. ე, დასახ. ნაშრ.

²³ ამიტომ გმოვრცხავთ ბაურნისეულ მასალის, რომელიც დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში, ერმობაზში და მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, რაღაც მაში ნივთები განცალკევებულია და სამარხოს კომპლექსების დაცვის აზ. ხერხებით.

²⁴ ლ. კალანდაძემ ჩვეულებისმგრ თავისინდ დაგვითოთ შესასწავლაზე მის მიერ გათხრების მონაცემების მიხედვით და ხელ შევეიშუ ამ მასალის შესწავლაში, რისთვის დაც და მაღლობას მოვახსენებთ.



ყოველი მკვლევარი, რომელიც კი შეხებია სამთავროს სამაროვნის აქტორთან დაუკავშირდება, ის გამოიყენება საინტერესო მინის კურტილის მრავალრიცხვანებას და ფორმათა მრავალფეროვნებას.

სამთავროს მინის კურტილის თვისისტურ ფორმებს ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ფ. ბაიერნმა²⁵, რომელმაც ამ სამაროვანზე მოპოვებული ტანშეხორკლოი მინის სანელსაცხებლები დაუკავშირა ძეველ მცხოვაში ვითომც არ-სებულს ჰერკულესის კულტს.

მცხოვაში ჰერკულესის კულტის „არსებობის დასადასტურებლად ფ. ბაიერნი იშვრლიებდა აგრეთვე მის მიერ სამაროვანზე აღმოჩენილ, ისტური მინის კურტილს²⁶, რომლის ვერცხლის ბუდეზე გამოხატული სურათები მან ჰერკულესის ორმეტიდან სამი გმირობის ამსახველ სცენებად მიიჩნია. მაგრამ უკვე მისმა თანმედროვეებმა, სტეფანიმ და ტიშენგაუზენმა გააკრიტიკეს ბაიერნის მოსაზრება და დაასკვნეს, რომ იქ მხოლოდ ნაღირობის სცენაა გამოხატული²⁷.

სამთავროს მინის კურტილი არც ს. და პ. უვაროვებმა დატოვეს უყურადლებოდ. ისინი აღნიშნავენ, რომ სამთავროს სამარხების გარკვეულ ჭარუში მრავლადა მინის „საცრუმლები“ ანუ კურტილი, რომელიც ზოგჯერ მინია-ტურული ზომისა და რომელთაგან ზოგს ტანი შეხორცილი აქვს, როგორც თიხის კურტილს²⁸.

მესამე ავტორი, რომელიც ეხება სამთავროს მინის კურტილს, არის ფ. მურიე—ნაზრომში „ხელოვნება კავკასიაში“²⁹. ამ საკითხზე ავტორს რამდენიმე სტრიქონი მინისათვის აქვს დათმობილი. იგი წერს, რომ მინა, როგორც ჩანს, კავკასიში ადრევე იყო ცნობილი, რადგან იმ სამარხებში, რომელიც ბრინჯაოდან ჩუქაზე გარდაავალ ეპოქას მიეკუთვნება (!?), პოულონენ სანელ-საცემლებს („საცრუმლებს“); ეს მინა არ არის გამჭვირვალუ და ფერად მომწვანო-მოყვითალოა, რაც უნდა აისხებოდეს იმით, რომ მასში საგანგრებოდ ურჩევდნენ ზოგიერთი ლითონის უანგეულს, რომლებიც დიდი რაოდენობით მოიპოვება მცხოვის, არავის, თერგისა და ახტალის ქვიშებშით. აუტორი აღნიშნავს, რომ კავკასიის მუზეუმში (თბილისში) დაცულია მინის კურტილის ამდენიმე ლამაზი ნიმუში, მოპოვებული სამთავროში. მათ შორის ის გამოაჩინეს ერთს, წითელს, წმინდან ყურების სანელსაცხებლეს.

ეს არის და ეს, რაც თქმულა სამთავროს მინის კურტილის შესახებ რევოლუციამდე არქეოლოგიაში, ძეგლის სისტემატური თხრისა და კლეივის დაწყებამდე. მცხოვა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი სამარხები და მათში დაცული ნივთები განხილულია ექსპედიციის ხელმძღვანელთა და მონაწილეთა ანგარიშებში, სადაც გარკვეული ადგილი ეთ-

²⁵ Ф. Б а й е р и, Исследование древних гробниц близ д. Мцхета, Сборник сведений о Кавказе, т. II, 1872, Тиф., стр. 330 и сл.

²⁶ კურტილი ერმიტაჟში დაცული.

²⁷ Л. С т е ф а н и, Объяснение некоторых художественных произведений, найденных в 1871 г. в Южной России, ОАК за 1872 г., СПб., 1875, стр. 143—147; В. Т и з е н-გ а у з е н, О древних могилах у Мцхеты, исследованных в 1871—7 гг. Байерном; Труды четвертого археологического съезда в России, т. I, Казань, стр. 53—64.

²⁸ С. А. и П. С. У в а р о в ы, Взгляд на Мцхетский могильник, Древности, Труды Моск. Арх. Общества, т. X, 1885, стр. 18—15.

²⁹ J. M o u r i e, L'art au Caucase, la poterie et la verrerie, Paris, 1907, pp. 105—114.



მობა მინის ჭურჭელსაც³⁰. ოვტორები იძლევიან სამთავროს მრავალფენიშებრუნველი მართვის დათარიღებას, რის შედეგადაც მინის ჭურჭელი გარევეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა. ცალკეული გამოკვლევებიდან აღსანიშვავია მ. ივაშჩენკოს ორი გამოუკვეყნებელი ნაშრომი: „1. Погребения Самтаврского могильника I-III вв. н/э;“ და 2. „Погребения Самтаврского могильника IV и последующих веков н/э“. ორივე ნაშრომში მინის ჭურჭელს შეავია ცალკე თავი, სადაც ავტორი იძლევა მის ტიპოლოგიასა და ხნოვანებას.

სამთავროს სამართვაზე მოპოვებულ მინის ჭურჭელთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე მ. მაქსიმოვას ნაშრომი „Геммы из некрополя Мцхеты — Самтавро“. ოვტორს განხილული აქვს 1938—39 წწ. თბერის შედეგად მოპოვებული გემმები, რომელთაც ათარიღებს მათთან ერთად ნაპოვნი მინის ჭურჭლის მიხედვით.

ჩაც შეეხება უნიკალური ზოგადს, სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მხარეს ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლის ნივთიერი კულტურის დახასიათებისას, ჩვენ ვეყრდნობთ შემდეგ ნაშრომებს: ს. ჯანაშიას „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ და „საქართველო აღრინდელი ფეოდალიზმის გზაზე“, („შემობი“, ტ. I, თბ., 1949); გ. ლომთათიძის — „Культура и быт Грузии IV — VII вв.“; „Очерки по истории СССР, III — IX вв.“. მ., 1958, гл. II, § 10 და „Некоторые итоги раскопок археологических памятников феодальной Грузии“, „Советская археология, XXVII“, 1957; ა. აფაქიძის, გ. გობეგოშვილის, ალ. კალანდაძისა და გ. ლომთათიძის — „მცხეთა“, I. (თბ., 1955); ა. აფაქიძის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ ქართლში“ (თბ., 1963) და სხვ.³¹.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ განხილული მასალა უმთავრესად ექსპედიციების მიერ გათხრილი სამარხებიდან მომდინარეობს და ამდენად მინის ჭურჭლის ხნოვანების დადგენა ხერხდება მათთან ნაპოვნი ნივთების შესწავლის საფუძვლში. ეს გარემოება მით უფრო ხაზგასმულია, რომ წინა აზიის მინის ჭურჭელი, განსაკუთრებით IV — VII საუკუნეებისა, თითქმის სრულიად შეუსწავლელია. მეორე მხრივ კი ამ ჭურჭლის ასაკის გარევევის საშუალებას მოგვცემს მათი შემცელი სამარხების ყოველმხრივი შესწავლა, სამარხის აღნაგობიდან ვიღრე საბარეში და ცულ ნივთთა ანალიზამდე. ჭურჭლის ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური შესწავლა დაადგენს აღნიშნული დროის მონაკვეთისათვის ტიპურ ფორმებს და შეაფახებს ხელოსნობის სათანადო დარგის ტექნიკურსა და მხატვრულ დონეს.

³⁰ ი. ვ. ჭავახიშვილი, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა, ბაზ. „ერთობისტი“, 1938, № 292; ს. ჭავახიშვილი, საქართველოს ძევლი ისტორიული ტელე-ბიის „ერთობისტი“, 1941, № 127; ა. ლ. კალანდაძე და ა. ე. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები (1938—39 და ომისშემდგომი წლები ისტ. ინსტ. არქივში); მ. ივაშენიშვილის „Отчет Мцхетской арх. экспедиции за 1938—41 гг. (ისტ. ინსტ. არქივში); გ. ლომთათიძის ანგარიში (ისტ. ინსტ. არქივში).

³¹ ა. აფაქიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVI—B, 1959, თბ., გვ. 121—174.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ა ლ ი

 ჩართლის ახ. შ. IV—VIII სს. სამაროვანია ჩრონოლოგიური
 დანაწევრებისათვის

ქრისტის სამაროვანებში IV საუკუნისა და მიმდევნო დროის, მინის ჭურჭელის შემცველი თუ სხვა მათი ონადროული სამარხების უმეტესობა ფილაქვითა ნავები. ამგვარი სამარხები დასაკრძალავი ნავებობის ერთი უძველესი ტიპია, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე კავკასიაში; ქრისტი საქართველოში ქვისამარხები ძალიან აღრე, ენეოლიტში ჩნდება — და მე-19 საუკუნემდე განაგრძობს არსებობას³². მაგრამ სამარხის ეს ტიპი საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირად გავრცელებული არ არის, და ბევრ ადგილს საქმით გვიან ჩნდება. ამის მაგალითია თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი და კერძოდ ჩვენთვების უნიშვნელოვანების სამთავროს სამაროვანი, სადაც ქვისამარხები შედარებით ფართოდ კრცელდება მხოლოდ ა. შ. I—II საუკუნეთა მიჯნაზე, კრატიტ-სამარხებისა და აგურსამარხების პარალელურად, და განაგრძობს არსებობას სამაროვანის დასასრულობდება³³.

I—VIII სს. ქვისამარხთა აღნაგობაში, დაკრძალვის წესსა და ინვენტარში თვალწალივ შეიმჩნევა თანდათანობითი ცვლილება. ეს გარემოება

³² Ф. Байерн, О древних сооружениях на Кавказе, Сборник сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1871, гл. 304; Д. Бакрадзе, О доисторической археологии вообще и о кавказской в особенности, Газ. „Кавказ“, 1877, №№ 99—132; П. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., 1900; G. Décachette, Manuel d'archéologie préhistorique celtique et galloromaine, т. I, Paris, 1910, гл. 399.; G. Contenau, Les tuiles en Asie Occidentale (1935—1936), Revue Archéologique, т. IX, 4—5, Paris, 1937, гл. 343; Б. А. Кутин, Археологические раскопки в Триалети, т. I, Тб., 1941, гл. 117; М. Ивашенко. Погребения питиахшей (устройство погребальных сооружений и способ погребения в некрополе питиахшей в Армази) (სადისერტაციო ნაშრომი, ისტ., არქ., და ეთნოგ. ისტ. არქეო); გ. ნიორა ძ. დ, დმინის ნეკრომოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, ხელ. სახ. მუშ. მოამბე, XIV—B, თბ., 1947, гл. 1—56; Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1949, ტაბ. 11; მცხეთა, I, 1955, თავი I; გ. გობეგიშვილი, რაჭის არქეოლოგიური ექსპლოიტი ანგარიშები, 1948, 1950—1952 წწ. (ხელნაშერები ისტ. არქ. და ეთნოგ. ისტ. არქეო); Е. Крупинов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, гл. 36, 178, 211, 252; თ. კაცარი გვ. კართველი ტომების ისტორიისთვის ლითონის წარმოშობის აღრესულ საფუძულებელი, თბ., 1961, гл. 223.; ტ. ჩუბინი გვ. კილი, ამირანის გორა, თბ., 1963, гл. 36—37; გ. ფაცარ გვ. კართლის ენეოლითი, თბ., 1963, гл. 72.

³³ სავანგებოდ უნდა იღინდონს, რომ სამთავროს სამთავროში თრი ქვათაგება სამარხი (№№ I და II, განხრით 1940 წ. და 1947 წ.) ბრინჯაოს ხანის ფენაში, არ ცულის ამ ტიპის სამარხთა გავრცელების ზემოაღნიშვნულ სურასს, რაღაც ამ ღრის სამაროვანისათვის საფლავის გაძაროვებულ ტიპს შეინკ ირმისამარხი წარმოადგენს.



შესაძლებელს ხდის მათ ქრონოლოგიურ დაგჭუფებას. ორგონულ ცნობილობაზე მცხოვრილი — სამთავროს, არმაზისახევისა და სხვა — სამაროვათა I—III ს. და IV—VIII ს. სამარხები³⁴. I—III ს. ქვისამარხები, IV—VIII ს. ქვისამარხებთან შედარებით უფრო გულმოდგინედ და ოსტატურად არის ნაგები: მთა გრძელი კედლების კიდევმხვ ამოღებულია „ნარიბანდები“, რათა ანიგი აედლები შიგ მჭიდრო ჩაჯდნენ; კედლები ერთმანეთთან კირითა შემტკიცებული; ძირი ხშირად მოილაქნებულია (კრამიტით, აფურით, ქვით); სამარხი გადახურულია ერთიანი ფილაქებით და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დროის შენოლობა ამ მონაკეთში გვედება, ორფერდსახურავინი ქვისამარხები³⁵. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ I—III ს. ფილაქებით ნაშენი სამარხები თითქმის უკლებლივ მდიდარ ან საქმაოდ შეძლებულ მიცვალებულებს ეკუთვნის³⁶. ეს გარემობა, სავსებით სამართლიანად. აუგიშებინებს მ. ივაშჩინის, რომ სამარხთა ეს ტუპი მცხეთაში, დროის აღნიშნულ მონაცემთში მისაწვდომი იყო მხოლოდ მოსახლეობის ზედა უკინისათვის³⁷. ეს მოსაზრება დასტურდება არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანის მაგალითითაც. ამ სამაროვანზე ერისთავთა სამარხები, უკლებლივ ყველა, ფილაქებია, ხოლ იქვე გათხრილი რამდენიმე კრამიტსამარხი, რომლებიც ზოგჯერ მიმსგავსებული, მაგრამ ყოველთვის ღარიბული ნივთების შემცველი იყო, გამთხრელთა აზრით, ერისთავთა დაქვემდებარებული და ეგებ სულაც მოსამსახურე პერსონალის სამარხებია³⁸. ამრიგად, მოსახლეობის დაბალი ფენა იმ სამაროვანზე არა მარტო ინვენტარის სიღარიბით გამოირჩევა ერისთავთა სამარხისაგან, არამედ სამარხის ტიპითაც.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი არ გამორიცხავს მდიდრული კრამიტსამარხების არსებობას, განსაკუთრებით I—II ს. სუსუნებში³⁹. საფიქრებელია, რომ ქვისამარხების აგება უფრო ძვირი ვდებოდა, ვიდრე კრამიტსამარხებისა და აგურსამარხებისა: საჭირო იყო ქვის ჩამოტანა, მისივე საგანგებოდ შემზადება (გათლა) და ფილებით აშენება. ყოველივე ეს კი, ალბათ, მეტ დროსა და ხარჯებს მოითხოვდა, ვიდრე მზადმზადული ნაწარმით, კრამიტით და აგურით სამარხების აშენება. თუ აქვე გავიხსენებთ სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ იბერიაში შენობები კრამიტით იყო გადახურული⁴⁰, რაც ამ საშენი

³⁴ ა. კალანდა ქ. მცხოვრის არქეოლოგიური ექსპლოიტის ჩრდილოეთის ჭავჭავის მიერ 1938 წ. წარმოგებული მუნიციპალიტეტისა (ხელნაწერი); M. Иващенко, Краткий предварительный отчет Самтаврской Южной группы Михетского археологической экспедиции (Цхалтенбехрский дагуруллю) с. სტ., არქ. დათხოვგ. იმსტ. არქივში; გ. ლომათა თა თ დ ქ, არქოლოგიური გათხრების საქართველოს ცველ დედაქალაქში, თბ., 1945, გვ. 39; ა. ა ფაქ ი ქ, გ. გ თ გ ფ ი შ ვ ი ლ ი, ა. ლ. კალანდა ქ. გ. ლომათა თ თ თ თ დ ქ, ა. ა ფაქ ი ქ, გ. გ თ გ ფ ი შ ვ ი ლ ი, ა. ლ. კალანდა ქ. გ. ლომათა თ თ თ თ დ ქ, ა. მცხეთა, I, თბ., 1955 ცვემოთ ეს ნაშრომი ყველაგან მულებდ ისენინგა: „მცხეთა, I“).

³⁵ M. Иващенко, დასახ. ნაშრ., „მცხეთა, I“, გვ. 15—21; ა. ა ფაქ ი ქ, დასახ. ნაშრ., გვ. 85—124; გ. ლომათა თ თ თ დ ქ, დასახ. ნაშრ., გვ. 39—41.

³⁶ დასახ. ნაშრ.

³⁷ M. Иващенко, დასახ. ნაშრ.

³⁸ „მცხეთა, I“, გვ. 131.

³⁹ ა. ლ. კალანდა ქ. მცხეთაში, მიმომხილვის ტ. I, 1949, გვ. 282; ა. ლ. ბორის ჩ. 1959 წ. აღმოჩენილი სამარხები მცხეთაში (იბერიტანიასახლები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V); სამთავროს სამაროვანზე 1938 წ. გათხრილი 63-ე კრამიტსამარხი, 1939 წ. 30-ე, 148-ე, კრამიტსამარხები და სხვ.

⁴⁰ თ. ყაუხინიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 127.



მასალის მასობრივი წარმოების მანიშნებელია; უნდა დავუშვათ, რუსეთურაული მისაწვდომი იქნებოდ მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის, როგორც უკავშირებული სხვათა შორის, სამარხის საშენი მასალაც.

როგორც ითქვა, IV საუკუნიდან მოკიდებული ქართლის დედაქალაქში (სამთავროს არმაზისხევის და სხვ. სასაფლაოებზე) ქვისსამარხები დასაკრძალვი ნაგებობის გაბატონებულ ტიპად იქცევა და, მაშასადამე მისაწვდომი გამხდარა მოსახლეობის საშუალო ფენებისათვისაც. აღნიშნული გარემოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ სამარხის ეს ტიპი, შედარებით კრამიტსამარხებთან და აგურსამარხებთან, უფრო მარჯვე ნაგებობას წარმოადგენს კოლექტური, თანმიმდევრული დასაფლავებისათვის, რაც ხშირდება სწორედ IV—VIII საუკუნეებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე დროს, არაერთგზის ვეცდიბით აღრეული ქვისსამარხების მეორედ გამოყენებას⁴¹. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სამარხის აგება არც დროის ამ მონაკვეთში ყოფილა იოლა საქმე. ამ ვითარებას აღასტრულებს სამთავროში ნაპოვნი, აქოლისის ეპიტაფია, რომელშიც ნათქვამია: „...თუ ვინმე მოინდომებს ჩვენთან ერთად (დასაფლავებისა?) ან (ჩვენი) ტომისა ან სხვა უცხოელი, პასუხს აგებს თვისი აღდგომისას“⁴². ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ მოელ რიგ შემთხვევებში ქვისსამარხების ასაგებად სამარხთა სტელებსაც ხმარობდნენ (იგივე ეპიტაფია, ებრაული ეპიტაფია სამთავროში, სერაფიტის ეპიტაფია და ერთენვანი წარწერა არმაზისხევში⁴³ და სხვ.). ეს კი, რა თქმა უნდა, საშენი მასალის მომჭირნეობას ნიშნავს.

სამთავროს სამარვონაზე გათხრილია ათასექვსასილდე ქვისსამარხი IV ს. და მომდევნო დროისა, მაგრამ დიდი უმრავლესობა ძალის ზედამიზულად ჩნდებოდა (ალაგ-ალაგ მიწის ზედამიზულები სახურავის ფილავევებიც კი მოჩნდა), ეს გარემოება კი ხელს უშესებდა თავის დროზე მათ მასობრივ ძარცვას, და მართლაც, ამ სამარხთა უმბავლესობა გაქურდულია⁴⁴. ეს ფრიად ართულებს მსჯელობას სამარხის ასაქშე, დაკრძალვის წესზე და დაკრძალულთა ქონებრივ შემძლეობაზე; მაგრამ, აქა-აი გაუძარცვავი სამარხებისა და მძრველებისაგან გადარჩენილი ან მათ მიერ უგულებელყოფილი ნივთების მიხედვით მაინც შესაძლებელია მეტ-ნაკლებად სწორი სურათის წარმოდგენა.

IV ს. და მომდევნო დროისა სამარხებში აღმოჩენილ ნივთთა უმეტესობა ნიტრანირი სამკაულით არის წარმოდგენილი: საკინძები, სამაჯურები, ბეჭდები, საყურები, ფეხსაცმლის აბზინდები, პატარა ბალთები, ღილები, ავგაროზები,

⁴¹ ა. კალანდაძე ქ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილო გვუფის მიერ 1938—39 წ. წარმოებული მუშაობის მიყლე ანგარიშა, 1940 (სტ. არქ. და ეთნოგრ. ინსტ. არქ.).

⁴² თ. კალანდაძე ქ. ბეჭდები, სამარხების ბაზები, 1951, გვ. 254.

⁴³ გ. წერეთელი, მცხეთაში ახალ აღმოჩენილ ებრაული წარწერა, „ნიმუშის“ მამებერ. ტ. V—VI, 1940, გვ. 49; გ. წერეთელი, არმაზის ბილინგა, „ნიმუშის“ მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942, გვ. 1—83; მცხეთა, I, გვ. 59—62.

⁴⁴ სურათის ისე დახლოენებული ამ საქმეში, რომ ხშირად ქვისსამარხები მთლიანად კი არ დაურღვევებათ, არამედ მხოლოდ სახურავის ერთ-ერთი ფილავეა მოუშორებით, ან ჩამოტეტევებათ სამარხის იმ ნაწილში, სადაც უფრო მისალოდნებილი იყო ნივთების პოვნა (კულ-მეტალის აზე, ზედ კილურები). მიტომ ქვედა კილურები ხშირად ხლუხლებელია ხოლმე. მეტწილად კი ძელუბი აყრილია და მოული სამარხის მოედანზე მიმორიცხული (ა. ლ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გ. ლომაზაობის თარიღისათვის (ხელნაშენის ასტრი, არქ. და ეთნოგრ. ინსტ. არქ.).

⁴⁵ ქურების ისე დახლოენებული ამ საქმეში, რომ ხშირად ქვისსამარხები მთლიანად კი არ დაურღვევებათ, არამედ მხოლოდ სახურავის ერთ-ერთი ფილავეა მოუშორებით, ან ჩამოტეტევებათ სამარხის იმ ნაწილში, სადაც უფრო მისალოდნებილი იყო ნივთების პოვნა (კულ-მეტალის აზე, ზედ კილურები). მიტომ ქვედა კილურები ხშირად ხლუხლებელია ხოლმე. მეტწილად კი ძელუბი აყრილია და მოული სამარხის მოედანზე მიმორიცხული (ა. ლ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გ. ლომაზაობის თარიღისათვის (ხელნაშენის ასტრი, არქ. და ეთნოგრ. ინსტ. არქ.).



მძივები, განვრეტილი მონეტები და სხვ. ერთი სიტყვით, სხეულისა და ქართული კულტურული მძივები მთავრობა საგნებია. ხელსაწყორისარალიდნ — მხოლოდ თითოეული განვითარებული რეანის დანა და ისრისპირა გაეჭვს. თინის ჭურჭელიც იშვიათია. სამართლი. მრავალდა ნაპოვნი მინის ჭურჭელი, რომლის უმეტესობა მცირე ზომისაა. ამ ჭურჭლის შესწავლასთან დაკავშირებით ჩენენ მოგვიდა მათი შემცველი სამარხების განხილვა უკველმიზრივ, სამარხთა აღაგობიდან მათი ინვენტარის ანალიზამდე. ამ მუშაობის შედეგი საშუალებას გვაძლევს წამოვაყენოთ მოსაზრება ქართლის IV—VIII სს. სამარხთა ქრონოლოგიური კლასიფიკის შესახებ.

სამთავროს სამარხები, ისევე როგორც ქართლს სხვა ამჟღაროული სამარხები, იყოფა ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად, რომლებიც ერთმანეთისაგან რიგი ნიშნებით გამოიჩინა. სამარხთა პირველი ჯგუფი IV—V სს. თარიღილება⁴⁵, მეორე VI—VIII სს⁴⁶.

სამთავროს სამაროვანზე IV — V სს. მნის ჭურჭლის შემცველ სამარხთა უმეტესობაც ქვისსამარხებია. მათ საშენ მასალად, ისევე როგორც II—III სს. სამარხებისათვეს, ქვიშაქვის მასიური, გათლილი ფილაქებია გამოყენებული. სამარხთა უმეტესობა შეკრულია ოთხი ფილაქებისაგან და მსგავსივე, ოღონდ ნაკლებად მასიური სამი და ზოგჯერ ოთხი ფილაქებით არის გადახურული. ძირი, როგორც წესი, მიწისა აქვთ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ სამარხთა ეს ჯგუფი აღნაგობით ერთი მხრივ უაღლოვდება II — III სს., მეორე მხრივ კი VI—VIII სს. ქვისსამარხებს. IV—V სს. ქვისსამარხებში ვსვდებით როგორც კარგად ნაგებ, ისე საქმაოდ დაუდევრად შეკრულ სამარხებს, რაც ასე დამახასიათებელია გვანდლელი სამაროვენებისათვის (იხ. თანდართული ცხრილები).

საყურადღებოა, რომ IV — V სს. ქვისსამარხების თანაღროულია ფილაქეთ გადახურული ორმოსამარხები (ასეთებია სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბნის 1938 წ. 24-ე ორმოსამარხი, 1939 წ. 111-ე და 243-ე ორმოსამარხები და სხვ. სამარხის ეს ტიპი სამთავროს სამაროვანზე უძრელესია და მისი ორსებობის თითქმის მთელ მანძილზე გვხვდება).

IV—V სს. სამარხებს უნდა მიეთვალოს აგრეთვე კედლებმოშენებული სამარხებიც. მათი კედლები ნატეხი ქვებით ამოყვანილი და თიხა-მიწით შემტკიცებულია. ზედ ახურავთ ორი-სამი ფილაქე (არმაზისხევი, სამთავრო) ⁴⁷.

ქვისსამარხთა აღნაგობაში ერთგვარი სიახლე შეიტანა 1946 წ. სამთავ-

⁴⁵ მცხეთა-სამთავროს სამაროვანზე IV—V სს. სამარხები, ერთი შეხედვით, თითქოს გაფანტულია VI—VIII სს. მრავალრიცხვოვან სამარხთა შრისი, შაგრამ დავითიშვილის აღილდა შეიძლება, რომ მათი უმეტესობა სამაროვნის ჩრდილო უბნის გათხრილი ფართობის შეუ ნაწილშია თაყმიურილი და ერცულდება ჩრდილოეთისაკენ. მიტომა, რომ ექვსცდიცის ცალკეულ კამპანიითა მიერ IV—V სს. სამარხებს სხვადასხვა რაოდენობითაა აღმოჩენილი. მათი უმეტესობა გათხრილია 1938—1939, 1946 და 1957 წლებში.

⁴⁶ ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინის წარმოების საკითხისათვის ძეველ საქართველოში, სადისერტაციის ნაშრომი, თბ., 1955, მთა-ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის კარსინის ანგარიშით თეზისები, სამეცნიერო სესია მიძღვნილ 1962 წ. საკუთრივად კალევა-ძების შედეგებისადმი; (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგრ. ინსტ. არქივიში).

⁴⁷ ი. კ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., მცხეთა, I, გვ. 135—145. სამთავროს სამაროვანზე 1939 წ. ჩრდილო უბანზე გათხრილ, ნატეხი ქვებით ამოყვანილი 124-ე ქვისსამარხის თარიღითა დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მას ზედ ეშვნა მთლიანი ფილაქებით ნაგები, 123-ე ქვის-

როს სამაროვნის ჩრდილო უბანზე გვუფად აღმოჩენილმა ქვისსამარხედმც კულტურული რომელშიც ჩადგმული იყო თიხის დიდრონი სარკოფაგები. მსგავსი ქულა გვისამარხედმც ფაგები ცნობილია აღაინიდან, უბრძნისიდან, საგურამოდან, ბულაჩაურიდან⁴⁸. ამ თავისებურ სამარხთა შესახებ აქ სიტყვას არ გვაგრძელებთ, რაღაც ეს ჩვენი კლევის საგანს სცილდება, ოლონდ აღნიშვნათ, რომ შიგ აღმოჩენილი ნივთები მთ ხნოვანებას IV—V სს.-ით განსაზღვრავს⁴⁹.

მეორე გვუფის, VI — VIII სს. მრავალრიცხოვან სამარხთა უშეტესობა უხევად გათლილი, მასიური ფილაქებით შეკრული ყუთებია. ამ ქვისსამარხთა კედლები და სახურავი ხშირად ფილაქების ნატეხით არის „დაკერძული“. დროის ამ მონაცემთი კარგდან ნაშენა სამარხი იშვათი გმონაჯლისია.

რაც შეეხება დაკრძალვის წესს, ამ მხრივ ზემოთ გამოყოფილი ორი გვუფის სამარხებში განმასხვავებელი ნიშნები ვერ დავინახეთ. მიცვალებული ჩეულებრივ ასვენია ზურგზე, უხეხვეგამართული, და პირისახთა აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ხელები ნებისმიერად უწყვია. ეს ძირი დამახასათხელი მდგომარეობა ხშირად დარღვეულია კოლექტიურ სამარხებში, სადაც, შექმნილი სივიწროვის გამო, აღრე დაკრძალული ძვლები კუთხებში ან კედლებობი მოხვეტილა, ან და მიცვალებულები ერთმორჩევა დასვენებული⁵⁰. ევე უნდა აღინიშნოს, რომ VI—VIII სს. სამარხებში უფრო ხშირად ვხვდებით კოლექტიურ დაკრძალვას.

რაც შეეხება ორივე გვუფის, IV—V და VI—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს, ისინი განსაუკირებით ცხადყოფენ ამ გვუფების ქრონოლოგიურ სხვადასხვაობას, მეგრამ მათ შესახებ აქ სიტყვას არ გვაგრძელებთ, რაღან ქვემოთ, მინის ჭურჭლის დათარილებასთან დაკავშირებით არაერთგზის მოგვიხდება თვითეულ მოგანაში შემატელი ნივთების დაწვრილებით განხილვა.

სამარხოს სამაროვანზე გათხრილ ქვისსამარხთა კლასიფიკაციის საკოთან დაკავშირებით საყურადლებოა მ. ივაშჩენკოს 1938—1939 და 1940 წ. საველე ანგარიში⁵¹ მოცემული ქრონოლოგიური დანაწევრება სამარ-

სამარხი, რაც უტყარი საბუთია მისა, რომ ეს უკანასკნელი უფრო გვიანდელია. სინტერესობა 124-ე ქვისსამარხის ასკის დაზუსტებისათვის მასში აღმოჩენილი მნის პატარა ჭრასთან უკანასკნელი ნატეხი, რომელიც ზედმიწვევით მსგავსია არმაზისევეს 43-ე ქვისსამარხში, კონტაქტულის 337—361 წეს. მონეტასთან ერთად აღმოჩენილი სანერლაცხებლის, რაც უფლებას გვაძლევს 124-ე ქვისსამარხში მოპოვებული ჭრასთან და მისი შეცვლილი მასრხეც იმავე ღროვო დაკოთარილოთ. არმაზისევეს ნატეხი ქვემით ნაშენ სამარხთა გვუფად გამოყოფა IV—V სს. სამარხები (ნ. უ ვ რ ი ლ ი ქ ე, არმაზისევეს გვიანდელი სამარხები, ხელაწერი, 1956, ისტ., აღქ., და ეთნოგრ. ინსტ., აღქვში).

⁴⁸ გ. ლომთათი ქ. უბრძნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კედლების დასაწყისი, „მაცნე“, 1964, № 3; ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი უბრძნისი, თბ., 1964, გვ. 88—90. აღსანიშნავია აგრძელება, რომ 1955 წ. ქვემით მიერ სოფ. ბულაჩაურთან გათხრილ იქნა კიდევ ერთი უინდური მსგავსი საკოფად.

⁴⁹ თიხის სახურავის თარიღობან დაკავშირებით საყურადლებოა სოფ. აღაინში (მდ. ქსან-ზე) აღმოჩენილ სარკოფაგი, რომელშიც ნაპონი იყო კონტაქტული ღილი (303—337 წწ.) და ნუმერიანის (280—284) მიბაძეთ მოცრავით მონეტები, ოქროს ბეჭედი და სხვ. ის. მაკალა ათ თ ი ა, არქეოლოგიური აღმოჩენი საქართველოში, საკობინში, დაბლა გომში და აღაინში, საქ. მუზ. მოამბე, XI ტ., ტფ., 1941, გვ. 87—90.

⁵⁰ მაგალითისთვის გასატელებთ 1940 წ. სამარხოს სამაროვანზე გათხრილ 236-ე ქვისსამარხს, სადაც ოხუტებრი მიცემულები იყო ერთმორჩევა, რმდევნიშე ლუნად დაკრძალული (ის. მ. ივაშჩენკოს 1940 წ. საველე დღიური).

⁵¹ М. Иващенко, Отчет... Мцхетской арх. эксп...



ხებისა. განსცენებული მკელევარი 1938 — 40 წწ. გათხრილ ქვისტური ფილმი პყოფს სიმ ჯგუფად და ოკითელს გარევეულ ქრონილოგიურ საზღვრულო მოქმედებას ჩენს. პირველ ჯგუფს — სამართლის სამართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილ სამარხებს — იგი I — III საუკუნეებით თარიღდებს; მეორეს — სამართლის სამართლი უბანზე გათხრილ მრავალრიცხოვან ქვის სამარხებს — ზოგადად ე.წ. „სასანურ“ ეპოქას აკუთვნებს, ხოლო მესამეა — სამართლის სამართლო-დასავლეთ ნაწილში გათხრილ ქვის სამარხთა მცირერიცხოვან ჯგუფს (სულ ორმოციოდე სამარხია) — გამოჰყოფს ზემოაღნიშნული სამარხებისაგან და წერს, რომ ეს არის გარდამავალი პირველ ორ ჯგუფს შორის. ამა მცვლევარი იმით ასაბუთებს, რომ ეს არ გვხვდება არც პირველი და არც მცირე ჯგუფისათვის დამახასიათებელი ისეთი ნივთები, როგორიცაა, მაგალითად, გემმანი თვლებით შემკული რკინის ბეჭდები, რომლებიც ხშირია I — III სს. სამარხებში და არ გვხვდება მარჯნის, მინისა და პასტისათვის შეონე საკინძები და მინის ჭურჭელი, რომლებიც ესთდენ მრავალდა მოპოვებული ჩრდილო უბნის სამარხებში. მაგრამ მ. ივაშჩენკო იქვე დასძინს, რომ სამართლოდ, სამარხთა ამ ჯგუფში ხშირია მშვილდსაკინძები, რომლებიც მათ უანლოვებს ჩრდილო უბანზე გათხრილ ქვის სამარხებს.

ჩენი აზრით, არა მთლად მართებული ცდა სამარხთა ონიშნული ჯგუფის გამოცალევებისა სამართლის ჩრდილო უბანზე გათხრილი ქვის სამარხებისაგან და ამ ჯგუფის სამარხებში ოღონიშნილი ნივთები ზოგადად VI — VIII სს. უნდა თარიღდებოდეს. ამას გვაფიქრებინდებს შიგ ოღონიშნილი მიღალმშვილდიანი და კეინტიანი, რკინისა და ბრინჯაოს ორწილად მშეილდსაკინძები, რომელთა ასაფი სარწმუნოდ დათარიღდებული (363-ე და 619-ე, არაბული ფელის შემცველი) სამარხების მიხედვით VIII საუკუნით განისაზღვრება. ასეთ თარიღს მნარს უცერს ამ უბანზე გათხრილ სამარხებში ოღონიშნილი რკინის ბოლოვებდამსხვილებული სამაჯურები, რომლებსაც მრავალი ინალოგია მოეძნება ზემოაღნიშნული დროის სამარხებში.

ამასთანავე იჩენევა, რომ გვიანდელი სამარხების გვერდით ზოგჯერ გათხრილია უფრო ძლიერული სამარხები. ისეთია, მაგ., 41-ე ქვის სამარხი, რომელში აღმოჩენილ ბეჭედსაც მ. მაქსიმოვა I ს-ით ათარიღებს⁵².

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვაფიქრებინდებს, რომ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გათხრილ სამარხთა ჯგუფი გარდამავალ ღრის ვერ მიეკუთვნება და რომ ექვე, ისევე როგორც ჩრდილო უბანზე გათხრილ სამარხთა პ. ი. ის, არის დღინდელი და გვიანდელი სამარხები. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილ სამარხებში მინის ჭურჭელი არ აღმოჩენილა, ეს შეიძლება აისხას იმითაც, რომ თუმცა, მინის ჭურჭელი სამარხებული ნივთების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ხოლმე, იგი ყოველთვის არა სავალდებულო და მთელ რიგ სამარხებში არც ჩატანებიათ.

სამთავროს IV ს. და შომდევნო დროის ქვის სამარხებს მრავალი პარალელი მოძებნება როგორც მცხეთაში და მის ახლო-მახლო მიდამოებშივე, ისე საქართველოს სხვა დღიულებში გათხრილსა თუ შემთხვევით აღმოჩენილ სამარხთა შორის.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოს სამხედრო გზის გაფართოება-გადაგეგმვის დროს მსგავსი ქვის სამარხები მრავალად იყო აღმოჩენილი დიომის მინდობრებები და მცხეთის საფოსტო სადგურთან (მტკვრის მარცხენა ნაპირზე). იმავე დროის სამართლის შეგვიძ-

⁵² М. И. Максимова, დასახ. ნაშრ.



ლია ვიგარეულოთ: წიწამურის ველშე, კარსნისხევთან, კარსანში, მცხეთის ქაშტარული რეგ-დასავლეთით (სანგრისხევთან და ორმზისხევთან), გლდანთან, აღმოჩენის სკრაში, უბრძნისში, კასპში, გორში. თითო-ოროლა შემთხვევითი აღმოჩენა აღ-რიცხულია აგრეთვე დილომში, ვაშლაჯვარში, ნახშირგორჩაშე. იმავე დროის სამა-როვნები ცნობილია რუსთავში, ორიალეთში, (ჯინისთან, ბარმაქსიზთან), კაჭრეთ-ში და სხვ.³³ საყურადღებოა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი სინქრონული სამარხები ძევრში³⁴. ეს სამარხები სხვადასხვა დროსაა გათხრი-ლი, თუ შემთხვევით მიგნებული. აქ მომოვებული ნივთები ზოგადად სრულიად იმდაგვარია, როგორც სამთავროს IV ს. და მომდევნო დროისა; მაგრამ, ხაზგას-მო უნდა აღინიშნოს, რომ მინის ჭურჭელი, რომელიც სამთავროს IV—VIII სს. სამარხების ინვერტარის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს, ზე-მოხსენებულ სამარხებში ან სულ არა ჩანს (კარსნისხევი, კარსანი, ნაეთსაღენი, გლდანი, ვეკალა და სხვ.), ან არა და ძლიერ ცოტა (არმაზისხევი, ვაშლაჯვარი, წიწამურის ველი).

მ. ივაშჩენკა ამ გარემოებას შემდეგი მიხეზით ხსნის: „თუმცა ამავე დრო-ის სამარხები, მცხეთის მიდამოებს გარდა საქართველოს დასავლეთსა და აღ-მოსავლეთ მხარეთა სხვა პუნქტებშიც ვახვდება როგორც, მაგალითად, რუს-თავში, წალეის რაონში, გაგრაში, ახალ ათონსა და სხვ. ამ სამარხებში მინის ჭურჭელი არაა აღმოჩენილი, რაც ერთგვარად იმითაც აისხნება, რომ ზოგ ადგილს (რუსთავი, წალე) ისინი ცოტა უფრო მოვკინ ხანას მიეკუთვნები-ნ, მაგ. VII — VIII სს., როდესაც საფლავში სანელასაზებლეთა ჩატანების წეს ჟყვე თითქმის სავსებით ქრება, ხოლო მეორე მხრივ იმითაც, რომ დასავ-ლეთ საქართველოში იმ დროს დამარხების წესები სხვაგვარი იყო“³⁵.

ჩვენი აზრით, ეს არაა მთლიან სწორი, რაღაც სამთავროს სამაროვანზე მინის ჭურჭელს ვხვდებით სწორედ იმ სამარხებშიც, რომელთა აუკი არ შე-იძლება VII — VIII საუკუნეებზე აღირინდელი იყოს.

მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ არაბული მონეტის შემცველი ორი ქვისსამარხი: 1939 წელს ჩრდილო უბანზე გათხრილი 363-ე და 1946 წელს იმავე უბანზე გათხრილი 619-ე ქვისსამარხები. ჩვენ არა ვაქეც საშუა-

³³ ფ. ბ ი ე რ ნ ი, დასახ. ნაშრ.; Е. Тა კ ა ი შ ვ ი ლ и, Краткий отчет о раскопках, произведенных по поручению Имп. Арх. Комиссии летом 1902 г. близ. ст. Мцхета, ИКОМАО, вып. I, Тиф., 1904; გ. ნ ი რ ა ძ ე, გარსნის ხევის სასაფლაო, ტუ, 1926; გ. ნ ი რ ა ძ ე, მცემულბულის ჰაერშე დაკრძალვა, უნიტეტის მომზე, V—VI, თბ., 1940; გ. ღ ღ მ თ თ ა ძ ე, არქოლოგიური გათხრები საქართველოს ძევლ დედაქალაქში, 1945; 6. უ გ რ ვ ღ ღ ი ძ ე, არმაზისხევის გვანცდელი დროის სამარხები (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგრ., ინსტიტუტის არქეომ); ს. ვ ა კ ე ლ ა თ ი ა, არქოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფ. სა-კომანში, დაბლოგომში და ალააში, საქ. სახ. მუჭ. მომზე, XI—B, თბ., 1941; ღ. კ ი ღ ა შ-ვ ღ ღ ი ღ, ნაქარავარი უბრძნის, თბ., 1964; ი. გ ა გ ღ მ ი ძ ე, აღრიცვულდური ხანის სამარხი ნახშირგორჩადან (ხელნაწერი ს. ჭანშისა სახ. საქართველოს სახ. მუჭ. არქეომ); М. И. Ващечин, Руствари (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგრ., იმსტუტუტის არქეომ); Б. Куптина, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941; ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, აგრეთვის სამარხი, გმალები საქართველოს და კავკასიის არქოლოგიისათვის, ტ. I, 1955.

³⁴ გ. ტ ქ ი ტ ი შ ვ ი ღ ი, საგვარეულის არმოსამარხები (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგრ. იმსტუტუტის არქეომ).

³⁵ М. Иващенко, Погребения Самтаврского могильника IV и последующих вв. Н. ა. (ხელნაწერი დაცულია ისტ., არქ. და ეთნოგრ. იმსტ. არქეომ).



ლება, სამთავროს სამაროვანზე მომდევნო საუკუნეებშიც ვავალევნოსტის განვითარება
ამ წერს, რაღაც, როგორც ჩანს, უკვე VIII ს. დამლევს მცხოვრის მპარალური მუსიკური
ბას სამთავროს მინდობრზე მიცვალებულთა დასაფლავება შეუწყვეტია⁵⁶.

მაგრამ კუხეთის რუსთავის მაგალითის მიხედვით მინის ჭურჭლის ჩატა-
ნება XI — XII საუკუნეებში ჯერ კიდევ მიღებული ყოფილა⁵⁷. რაც შეეხე-
ბა დასავლეთ საქართველოს, იქ ამ მხრივ უსაოურო საყურადღებოა წებელდის
სამაროვანი, სადაც თიხის ჭურჭლებში დაკრძალულ კრემაციულ ნაშებთან
ერთად ოღონჩნდა მინის ჭურჭელი (სამარხები № 3 და № 5)⁵⁸. ჩვენი აზრით,
ამ სამაროვნის მიხედვით შევვიდლია დაგასკნათ, რომ მინის ჭურჭლის ჩატა-
ნება IV — V სს. დასავლეთ საქართველოშიც სკოლნათ მიუხედავად იმისა,
რომ იქ დაკრძალვის სრულიად განსხვავებული წესია. ყოველივე ეს ეწინააღმ-
ლებება მ. ივაშჩინის წინასწარ ვარაუდს, მაგრამ, საწუხაბოდ, დღესდღეო-
ბით ჩვენ ხელო მყოფა ასეთი მასალები ცოტაა და ამ მხრივ შეარ დასაყრდენს
ვერ გვაძლევს. ჩვენ მხოლოდ შევვიდლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სამ-
თავროს სამაროვანზე მინის ჭურჭლის განსაკუთრებითი სიმრავლე შესაძლე-
ბელია მიეწერებოდეს საკუთრივ ქალაქის მოსახლეობის სცენიფიურ მო-
თხოვნილებას.

1. მინის ჰურპლის აღგილი ჩართლის IV—VIII სს. სამაროვანთა ინვენტარი და მინის ჰურპლის ტიპოლოგიური და რომელიმი კლასიფიკაცია

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მინის ჭურჭლის აღვილი IV ს.
და მომდევნო დროის ქართლის სამაროვანთა ინვენტარში, უნდა გავითავალის-
წინოთ ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა, როგორც მინის ჭურჭლის შემცვე-
ლი სამარხების, ისე მათში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის შესახებ⁵⁹. მაგალი-
თად, სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე, მცხოთა-სამთავროს აჩქეო-
ლოვიური ექსპედიციის მიერ 1938 წლიდან ღორებე IV — VIII საუკუნეთა
1600 სამარხის გათხრილი. ამათი ორი მესამედი გაძარცულია⁶⁰. 350 სამარ-
ხის ინვენტარში მინის ჭურჭელი არ ყოფილა. ამრიგად, მინის ჭურჭლის შემ-
ცველ სამარხთა რაოდენობა როხასს აღწევს. მათგან 59 სამარხში მინის ჭურჭ-
ლის

⁵⁶ შედრ. გ. ღ. ღ მ თ ა თ ი ქ ე, დასახ. ნაშრ.

⁵⁷ გ. ღ. ღ მ თ ა თ ი ქ ე, რუსთავში წარმოვაზრი აჩქეოლოვიური თხრის უმინისესობა-
ნები შედეგი, „მასალები საქართველოს და კავკასიის აჩქეოლოვისათვის“, ტ. I, 1955, გვ.
194.

⁵⁸ ნ. უ გ რ ე ღ ი ქ ე, შუალედალური ხანის ქალაქებში და ნასოფლარებში მოპოვებული
მინის ნეკოპი (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგრ. ინსტ. არქივში);

ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 136—137.

⁵⁹ ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თიხის ჭურჭლიში დაკრძალული კრემაციული ნაშები აფხა-
ზეთში, საქ. მეცნ. აკად. მომზე, ტ. VIII, № 1—2, 1947, გვ. 89—95; М. Трапш, Некоторые
итоги раскопки Цебельдийских некрополей в 1960—1962 гг., „Труды Абхазского ин-
ститута языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа“, Сухуми, 1963, стр. 258—276.

⁶⁰ ს ტარტისტური მიმოხილვა შედეგისთვის გვაქვს ექსპედიციის დღიურებისა და სავალი წიგ-
ნების მიხედვით.

⁶¹ მათვე მივაწერთ იმ ცირკულაციონ გაუძარცველ სამარხებს, რომელშიც მიცვალებულ
არავითარი ნიერი არ აძლდათ თან.



ლის გარდა სხვა ნივთი არ აღმოჩენილა. რომ ის 59 სამარხებში უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლებლივ ცველა გაძარცული იყო. აგრეთვე ხაზგასშით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამარხეში ქურქების მიერ მინის კურქლის დატოვება შემთხვევით არაა: ჩანს, იგი, ისევე როგორც რკინისა და ბრინჯაოს სამკაული, იაფფასიანი ნივთი ყოფილა და მარცვლებისათვის სახარბევლო საგანს არ წარმოადგენდა⁶¹.

სამთავროს სამაროვანზე I — III სს. სამარხებში (კრამიტუსამარხებში), აგურსამარხებში, ქვისსამარხებში და ორმოსამარხებში) აღმოჩენილია ისითვი ჭურქელი, IV — V სს. სამარხებში — სამასიოდე, ხოლო VI — VIII სს. ქვის-სამარხებში — რვასიოდე ჭურქელი (მთელი თუ დამტერუელი). ამრიგად, სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, რომ სამთავროს სამარხებში მინის ჭურქელის რაოდენობა დროის მიხედვით მატულობს.

ხაზგასშით უნდა აღინიშნოს, რომ სამარხეული ინვენტარი ყოველთვის ცალმხრივ წარმოდგენას გვიქმნის იმ დროის ყოფაში ხმარებული ჭურქლის შესახებ, რადგან იგი ამოიწურება მხოლოდ მიცვალებულისათვის ჩატანებული, ე. ი. დასაკრძალავ ჩიტუალთან დაკავშირებული ჭურქლით და დროის ამ დიდი მონაცემთათვის დამაბასითებელი მთელი რიგი საოჯახო ჭურქელი და მათი ფორმები ჩვენთვის მეტწილად უცნობი ჩებადა. ამტომაცა, რომ ქართლის სამაროვანებშე და, კერძოდ, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული მინის ჭურქელი დანიშნულების მხრივ ზოგადად მხოლოდ სამ ჯგუფად იყოფა. პარველ ჯგუფში ერთიანდება დიდი ჭურქელი, რომელიც მოყვანილობით სურის ან ბორთლის ტიპისა არის ამგვარი ჭურქელი აღმოჩენილი სამთავროში, შიგ მცხოვრილი და აჩვაჩისხევში⁶², სულ რვა სამარხეში, თერთმეტი ცალი (ამთვან ცხრა სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული). ჩვენი აზრით, ცველა ეს ჭურქელი სითხის (წყლის, ზეთის და სხვ.) ჩასასმელად და შესანახად იხმრებოდა. ამას გვაიგირებინება მათი მოყვანილობა და ზომა. საყურადღებოა, რომ ამ თეორმეტი ჭურქლიდან ათი I — III სს. თარიღდება და მხოლოდ ერთი უნდა მიეკუთვნოს IV — V სს.

მეორე ჯგუფში ერთიანდება სასმისები, ჰიქები და თასები. საყურადღებოა, რომ I — III სს. სამარხეულ ინვენტარში სასმისები მინის ჭურქლის ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი (სამთავრო, ნაოზა) და ფორმათა დახვეწილობითა და საერთო მრავალრიცხოვნებით გამოიჩინევა IV — VIII სს. სასმისებისაგან, რომლებიც გაღმონაშოთის სახით-და გვხვდება. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ თუ I — III სს. სასმისები უმეტესად მდიდრულ სამარხებშია მოპოვებული, IV — VIII სს. ისინი საშუალო შედლების სამარხებში გვხვდება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს: მიუხედავად იმისა, რომ აქ სასმისები თითო-ორთოა, იგი ამ დროისათვის ფართო მოხმარების საოჯახო ჭურქელს უნდა წარმოაღენდეს⁶³.

მესამე ჯგუფში ერთიანდება მინის პატარა ჭურქელი — სანელსაცხებლები, რომლებსაც სამთავროს სამაროვანზე I — VIII სს. სამარხებში მოპოვებულ ჭურქელთა შორის რაოდენობითა და ფორმათა მრავალნაირობით წამყვანი აღილი უჭირავს.

⁶¹ ეს გარემოება არაერთგზის აღნიშნული იქნება ა. ლ. კალანდა ძე ს საკელე დღიურებში.

⁶² ა. ლ. კალანდა ძ. ე. ა. ლ. აღმოჩენილი სამაროვანი; მცხოვა, I.

⁶³ М. Иващенко, Отчет Михаила-Самтаревск. арх. эксп. за 1940 г.

⁶⁴ ეს მოსაზრება დატურდება არაგათში ჩვენ მიერ გათხრილი VIII ს. საწარმოს გადანაზრში დიდმალი და ნაირნაირი სასმისების აღმოჩენითაც.



როგორც ა. კიზა აღნიშნავს, ანტიკური მინის ჭურჭლის მრავალრიცხულება
ვან ფორმათა შორის ნახევარზე მეტს შეაღეს შიცვალებულის კუთხიდან და გავშირებული პატარა და მოხდენილი ჭურჭლები. ამ ჭურჭლებს „საცრემლე-
ებს“ უწოდებენ, ვინაიდან — ხალხური თქმულების მიხედვით, — კირისუფლე-
ბი და მოტირალი ქალები ქათში ვითომდა აგროვებდნენ შიცვალებულის გლო-
ვასას დაღვრილ ცრემლებს. მაგრამ კიზა იქვე შენიშვნას: „სამხრეთ იტალიის
ვაზათა და კედლის მხატვრობაში გამოსახულ ქალებს პირისფარებობის დროს
ხელო უჭირავთ ამგარა ჭურჭელი, რომელიც აღმართ ნელსაცხებლისა თუ
სურნელოვნი ზეოგძისათვის იხმარებოდა, რის გამოც მათი საერთო სახელ-
წოდება „სანელსაცხებლე ჭურჭელი“, მიუხდავად იმისა, თუ რა მასალისგან
არიან ისინი გაეკეთებულია“.

ტერმინი „საცრემლე“, ი. ტოლსტოისა და ნ. კონდაკოვის აზრით, XVIII ს.
ანტიკურების მიერ გამოგონილი სახელწოდებამ.

ა. კიზა აღნიშნავს, რომ სამარხში ნაპოვნი ასეთი ჭურჭლები ჩვეულებრივ
ხის ან ფისის საცობით არის ხოლმე დახმული, ხოლო ზემოდან მათ ზოგჯერ
ბრინჯაოს ფირფარა აკრავთ; ეგვიპტეში საცობად პაპირუსის და აბრეშუმის
ნაჭრებსაც ხმარიბდნენ ხოლმე. ჩვინის სამარხებში ნაპოვნ ჭურჭლებში ჩარ-
ჩნილი ნაშთების ანალიზში დააღინა ზეთისხილის ზეთის ნაშთი.

არქეოლოგმა დარესმა მინის ერთ ასეთ ჭურჭელში, რომელიც ომოჩნდა
ძვ. წ. V საუკუნით დათარილებულ სამარხში, შენიშვანი საქაონდ მდგარი და სა-
მური სუნის მქონე ნივთიერების ნაშთი, რომელიც შემორჩენილი იყო აბრე-
შუმის საცობში და ჭურჭლის ფსკერზე⁶⁵. სხვა არქეოლოგიურ მონაპოვართა
შორის იშვიათად, მაგრამ მაინც დადასტურებულია ნელსაცხებლის ნაშთის
აღმოჩენა იმ შემთხვევაში, როდესაც ჭურჭელი მაგრად იყო დაცობილი. აღ-
სანიშნავია, რომ სამთავროში მოპოვებულ მრავალრიცხოვნ ჭურჭელს როგორის
მხოლოდ ორს აღმოჩნდა საცობი (1940 წ. 428-ე ქვისსამარხი, საეჭ. № 2531;
1947 წ. 695-ე ქვისსამარხში, საეჭ. № 6090)⁶⁶, ხოლო 1951 წელს მცხეთის
სადგურთან გათხრილ აქლდამაში აღმოჩნდა ჭურჭელთაგან ხუთს⁶⁷. სა-
ცობი აღმოჩნდა, აგრეთვე შიგ მცხეთაში 1948-49 წწ. გათხრილი სამარხო-

65 A. Kisa, Das Glas im Altertum, Band III, Leipzig, 1908, S. 221.

66 И. Толстой, Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, вып. первый, классический древности южной России, СПб, 1889 г. ჩვენს ლიტერა-
ტურაში ამგარა ჭურჭლის აღსანებვად გარეცილებულია „სანელსაცხებლე“, თუმცა ერთხანს
აფა. იგ. ფანაზევლის წინაღმდებობი იხმარებოდა ბერძნის „ბალკონი“ — ღარა. „ბალკონი“
მის შესატყვევის (ა. კ ი ბ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური
მუზეობა, გაზ. „კომენტისტი“, 1938, № 292). ჩვენ გამჭობინეთ ტერმინი „სანელსაცხებლე“,
დასატყვევის, გარდა იზას ციტატის, იხ. ქვემოთ.

67 A. Kisa, დასახ. ნაშრომში.

68 ს. ჯანაშავას სახ. სახელწიფო მუნიციპის ლაპორატორიაში წინასწარმა გასინჯვამ გვიჩვე-
ნა, რომ საცობად ფისი ან ფილოვნი არ იმარტული ნივთიერება ყოფილა გამოყენებული. ფისისა-
ვან გვევთებულ საცობს, ა. კ ი ბ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური
ამონურ სამყაროში ყოველგვარი ჭურჭლის დაცვითად იხმარებოდა ფისი ან თაბაშირი. ფ.
Велический, Быт греков и римлян, Прага, 1878 г.

69 გ. ლომთათოძე, ი. ციცულიშვილი, ინდოდამონინილი აკლდამაში მცხეთაში
სსრ. მეცნ. ფაზ. მოამბე, ტ. XI, 1951, № 10. ამ აკლდამაში, საცობი. № 7 ჭურჭელში აღმოჩნდა
მრგვალ-ბრტყელი მოული საცობი (ლამზ. 1. 3 ც). საცობის ნამცველები ნაპირისა კიდევ რა ჭურ-
ჭელში (სავ. № 8, 9). აკლდამაში საცობის აღმოჩნდა შეიძლება ისხსნებოდეს იმით, რომ ორგა-
ნული ნივთიერების გაუსრულებად შენახვისათვის ხელსაყრდნი პირობები ყოფილა (მაგ., მხოლოდ
ამ აკლდამაში აღმოჩნდა სარკმლაგის მოულ-მოული ფიცრები).



ნის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ ჭურჭელშიც (მე-9 ორფერდასახურავიანი ჭურჭელი) გველა ამ შემთხვევაში საცობი დაშლილი და მისი ნაჩერებში შექმნილი იყო.

როგორც ითქვა, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ ჭურჭელთავან, ორის გარდა, საცობი არც ერთს არ ჰქონია—უყველ შემთხვევაში, მისი არავითარი ნაშთი არ ჩანს. ამიტომ აჩცაა გასაკვირველი, რომ ჭურჭელში მრავალ საყურენეთა მანძილზე ნაყოფი ნივთიერება გამჭრალა. ამ მხრივ საყურადღებოა არმაზისხევის მე-7 აკლდამაში აღმოჩენილი ოქროს ყელსაკიდის ჭურჭლის (სავ. წ. № 185) ფსეურზე დაჩერენილი მოწითალო-მოლურჯონ ხალვექი რომელიც გამთხრელთა მიერ მიჩნეულია ნელსაცხებლის კრისტალურ ნაშთად⁷⁰. საყურადღებოა, რომ „რაღაც გამაგრებულ ნივთიერებას“ აღნიშნავენ აგრეთვე ამის მსგავს იქროს ფლაკონში, რომელიც ყუბანის ოლქშია ნაპოვნი⁷¹. 1952 წ. გ. გოგეგიშვილის მიერ ლებში, ბრილის სამაროვნის ქ. წ. IV — V სს. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილია უალრესად საყურადღებო, სურნელოვანი სითხის შემცველი მინის ჭურჭელი. ჩვენში ეს აღმოჩენა უნიკალურად უნდა ჩაითვალის⁷². გამთხრელის აზრით, ამ ჭურჭელში ნელსაცხებელი ან ბალზამი ყოფილა (აქვე უნდა ითქვას), რომ ძველად ნელსაცხებელი ზეთით მზღვდებოდა, თანამედროვე როვე სპირტზე დაყრებული ნელსაცხებლისაგან განსხვავებით, და სხვადასხვა სურნელით შეზავდებოდა)⁷³. ჩვენი აზრით, ამ ვარაუდში უპირატესობა ნელსაცხებელს უნდა მივაკუთვნოთ. ამასთან დაკავშირებით, ზეღმეტი არ იქნებოდა მიმოგვეხილა ზოგიერთი ცნობა ნელსაცხებელთა დამზადება-მოხმარების შესახებ ანტიკურ სამყაროში და ფეოდალურ საქართველოში.

ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო ძეგლია ქალაქ პომპეის წარჩინებული პირის (ვერიების) სასახლის სასაზილო ითაბში საქმიოდ კარგად შემონახული ფრესკა (სურ. № 1). ფრესკაზე გამოხატულია ნელსაცხებ-



სურ. 1

ლის დამზადების პროცესი, რაც სავსებით რეალისტურად არის გადმოცემული, ოლონდ მხატვარს ნელსაცხებლის დამაზადებელი ხელოსნების ნაცვლად ამურები გამოიყვანია. ფრესკის მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ზეთის საწნეხი. ამ საწნეხის ფუძე წარმოადგენს კვადრატული ფორმის თეთრ ქვას, რომელსაც შეაში მრგვალი ნახერეტი აქვს, ხოლო წინ—ლრმული. მას აფარია

⁷⁰ ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ვ. აჩლად აღმოჩენილი სამაროვანი შეცვალი...

⁷¹ მცხეთა, I, ტაბ. IX, გვ. 85.

⁷² OAK за 1902 წ., СП6, 1904, стр. 83.

⁷³ გ. გოლევ გიშ ვი ზე ი. ზემო რაეს არქეოლოგორი ექსპედიციის 1952 წ. მუზეუმის ანგარიში (ივ. ჯავახ. სახ. ისტ., არქ. და უთნოგ. ინსტ. არქივში).

⁷⁴ ლ. მოლო დანი გ. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახლელი იარა ლები), თბ., 1963, გვ. 3—5.



სქელი ფიცარი, რომელზედაც დამაგრებულია მთელ სილრმეზე ჩატელეჭორჭულები თუ პარალელური საღვარი სოლებით მოთხოვთ. ამ სოლების საშუალებით მშენებულებულია მოდა მის ქვემოთ მოთავსებული ფიცრის აწევ-დაწევა და ამგვარად იწურებოდა ფიცრის ქვეშ დაწყობილი ზეთისხილი თუ სხვა რომელიმე ზეთვანი ნაყოფი. ორი ამური მარჯვედ სცემს კვერს და სოლებს ჭრდავს ფიცარში, ზეთი კი მიედინება წნების ქვეშ მოთავსებულ დიდ ჭურჭელში. ცოტა მოშორებით სამ-ფეხა ზედადგარზე შედგმულ ჭურჭელში ამური ზეთს აღულებს (ზედადგარის ქვეშ განაღებულია ცეცხლი). მის გვერდით ორი ამური მაღალ როდინში ნა-ყავს ნელსაცხებლისათვის საყირი სურნელს. სხვადასხვა ჭურჭლით სავსე კარადას და მოზრდილ ყუთს შორის დგას კიდევ ერთი ამური, რომელსაც ხელში სანელსაცხებლე უჭირავს. ყუთზე გადაყიდებულია პატარა სასწორი და რაღაც გრაგნილი, რომელზედაც შესაძლებელია სხვადასხვა ნელსაცხებლის რეცეპტები ეწეროს. ფრესკის მარცხნა კუთხეში წარმოდგენილია ვაჭრობის სცენა: ამურს დიდი ჭურჭელი ილიის ქვეშ ამოულვია და კოზში უსამს სინჯს მყიდველ ქალს, რომელიც იქვე ზის. ამ უკანასკნელის უკან გომხატულია, აგრეთვე ამურის სახით, მისი მოახლე თუ მონა, რომელსაც ხელში მა-რაო უჭირავს⁷⁵.

აღწერილ ფრესკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც, რომ ლიტერატურაში ძალიან ცოტა ცნობაა დაცული ნელსაცხებლის დამზადების პროცესისა და მათ შეკეთებელ ხელოსანთა მიერ ხმარებული მოწყობილობის შესახებ.

ქველ ქართულ წერილობით წყაროებში არავთარი ცნობა არ არის შემონახული მენელსაცხებლე ისტატთა იარაღისა და მათი მუშაობის პროცესის შესასწავლად. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ სულხან საბა ორბელიანი—იქ, სა-დაც „შტახს“ განვარტავს, სხვათაშორის იხსენიებს სურნელოვან ნივთიერებათა სუშურავ იარაღაცაც:რა დასწურევენ სუნელსა მას, ავრეზთა განადენი არს შტახსი, ხოლო უშრექსი ავრეზთა შიგან დანარჩომი არს მური.⁷⁶ როგორც ჩანს, სურნელოვან სითხეთა საწურავს ავრეზი ეწოდება, ძაღრამ, შ. მესხის შენიშვნაც, „ავრეზი—საწურავის ზოგადი სახელია, საბასაც თქმით „ავრეზი—ლეინის საწურავია“⁷⁷.

თვით სურნელოვან ნივთიერებათა შესახებ ქველ, სახელდობრ აღრეფეოდალური ხანის ქართულ წერილობაში მრავალი საგულისხმო ცნობაა დაცული. იმდროინდელ თხზულებებში ხშირად იხსენიება: გუნდუკი, ზმირნი, სუმბული, ალვა, ამბარი, მური, მუვამარი, ღალა და სხვ.⁷⁸ ესენი სხვადასხვა-გვარ ნელსაცხებლს წარმოდგენის, რაც ნართაულად მაინც მოშობობს ხელოს-ნობის ამ დარგის გარეცხლებას და მისი ნაწარმის ნაირუერობასა და ფართო გამოყენებას იღრე ფერდალურ საქართველოში. შ. მესხისა ნაშრომში „ხე-ლოსნობა ქველ საქართველოში“ ამ ხელობას ცალკე თავი აქვს დათმობილი (თავი VIII, „მენელსაცხებლენი“). ავტორი ამ ხელობასთან დაკავშირებით იმდებარებს ქართულ წერილობით წყაროში დაცულ თითქმის ყველა ცნობას. სა-თანადო ძეგლიდან აღსანიშნავია, უპირველეს—ყოვლისა, „ამო თბილების

⁷⁵ M. Сергеенкo, Помпей, M.-L., 1949, стр. 212.

⁷⁶ ს უ ბ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 405.

⁷⁷ შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ქველ საქართველოში, თბ., 1942, გვ. 224 (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგ. ინსტ. არქეოლ.).

⁷⁸ ამოკრებილია ივ. გაეგმიშვილის თაოსნობით შედგენილი, ქართული მატერიალური კულ-ტურის ისტორიის მასალების კარტოფელების კულონების ისტორიის ინსტიტუტში).



მარტვილობა“ როგორც ცნობილია, აბი, ეროვნებით ორაბი, ხელობით მეცნიერებულის
საცხებლე იყო და ნერსე ერისთავს სწორედ ნელსაცხებლის დამზადების ცალკეული მიზანის
ნის გამო წამოუყვანისა საქართველოში. როგორც აქედან ჩანსო, ასევენის შ. მეს-
ხია: „...მენელსაცხებლენი პყოლიათ ერისთავებს, ცხადია, ისინი მით უმეტეს
ეყოლებოდათ მეფეებს და მონასტრებშიც იწენდოდნენ“⁷⁹.

სამთავროს სამართლის „გვიანდელ სამარხებში“ (IV — VIII სს.), რომ-
ლებიც ზოგადად მანც ზემოთ მითითებული წერილობით წყაროს თანაღრო-
ულია, სანელსაცხებლე ჭურჭლის სიმრავლე გვაფექტებინებს, რომ ნელსაცხე-
ბლეს ხმარობდნენ არა მარტო წარჩინებული ფენებს, არამედ ქალაქის (ამ
შემთხვევაში მცხეთის) მოსახლეობის საშუალო ფენებიც. მაშასადამე, ზემოთ
ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება სამთავროს სამართლის აღმოჩენილი მი-
ნის ჭურჭლის დაინშნულების შესახებ, კერძოდ ის, რომ ეს ჭურჭელი სანელ-
საცხებლეები უნდა იყოს, საბუთიანობას მოკლებული არ არის, ხოლო ჭურჭ-
ლის მრავალრიცხვენება და ფორმათა მრავალფეროვნება ნელსაცხებლის
ფართო მოხარებით უნდა აიხსნებოდეს.

ზემოაღნიშნული დროის სამარხებში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი, რო-
გორც ითქვა, თითქმის მხოლოდ იმ ტიპითა წარმოდგენილი, რომელიც ჩვენ
სანელსაცხებლედ მივიჩინეთ და რომელთა შორის ზოგი ეგებ საშამლე ჭურ-
ჭელიც იყოს. მათი რაოდენობა სამარხებში განსაზღვრული არ არის და ერთი-
დან ოცდაცხამეტ ცალმდე (!) აღწევს. სანელსაცხებლეებს სამარხეში სხვა-
დასხვა ადგილას გვხვდებით: მიკვალებულის თავთან, გულმეერდის არაში, ზე-
მო კიდურებთან და სხვ. (ხ. თანდართული ცხრილები).

როგორც დავიტოვება გვიჩვენებს, სანელსაცხებლეები არა მარტო დედა-
კაცთა, არამედ მამაკაცთა და ბავშვთა სამარხებშიც გვხვდება. ამგვარი დასკვ-
ნის უფლებას განსაკუთრებით გვაძვრით გვაძლევს არმაზისხევის ასპარუგ
ერისთავის სამარხეში და იქვე, ბავშვის მე-9 სამარხეში აღმოჩენილი სანელსაცხე-
ბლე ჭურჭელი, თვით სამთავროს სათანადო სამარხებზე რომ აღარა ითქვას
რა. რომ ნელსაცხებელს, მმაგაცები შესაძლებელია სიცოცხლეშიც ხმარობდ-
ნენ, გვაფიქტებინებს ჭუაშერის თხზულების ის ადგილი, სადაც ნათევამია,
რომ სპარსეთის მეფემ „მისცა გორგასალა... ნიში ალვა ლიტრი სამი ათასი.
ამბარი ლიტრა ხუთასი. მუშკი (ლიტრა) ხუთასი“⁸⁰ როგორც ცნობილია, ალ-
ვა, მუშკი და ამბარი სხვადასხვაგვარ სანელსაცხებლე ნივთიერებას წარმოად-
გენენ.

რაც შეეხება სამარხებში სანელსაცხებლე ჭურჭლის ჩატანების ფაქტს,
ვფიქრობთ, იგი თავისთავად მოწმობს მათ სარიტუალ დანიშნულებას მიც-
ვალებულის დაკრძალვის დროს. ცნობილია, რომ სურნელოვან ნივთიერებას
ხმარობდნენ ავრეთვე სალმრთ შეწირულებისას, მაგრამ იგი განსაკუთრებით
უხვად იხსარებოდა პირის ფარგლებისას, სპორტულ თამაშთა შემდეგ, აბანო-
ებში ტანის დასაზრელად და სხვ.

არქეოლოგიურ მონაცოვართავან სამთავროს სამართლის აღმოჩენილი
მრავალრიცხვენი ჭურჭლის გარდა, უნდა აღნიშნოს არმაზისხევის ერისთავ-
თა განსახვენებლის მე-7 სამარხეში ნაპოვი იქროს ვერძისთავიანი გულსაჟი-
დი, რომელზედაც ძეშვით ჩამოკიდებულია ოქროსივე, ხორკლიანი და სარქ-
ველიანი სანელსაცხებლე⁸¹. მა უკანასკნელში, როგორც ითქვა, კრისტალური

⁷⁹ შ. მე ს ხ ი ა, ხელისნობა ძველ სააქართველოში, იქვე.

⁸⁰ ქართლის ცხოვრება, მარიამ დელოფლის ნუსხა, ტფ., 1906, 163₂₃₋₂₄, 164₁₋₂.

⁸¹ მცხეთა, I, იქვე.



ფხვნილი იყო ჩატენილი; ჩანს, სუნელი სითხე შეძლებული წრის ჭრის მიზანი გენერალის გულშე ჩამოყადებულიც კი უტარებით. გარდა ამისა, რეპრატენის ზისხევის სასახლის აბანის ნანგრევთა თხრისას, კულტურულ ფერაში აღმოჩენილია სხვადასხვა მოყვანილობის მინის სანელსაცხებლის ოციოდე ნატეხი და საესებით ბუნებრივი იქნებოდა, იგი ბანაობასთან დაკავშირებით სამარი სურნელის შესანახი ჭრჭელი უნდა ყოფილიყო.

2. IV — VIII სს. მინის მუროლის კლასიფიკაციის საკითხი

ქართლის სამაროვანებისა და კერძოდ სამთავროს IV — VIII სს. მინის ჭურჭლის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მ. ივაშჩენკოს ერთ გამოქვეყნებულ ნაშრომზე—„Погребения Самтаврского могильника IV и последующих вв“.⁸² მასში განხილულია მცხოვის ექსპელიციის მიერ 1938—41 წწ. გათხოილი VI — VIII სს. სამარხები და მათში დაცული ნივთები. მინის ჭურჭელს ეძღვნება საგანგებო თავი (20 გვერდი), რომელშიც მოცემულია მინის ჭურჭლის აღწერილობა და თარიღი⁸³. აღნიშნული ლროს მინის ჭურჭელს მ. ივაშჩენკო ჰყოფს ორ ჯგუფა. პირველში აერთიანებს სანელსაცხებლებს, მეორეში სხვადასხვაგარ ჭურჭელს (სამშებებს, დილრონ ჭურჭელს და სხვ.). ამ უკანასკნელს დათმობილი აქვს ნაშრომის მხლობი ერთობის გვერდი, სადაც აეტრის მათ მოყვე და ზოგად აღწერილობას იძლევა.

მ. ივაშჩენკო ჭურჭლის ტაბალოგიურ ნიშანდ ფორმას მიიჩნევს, ხოლო ტიპები დაგულებული აქვს სიმრავლის მიხედვით. სანელსაცხებლების აღწერილობას ეთმობა ნაშრომის 16 გვერდი: სამთავროს IV — VIII სს. მინის ჭურჭელს მ. ივაშჩენკო ჰყოფს ოცდაუთ ტიპად, მაგრამ აქვა უნდა ითქვას, რომ არა აქვს მოცემული მათი საეკლესი ნომრები, ხოლო აღწერილობის მიხედვით ტიპები ისე ემსგავსება ერთომორჩეს, რომ ძნელი ხდება მათი გამიჭვნა.⁸⁴

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ტიპების გამოყოფის ღროს მ. ივაშჩენკო არ ითვალისწინებს მინის რაგვარობას, რაც მინის ჭურჭლის კლასიფიკაციის ერთ-ერთი არსებოთ ინშანია, ამის გამო IV — V და VI — VIII საუკუნეთა „კოლბისტებური“ სანელსაცხებლები ერთად არის მოქცეული, მაგრამ ვინაიდან მკვლევარს სამთავროს მინის ჭურჭელი სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია, იგა დასხერებამ მხოლოდ მათ ზოგად აღწერილობასა და დარიგებას; ამ უკანასკნელს ჩეცნ სათნადო დაგილას შევეხებით, რადგან ნაშრომში მოცემული თარიღი გვეხმარება ჩეცნ მიერ გამოყოფილი ჭურჭლის ტიპების ასაკის გარკვევაში.

IV — VIII სს. ქართლში გავრცელებულ მინის ჭურჭელს, რომელიც უმთავრესად სამთავროს სამაროვანზეა აღმოჩენილი, როგორც ზემოთ ითქვა, ზოგადად, დანიშნულების მიხედვით ვყოფთ სამ ჯგუფა: პირველში შედის დიდრონნ ჭურჭელი (ზოთლის ტიპისა), მეორეში — სასმისება, ხოლო მესამეში სანელსაცხებლები. ჯგუფებში ტიპებს გამოყოფთ ფორმისა და მინის რაგვარობის მიხედვით. ამ ნიშნის გარდა, შევეცადეთ ტიპები ქრონოლოგიური

⁸² ხელნაწერი ინხება ი. გ. გავახიშვილის სახელმის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტრუმენტის აღწერში.

⁸³ სამწუხაროდ ამ თავს არ ახლავს თან სურათები.

⁸⁴ ამ მასშენის გამო ვერ მოხერხდა მის მიერ მინიშნებული, IX, X, XIII, XXII, XXIII ტიპების გამოყოფა.



თანმიმდევრობით ჩამოგვერიგებინა, რაღან სხვაგვარად ძნელი წარმოსტუქმი წულები ნი იქნება გარკვეული დროისათვის ამა თუ იმგვრი ჭურჭლის არსებობის შესახებ მათგან ზოგიერთი ტაბის ეკოლუცია ზემოაღნიშნული დროის მონაცემთში. აქე უნდა ითქვას, რომ მინის ჭურჭლის ტექნოლოგიას და კეთების ტექნიკას ცალკე თავში განვიხილავთ, რაღან უფრო სრულად წარმოვადგინოთ IV—VII სს. ქართლში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის ტექნიკისა და მინის ხარშვის სპეციფურობა.

მინის ჭურჭლის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ქართლის სამაროვანთა ჩვენ მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური დანაწევრება. სათანადო სამარხები, როგორც უკვე ითქვა, იყოფა შემდეგ ქრონოლოგიურ ჯგუფებად: პირველი — I — III საუკუნეებით თარიღდება, მეორე — IV — V საუკუნეებით, მესამე კი — VI — VIII საუკუნეებით.

ჩვენი კელების საგანს, როგორც არა ერთგზის ითქვა, IV—VIII საუკუნეთა, ე. ი. ბოლო ორი ქრონოლოგიური ჯგუფის მინის ჭურჭლი წარმოადგენს, მაგრამ რიგ შემთხვევაში შევეხებით პირველ, I — III სს. ჯგუფსაც, რაღან მათი ურთიერთისახან მოწყვეტა ხელოვნური იქნება. მაგალითად, ზოგიერთი ფორმა (ცვლისხმობა სანელსაცხებლებს) სამთავროში არსებობს ა. წ. I საუკუნიდან VIII საუკუნის დასასრულამდე და ამდენად დამახასიათებელია სამივე ქრონოლოგიური ჯგუფისათვის. საყურადღებოა, რომ მის ვერდით თვითონეულ ქრონოლოგიურ ჯგუფს ახასიათებს აგრეთვე ჭურჭლითა გარკვეული ფორმები, რომლებიც სპეციფიკურია მხოლოდ დროის ამა თუ იმ მონაკვეთისათვის და მომდევნო საუკუნეებში კი „იცხრილება“. არის კიდევ ერთი წყება ჭურჭლისა, რომელიც ახასიათებს ერთ რომელიმე ქრონოლოგიურ პერიოდს, მაგრამ გადმოინაშთის სახით გადადის მომდევნო ხანშიც, სადაც იგი თანდაონ ქრება კიდევაც.

ზემოჩამოთვლილ სამი ქრონოლოგიური ჯგუფიდან განსაკუთრებით საურადღებო მეორე, ე. ი. IV — V სს. სამარხებში მოპოვებული მინის ჭურჭლი. ამ ჯგუფში ნათლად ჩანს ჭურჭლის ფორმათა მრავალფეროვნება, რაც გამოწვეულია არა მატერიალური მატერიალური შექმნილი ახალი ფორმების სიმრავლით, არამედ სწორედ გადმონაშთი და ჩანასახვანი ფორმების მქონე ჭურჭლის არსებობითაც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ IV — V სს. სამარხებში მოპოვებული მინის ჭურჭლის ტიპებად დაყოფა ზოგჯერ რთულდება. არის შემთხვევა, როცა „ტიპი“ მხოლოდ თითო ცალით არის წარმოდგენილი. ამ დროის მინის ჭურჭლის მთავარი თავისებურება ფორმებისა და მინის ხარისხის მრავალფეროვნებაში უნდა დავინახოთ, რის გამოც სათანადო პერიოდი ფორმათა ძიების ხანად წარმოგვიდგება.


რაც შეეხება ბოლო ქრონოლოგიური ჯგუფის, ე. ი. VI—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლის ფორმებს, ისინი, მიუხედავად მრავალრიცხვანებისა, სტაბილურია.



IV—V ს ა ტ უ ნ ი თ ა მ ი ნ ი ს პ უ რ ი ლ ი ს ტ ი პ ე გ ი

ა ი რ ვ ე ლ ჯ ა შ ა ზ ა ი — დ ი დ რ ი ნ ი ს ა შ ა ვ ე ლ ი *

I ტიპი. უნდა ითქვას, რომ აქ „ჯგუფი“ პირობითად ითქმის, რაღაც ჯგუფი ერთადერთი ტიპითაა წარმოდგენილი, ხოლო თვით ტიპი — ერთადერთი ჰურკლით (იხ. სურ. № 2).



სურ. 2

სურ. 2

ნი ჰქონია. იგი გაეთებულია სქელი (0,2—0,4 სმ სისქე) მომწვანო-მოყვითალო მინისაგან. მინა გამოფიტულია.

ჰურკლის ზომებია: ტანის შემორჩენილი სიგრძე — 11,4 სმ; ტანის დიამ. — 7,2 სმ; მხარის სიგრძე — 5,4 სმ.

ვ ი რ ე ლ ჯ ა შ ა ზ ა ი — ს ა ს ი ს ე ბ ი

II ტიპი. კიქა აღმოჩნდა 1938 წელს, სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე გათხრილ, ბავშვის (230-ე) ქვისამარხში (იხ. თანდართული ცხრილის № 5, საინვ. № 868). კიქა პირფართოა და პირის კიდიდან მოკიდებული ძირამდე თანდათანმით ვიწროვდება. ზედაპირი საღა აქს, ოლონდ შუანაწილზე გრძელებულია მქრქალი, ამოკაწრული ხაზი (სურ. 3).

კიქის ზედა ნაწილი მომტვრეულია. ჰურკელი სქელკედლიანია: ტანისა უფრის 0,3 სმ., ძირითან — 1 სმ.

კიქა ღია, მწვანე, კარგი ხარისხის მინისაგან არის ნაკეთები. მინა გამოუფიტავია. ჰურკლის შემორჩენილი სიმაღლე უდრის 11,9 სმ, ტანის უდიდეს დიამეტრი — 5,4 სმ.


III ტიპი. ესეც წარმოდგენილია ერთადერთი ჰურკლით (საინვ. № 765), რომელც 142-ე ქვისამარხშია, (იხ. თანდართული ცხრილი № 3).

ჰურკელს პირი ტანისაგან გამოყოფილი და მცირედ გადაშლილი აქვს, პირის კიდე — მოჭრილი და ბასრი, ტანი — ფინჯნისებური მოყვანილობისა, ძირი — ბრტყელი. პირის კიდიდან 3,4 სმ-ის დაშორებით გარშემოყვება სარტყელი, შემდგარი ლურჯი მინის რვა, ერთმანეთისაგან


* ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იქ საღაც ტექსტში აღნიშვნულია საკ. წ. №, უნდა იყოს საინვ. №.



1,8 სმ-ით დაშორებული, რელიეფური „თვლებისაგან“. ჭიქა გაკეთებული გადასაცვლით მოყვითალო-მომწვანო მინისაგან, მინა გამოუფიტავია (სურ. 4). გეგმური გადასაცვლით მოყვითალო-მომწვანო მინისაგან მინა გამოუფიტავია (სურ. 4).



სურ. 3




სურ. 4

ჭიქურჭლის სიმაღლე უდრის 7 სმ, პირის დიამ. — 6,7 სმ, ძირისა — 3 სმ, მინის სისქე — 0,2 სმ.

IV ტიპი. ფიალი (საინვ. № 8817)⁸⁵ (იხ. სურ. № 5) აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე გათხრილ 24-ე ორმოსამარტში (იხ. თანდართული ცხრილი № 1). ჭიქურჭლი წესიერი ნახევარსფერული მოყვანილობისაა, უქუსლო⁸⁶.

ფიალაზე ამოხებვით გამოხატულია მყივანი ფარშავანები, ხოლო მის უკან — მცირე ხე. ეს კომპოზიცია მოჩარჩინებულია გრეხილისებრი სარტყლით, რომლის ცალკე ელემენტები ერთიმეორებული ჰარიბონტალურად გაღმიმულ სიირალებს წარმოადგენს; ფარშავანების ტანი ოვალური



სურ. 5

⁸⁵ ჭიქურჭლი განხილული გვაქვს „მიმომზილველის“ II ტომში (იხ. 6. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ფარშავანების გამოსახულებით შექული მინის ჭიქურჭლი სამთავროდან, თბილისი, 1952, გვ. 301—314).

⁸⁶ მოყვანილით იგი მ ტიპს მიეკუთხნება, რომელსაც ლათინურად ეწოდება *patera*, რაც ნაშნავს დაბალ პრივატულ სასმის, თასს. (Louis Réou, Dictionnaire polyglotte des termes d'art et d'archéologie, Paris, 1953).

მოყვანილობისაა, კუდი — ამართული, ყელი — მოლერებული, თავი — უკან შეტრიალებული და ზევით აწეული. პარალელურად, მაგრამ მარტინი განვითარებული განვითარები თითქოს ჩარჩოს ეყრდნობა. ფარშავანგის ჭრიალი და ესპერესიულია. მთელი მისი გამოხატულება თავიდან ბოლომდე სარტყლის წრისებრ მოხატულობას მიყვება. ფარშავანგის ფეხებთან, მარცხნივ, ოსტატს რამდენიმე ირიბად ამოკაზრული პარალელური ხაზით გამოხატავს ნიადაგი, რითაც თითქოს რეალისტური საყრდენი ექმნება იმ ხეს, რომელიც ფარშავანგის ფეხებთან მარჯვნივ არის ამართული; ხე ზემოთ სამ ტოტად იშლება, გვერდითი ტოტები თავის მხრივ ორ-ორად იყოფა, ხოლო შუა ტოტი შემორკალულია და გვიმრისებრი თუ პარმისებრი გრძელი ფოთლები ასხას; ხის ძირითან მარჯვნივ ამოდის ყლორტი, რომელსაც წევრზე ბირთვისებური ნაყოფი ასხა. როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, გამოხატულება მოქცეულია გრძელისებრი სარტყლის ჩარჩოში: ჩანს, ოსტატს უნდოდა ხაზი გაესაკ კომპოზიციის მრგვალი მოხატულობისათვის, ხოლო შტრიხებით გაღმოყენებული ნიადაგი და ფარშავანგის ფეხები არ არღვეს ამ საერთო შთაბეჭდილებას.

ფიალას გარედან, კიდეზე 1 სმ დაშორებით, პირს ირგვლივ შემოუყება ბერძნული წარწერა. ჭურჭელს პირის კიდე მოტეხილი აქვს H და H შორის ერთი ასო აკლია. თ. ყაუჩხიშვილის აზრით, აქ უნდა ყოფილიყო [C]. ამრიგად, დაკარგული ასოს აღდგენით წარწერა შემდეგნაირად უნდა იყოთხებოდეს *PIE ZHCHC*, რაც ნიშანებს: „დალიკ, ილოცხლე“.

ჭურჭელი ნაკეთებია კარგი ხარისხის მინისაგან, რომელიც ნაკლებად არის გამოფიტული და აქაიქ მოყვითალო თეთრი პრეც აკრაცს. მინის სისქე უღრის 0,2—0,3 სმ-ს; ჭურჭელის პირის დიამეტრი—13,5 სმ; სიმაღლე — 3 სმ.

მესამე ჯგუფი — სანილსაცხებლები

ა) მოზრდილი სანელსაცხებლები


პირობით მოზრდილ სანელსაცხებლების გვეუფში ვაერთიანებთ მცხეთა-ში 1941 წ. შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნ ჭურჭელს (სურ. 6). (საბ. მუზ. საინვ. № 4—52) ⁸⁷⁾. იგი პირგადაშლილია და პირის კიდე შიგ ჩაეცილი აქვს. მომალლო ყელი უშუალოდ გადაღის თოხმხრივ დაბრტყელებულ ტაში (ჭრილი კვადრატული აქვს) და მცირედ შეღრუებილი ძირით ბოლოვდება. ჭურჭლის თოხვევ ფერდი რელიეფური გამოხატულებით არის. შემცულია: სამზე ტოლმელავებიანი გვარია, ერთხე კი — სამტოტა ხის სქემატური გამოხატულება, ჭურჭელი უყრიანია. უგრის ერთი ბოლო არათანაბარი სისქეის „ძაფის“ სახით ყელის ზედა ნაწილს გარშემოუყვება, მეორე გამსხვილებულ ბოლო კა ჭურჭელის მხარს ეკვრის.

ჭურჭელი ნაკეთებია მწვანე მინისაგან, რომელიც მცირედ გამოფიტულია.

⁸⁷⁾ ც. დ. ა ვ ლ ი ა ნ ი ძ მ ამ სამარხს უძლენა საგანგებო ნაშრომი: „მცხეთაში 1941 წლის შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი“ (ხელნაწერი საქ. საბ. მუზეუმის წინაფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში).



საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჭურჭელი დაუღევრად დამზადებულის შთავეჭრიანული
დილებას ტოვებს: დაბრეცილია და დაუხევეწავი; მინაც მდარე ხარისხისაკენალი
ჭურჭლის სიმაღლე უდრის 8 სმ, პირის დიამ.—3 სმ; ყელის სიმაღლე—
3,5 სმ; ტანის დიამ.—4 სმ; ძირის დიამ.—4 სმ.



სურ. 6

VI ტიპი. მე ტიპში გაერთიანებულია ოთხი მოზრდილი სანელსაცხებლე, მო-
პოვებული სამთავროს სამართვანშე გათხრილ სამარხებში:


- 1) 1938 წ. 152-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 780), 2) 1938 წ. 148-ე ქვისსა-
მარხში (სავ. წ. № 770), 3) 1939 წ. 120-ე
ქვისსამარხში (სავ. წ. № 3404), 4) 1946
წ. 561-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 6773).

ოთხივე ჭურჭელი დალეჭილია. ამათგან
მხოლოდ ერთი, 120-ე ქვისსამარხში ომოჩე-
ნილი, აღდგა თითქმის მთლიანად. დანარჩენ
სამს კი მხოლოდ ყელ-პირისა და ტანის ზედა
ნაწილი შემორჩენიათ.

ოთხივე სანელსაცხებლეს პირი უსწორ-
მაცწოროდ ქვეს მოჭრილი და ჩამოტეხილის
შთაბეჭდილებას ტოვებს. სწორი და მომაღლო
ყელი ძირისაკენ ფართოვდება, ხოლო ტანი-
საკენ გარდამავალ ნაწილში ვიწროვდება, ასე
რომ ყელი ტანისაგან გამოყოფილია. ტანის
ზუა ნაწილი ორმხრივ ღლნავ ჩაზნევილია.
120-ე ქვისსამარხში ომოჩენილი სანელსა-
ცხებლის მიხედვით, ჭურჭელი ძირბრტყელი
ყოფილა (სურ. 7).

ჩვენ მიერ აღწერილი ოთხი სანელსა-
ცხებლე მინის ფერით განსხვავდება ერთიმე-
ორისაგან. ერთის მინა მოცისფრო-მწვანეა,
მეორისა — მწვანე, ხოლო დანარჩენ ორისა — თეთრი.

ზემოთ აღწერილი ოთხი სანელსაცხებლე ჭურჭლიდან სამი დამსხვრეული
იყო და ამის გამო მათი თავდაპირველი სიმაღლის გაზომვა არ ხერხდება. არ-
სებულ მდგომარეობაში მათი ზომა ასეთია (სმ):




სურ. 7



№№ რიც.	სავ. წ. №№	სიმაღლე	პირის დიამეტრი	უცლის სიმაღლე	ტანის დიამეტრი	უკროცხადებული
1	780	—	2	4,3	—	—
2	770	—	1,8	4,9	—	—
3	3404	13	2,3	4,9	9,3	—
4	6773	—	2,1	4,4	—	5,5

VII ტიპი. ამ ტიპში გაერთიანებულია ორი მოზღვილი სანელსაცხებლე, აღმოჩენილი სამთავროს სამართვანზე: 1) 1938 წ. მე-7 ქვისსამარხში (სავ. წ. № 408) და 2) 1938 წ. 121-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 694).

ორივე ჭურჭელი დალეჭილი და ნაკლულია, შემორჩენილია მხოლოდ ყელ-პირისა და ტანის მცირე ნატეხები. ორივეს პირი სქელი, მრგვალი, შიგ ჩაქეცილი და გადაშლილი აქვს. მომაღლო და სწორი ყელი უშუალოდ გადადის ტანში. ყურისა მხოლოდ თოთო ბოლო აქვთ შემორჩენილი და იგი ჭურჭელს პირს ქვემოთ ეკვრის. საყურადღებოა, რომ მე-7 ქვისსამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს პირს ქვემოდან შემოუყვება იმავე ფერის წმინდა მინის ძაფი, რომელიც ტანის ზედა ნაწილზედაც გადადის. ჭურჭელი გავთავტულია მწვევნე მინისაგან, რომელიც გამოუფიტავია. მინის სისქე 0,2—0,3 სმ-ია (იხ. სურ. 8).



სურ. 8

მე-7 ქვისსამარხში აღმოჩენილი ჭურჭელის ყელ-პირის სიმაღლე 5,5 სმ-ია, პირის დიამ. — 4 სმ; 121-ე ქვისსამარხში აღმოჩენილი ჭურჭელის ყელისა 4,4 სმ-ია.

ბ) მომცრო სანელ საცხედლეები

VIII ტიპი. ამ ტიპში გაერთიანებულია შვიდი პარტია სანელსაცხებლე ჭურჭელი, მოპოვებული 1938 წელს:

- 1) მე-9 ქვისსამარხში (სავ. წ. № 420), 2) 24-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 441), 3) 28-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 445, 446), 4) 147-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 770), 5) 1949-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 771), 6) 169-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 819).

ეს ჭურჭელი საკმაოდ „უფორმოა“: ყელ-პირი ტანისა-გან გამოუყოფელი აქვს, პირის კიდე — შიგნით უსწორმასწოროდ ჩაქეცილი, ტანი — ქვედა ნაწილში მეტ-ნაკლებ გამობერილი, ძირი — დაბრტყელებული. საერთოდ ეს სანელსაცხებლეები დაუდევრად არის ნაკეთები (იხ. სურ. 9).

შველა თხელკედლიანია (0,1—0,2 სმ), თეთრია, ამჟამად გამოიტულია. გამონაკლისს წარმოადგენს სანელსაცხებლე № 441, რომელიც მოწყვანო-მოყვითალო მინისაგან არის ნაკეთები. ცხრილში ნაჩვენებია შველი-ვეს ზომა სმ-ობით:



სურ. 9



№№ რიც.	საინ. №№	სიმაღლე	პირის ღიამეტ-	ჟალის სიმაღლ.	ტანის დიამეტ.	ძირის დიამეტ.
1	445	3,8	1	2,1	2	1,6
2	446	4,2	2	2,3	2,1	2,1
3	771	3,2	1,1	1,3	1,1	1,3
4	770	3,4	1,3	1,5	1,4	1,6
5	441	3,2	1,4	0,9	1,8	1,5
6	820	4,3	2,1	1,6	2,7	1,5
7	420	3,4	1	1,9	2	2,


IX ტიპი. ექვემდებარებულია ტანდაღრული სანელსაცხებლეები, მოპოვებული სამთავროს სამაროვნის ორ სამარხში: 24-ე ორმოსამარხში (სავ. წ. № 440), 89-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 3307) და რუსთავეში 1949 წ. ომჩენილ მე-3 ორმოსამარხში (ნატეხი, სავ. წ. № 127).

სამთავროში ნაპირი ირყვე სანელსაცხებლე დალეჭილი იყო და მხოლოდ ერთი ნაწილობრივ დღდგვინილი.

ერთი პირსქელია, პირის კიდე ჩამოტეხილი აქვს, პირის ღრუ — მრგვალი; მოკლე ყელი გადადის გამობერილ, მრგვალ ტანში, რომელიც ოდნავ დაბრტყელებული ძირით სრულდება (ძირზე საბერავი მილის კვალი ამჩნევია). ჭურჭელი, ყელის ძირიდან ფსეურამდე შეეულად არის დაღარული (იხ. სურ. 10).

მეორე სქელკედლინია (0,3—0,4 სმ), ღრა მწვანე, გამოყიტული, ზედაპირი ხორკლიანი აქვს. სანელსაცხებლის სიმაღლე უდრის 4,8 სმ; პირის დიამეტრი — 1,6 სმ; ყელის სიმაღლე — 0,9 სმ; ტანის დიამეტრი — 4,9; ძირის დიამეტრი — 1,5 სმ.


X ტიპი. ეს ტიპში გაერთიანებულია ექვსი ყელმაღალი სანელსაცხებლე, მოპოვებული სამთავროსა და ორმაზისხევში: 1) 1939 წ. 124-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 3425), 2) 1946 წ. 557-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 6767), 3) 1939 წ. მე-80 ქვისსამარხი (სავ. წ. № 3263), 4) 1939 წ. 86-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 3297), 5) ორმაზისხევის განსასვენებლის 43-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 685)⁵⁸ (იხ. სურ. 11).



სურ. 10

ეს სანელსაცხებლებს პირის კიდე შიგნით ჩაკეცილი და დაბრტყელებული აქვთ, მათი მცირედ გადაბლილი პირი ყელისაგან გამოყოფილია. მაღალი ყელი უშეალოდ გადადის დაბალსა და ოდნავ შედრეკილ ძირში.

ტანის მინა შედარებით თხელია; თავდაპირველად ღრა მწვანე ყოფილა, მაგრამ ამჟამად მოყვითალო და თეთრად გამოფიტულია.



სურ. 11


სანელსაცხებლების საშუალო სიმაღლე უდრის — 5—7 სმ (აქედან ტანზე მოღის 0,9—1 სმ), პირის დიამეტრი — 1,3—1,5 სმ-ია, ტანისა — 2,3—2 სმ;

XI ტიპი. ეს ტიპში გაერთიანებულია ორი სანელსაცხებლე, მოპოვებული

⁵⁸ მცხვთა, I, გვ. 119, სურ. 32.

სამთავროს სამაროვანზე 1939 წ. გათხრილ 122-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 3415) და 126-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 3426). ურმაციული

ყელ-პირის მოყვანილობით, მინის რაგვარობა-ხარისხითა და მხრივი ზედმიშვენით ჰგვის ერთმეორეს და მხოლოდ ზომით განიჩევია: ერთი დიდია, მეორე პატარა (იხ. სურ. № 12).



სურ. 12

ქვისსამარხში (საკ. წ. № 5585, თანდართული ცხრილი № 80), 2) 1939 წ. 119-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 3392, ცხ. № 52), 3) 1938 წ. 174-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 827, ცხ. № 35), 4) 1940 წ. 519-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 5915, ცხრ. № 84).


სანელსაცხებლებს პირი გადაუშლელი აქვთ, პირის კიდე — შიგნით ჩაკირდება მოკლე უძლი, მოკლებული სამავროს სამაროვანზე: 1) 1940 წ. 403-ე

XII ტიპი. ამ ტიპში გაერთიანებულია ოთხი პარტა ჭურჭელი, მოკლებული სამავროს სამაროვანზე: 1) 1940 წ. 403-ე

2) 1939 წ. 120-ე ქვისსამარხში (საკ. წ.

№ 3408, ცხ. № 53), 2) 1939 წ. 171-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 3555, ცხ. № 66), 3) 1946 წ. 586-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 6857, ცხ. № 95).

XIII ტიპი. ამ ტიპში შემავალ სანელსაცხებლებს ოთხმხრივ დაბრტყელებული ტანი, დაბალი უძლი და სქელი, მეტ-ნაკლებად გამოიბრილ ტანში, რომელიც მრგვალი ძირით სრულდება (იხ. სურ. № 13).



სურ. 13

თხელიან მხოლოდ ერთია მთელი (№ 3392), დანარჩენი დალეწილი და მხოლოდ ნაწილობრივ აღდგენილია. სანელსაცხებლები თხელებიდლიანია (0,1 სმ). თეთრი, გაძვირვალუ შინა გამოფიტულია.

ასრულ ქვეტიანში გაერთიანებული გვაქვს ხუთ სამარხში აღ-

მოჩენილი ხუთი სანელსაცხებლე: 1) 1939 წ. 120-ე ქვისსამარხში (საკ. წ.

№ 3408, ცხ. № 53), 2) 1939 წ. 171-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 3555, ცხ.

№ 66), 3) 1946 წ. 586-ე ქვისსამარხში (საკ. წ. № 6857, ცხ. № 95),

№№ ოდ.	სავ. წ.	სიმაღლე	პირის დიამეტრი	ყელის სიმაღლე	ტანის დიამეტრი	ძირის დიამეტრი
1	5585	—	1,3	1	1,9	0,9
2	3392	4,5	0,9	1,3	2,4	1
3	827	4,3	1,3	1,5	2,6	0,8
4	5915	—			2,4	—

ამ სანელსაცხებლებს სქელი, ორნავ გადაშლილი და შიგნით ჩაკეცილი პირი აქვთ. მოკლე ყელი უშუალოდ გადადის დამჭდარსა და ძირისაკენ გაფართოებულ ტანში; ძირი ორნავ შედრეკილია, კელები — სქელი (0,2—0,3 სმ);

მინა მდარე ხარისხისაა, ბუშტულებიანი, მწვანე ან მომწვანო-მოყვითალო. ამჟამად გამოფიტვისაგან ამღვრეული და აქა-იქ მუქი ყავისფერი ქერქით დაფარულია.

ამ ქვეტიაში შემავალ სანელსაცხებლეთა საშუალო სიმაღლე უდრის 5,4—5 სმ, პირის დიამეტრი — 1,2—1,5 სმ, ყელის სიმაღლე 1,2—1,5, ყელის დიამეტრი — 1 სმ, ტანის დიამეტრი — 4 სმ — 4,3 სმ, ძირის დიამეტრი — 5,1 სმ (იხ. სურ. № 14).

შეორე ქვეტია. აქ გაერთიანებული სამი სანელსაცხებლები აღმოჩენილია სამთავროს ორ სამრჩში:

1) 1939 წ. მე-8 ქვისსამარხში (სავ. წ. № 3264, ცხ. № 43);

2) იმავე წლის 86-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 3293, 3294, ცხ. № 44).

ჭურჭელს პირი სქელი და გადაშლილი აქვთ; ფართო და მოკლე ყელი უშუალოდ გადადის კიტრო ტანში, რომელიც, ზემოაღნილისაგან განსხვავებით, შეუმჩნევლად ვიწროვდება და ბრტყელი ძირით სრულდება. ტანი ოთხმხრივ დაბრტყელებულია, კედლები — შედარებით სქელი (0,3—0,4 სმ), (იხ. სურ. № 15).

მინის რავგარობით, ხარისხითა და ფერით ეს სანელსაცხებლები ზედმიწევნით ემსგავსება პირველ ქვეტიაში შემავალ ჭურჭელს.

სამდიან ორი ტოლია. მათი სიმაღლე უდრის 6,5 სმ, პირის დიამეტრი — 2,5 სმ, — ყელის სიმაღლე — 1,5 სმ, ტანის დიამეტრი — 3 სმ, ძირის დიამეტრი — 1,5 სმ. მესამე სანელსაცხებლე პატია, სიმაღლით სულ 3,4 სმ; მისი პირის დიამეტრი უდრის 1,7 სმ; ყელის სიმაღლე — 0,8 სმ, ტანის დიამეტრი — 1,7 სმ, ძირის დიამეტრი — 0,6 სმ. სხვაფრივ ეს მესამე დანარჩენებისაგან არ გამოიჩინევა.

XIV ტიპი. ამ ტიპში შეღის ორი პატია სანელსაცხებლე, რომლებიც მხოლოდ ტანის მოყვანილობით გამოიჩინევა XIII ტიპისაგან. სანელსაცხებლები აღმოჩენილია სამთავროს სამართლის, 1939 წელს გათხრილ 120-ე (სავ. წ. № 3404, ცხ. № 53) და 1939 წელს გათხრილ 86-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 3293, ცხ. № 44).

ორივე ჭურჭელს პირი სქელი და გადაშლილი აქვს. მოკლე ჟული უძუ-
ალლდ გადადის მაღალსა და ცილინდრულ ტანში, ძირი მრგვალური ასეული ასეული უძუ-
(იხ. სურ. 16).

მოწუანო-მოკითალო მინა თითქმის გამოუფიტავია. მისი სისქე
უდრის 0,2 სმ; ჭურჭელის სიმაღლე — 3,5 სმ, პირის დიამეტრი — 1,5 სმ, ყე-
ლის სიმაღლე — 0,6 სმ, ტანის დიამეტრი — 1,5 სმ, ძირის
დიამეტრი — 0,7 სმ.



სურ. 16

იმავე სამარხში აღმოჩნდა XIII ტიპის ორივე ქვეტიპის
სანელსაცხებლები და შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ ტიპის
ვარიაციას წარმოადგენს.

XV ტიპი. ამ ტიპში მოქცეულ სანელსაცხებლებს მრგვალი ტა-
ნი, დაბალი ყელი და მეტ-ნაკლებ გადაშლილი პირი აქვთ.
მაგრამ ისინი მინის რაკვარობით, ყელ-პირის მოკითა-
ლობითა და ზომით გამოირჩევან ერთმეორისაგან და
სწორედ ამის მიხედვით გამოვყოფთ ქვეტიპებს:

პირველ ქვეტიანში გაერთიანებულია სამი პარას სანელსაცხებლე, მოპოვებუ-
ლი 1946 წელს სამთავროს სამაროვანში გათხრილ სამ სამარხში: 1) 559-ე
ქვისსამარხში (სავ. № 6832, თან. ც. № 89), 2) 578-ე ქვისსამარხში
(სავ. წ. № 6832, ც. № 92), და 3) 556-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 6792,
ც. № 87).


სანელსაცხებლებს პირი გადაშლილი და მისი კიდე ოდნავ შემალებუ-
ლი აქვთ. დაბალი და ვიწრო ყელი ვადადის ბურთივით გამოხერილ ტანში-
ძირის სიმრგვალის გამო სანელსაცხებლები ვერ იღმის:
კედლები თხელია (0,1 სმ). მინა ღია მშვანეო, მაგრამ მიწვში
დებისაგან გამოიყენებულია და თეთრი ნალექით არის დაუა-
რული.

სანელსაცხებლების სიმაღლე საშუალოდ უდრის 4—5 სმ;
პირის დიამეტრი — 1 სმ, ყელის სიმაღლე — 0,5 სმ, ტანის
დიამეტრი — 3 სმ (იხ. სურ. 17).

მეორე ქვეტიან. აյ მოკლეულია ცამეტი ჭურჭელი, რომლე-
ბიც აღმოჩენილია თორმეტ სამარხში. ასეთებია. 1/24-ე
ქვისსამარხი (სავ. წ. № 3110, № 3111, ც. № 42), 2) მე-7
ქვისსამარხი (სავ. წ. № 402, ც. № 14), 3) 444-ე ქვისსამარ-
ხი (სავ. წ. № 5751, ც. № 82), 4) 163-ე ქვისსამარხი (სავ.
წ. № 3527, ც. № 62), 5) 164-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 3533, ც. № 63),
6) 171-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 3556, ც. № 51), 7) 303-ე ქვისსამარხი
(სავ. წ. № 3904, ც. № 75), 8) 199-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 3511, ც.
№ 69), 9) 591-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 6869, ც. № 97), 10) 136-ე ქვის-
სამარხი (სავ. წ. № 3463, ც. № 60, 11) 168-ე ქვისსამარხი (სავ. წ.
№ 813, ც. № 32), 12) 265-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 3798, ც. № 72).

ყველა ჭურჭელს პირი გადაშლილი და მცირედ შესქელებული აქვს. და-
ბალი და განიერი ყელი ძირისაენ თანდათანობით ვიწროვდება და ტანისაგან
მკეთრად გამოიყოფა; ძირი მრგვალი ან ოდნავ დაბრტყელებულია. ზოგ სა-
ნელსაცხებლებს ძირზე ფხიანი ნაწილში აქვს.

იმავე ქვეტიპში გაერთიანებულია მრგვალურანი, ოლონდ უფრო ყელმა-
ღალი და პირსქელი სანელსაცხებლებიც (იხ. სურ. 18). აღწერილი 13 სანელ-
საცხებლიდან 8 მთელია, დანარჩენი—დამტვრეული ან მხოლოდ ნაწილობრივ



სურ. 17



შეკოწიწებული: კედლები სქელია ($0,2-0,4$ სმ). საყურადღებოა, რომ **სანელისაცხებლი** ფერადი მინისაგანაა ნაკეთები: ოთხი ლურჯი, დანარჩენი კედლია მწვანეა. მინა ვამოთიტულია.

სანელისაცხებლების სიმაღლე უდრის $6-7$ სმ, პირის დიამეტრი — $1,5-2$ სმ, ტანის დიამეტრი — $4-5$ სმ.

XVI ტიპი. ამ ტიპში შემავალ სანელისაცხებლებს ორმხრივ შედრეკილი ტანი, ძაბრისებური ყელ-პირი და დაბრტყელებული ძირი აქვთ. სამთავროს სამართვანზე თოხი ამგვარი სანელისაცხებლეა აღმოჩენილი:

- 1) 1939 წ. 303-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 3903, ცბ. № 75), 2) 1939 წ. 163-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 3528, ცბ. № 62), 3) 1938 წ. მე-13 ქვისსამარხში (სავ. წ. № 425, ცბ. № 17), 4) 1946 წ. 579-ე ქვისსამარხში (სავ. № 6843, ცბ. № 93).

სანელისაცხებლების პირი ოდნავ გადაშლილი, ხოლო მისი კიდე მცირედ შიგჩაკეცილი და შესქელუბულია. დაბალი ყელი თანდათანობით ვიწროვდება და უშუალოდ გადადის მსხლისებური მოყვანილობის ტანში, რომელიც ოთხმხრივ შედრეკილია. ძირი ბრტყელია (იბ. სურ. № 19).

თოხი ჭურჭელიდან მთელი მხოლოდ ერთია (№ 3903), დანარჩენ დალეჭილი და ნაწილობრივ შეკოწიწებული. მინის სისქე $0,2-0,3$ სმ-ს უდრის.

ჭურჭელი ფერადი მინისაგანაა გაკეთებული: ერთი იოდის-ფერია, ორი — ლურჯი და ერთიც — ღია მწვანე. მინა ვამოიტულია.

XVII ტიპი. ამ ტიპში გაერთიანებული ჭურჭელი მაღალყელია და მოგრძო-ოვალური მოყვანილობის, ორმხრივ შედრეკილი ტანის მქონე. სანელისაცხებლებს პირის კიდე შესქელებული აქვთ. მაღალი და სწორი ყელი უშუალოდ გადადის მოგრძო-ოვალურ და ოთხივე მხრივ ღრმად შეზნექილ ტანში. ძირი მრგვალია (ისე რომ ეს ჭურჭელი კერ დაიდგმოდა). ჭურჭელი თხელყელიანა ($0,1-0,2$ სმ). ექვსივე დალეჭილი იყო და ძლიგე მხოლოდ ორი. მინა უეტრია, მაგრამ ზოგს მოვარდისისტრო-თეთრი ფერი გადაკერავს. ამენამდ ყველა გამოიფიტულია. ამგვარი სანელნაცხები სამთავროს სამართვანზე გათხრილ ექვს სამარხშია აღმოჩენილი.


ზომა (სმ):

№№ რიგ.	სავ./წ. №№	სიმაღლე	პირის დიამეტ.	ყელის სიმაღლე	ტანის დიამეტ.	ძირის დიამეტ.
1	425	—	1,8	1,3	—	—
2	3528	6,8	1,6	1,2	2,3	2
3	3903	7,1	1,9	1,4	2,5	2
4	6843	—	1,5	1	2,3	—

- 1) 1939 წ. 265-ე ქვისსამარხი (სავ. წ. №№ 3798, 3799, ცბ. № 72), 2) 1940 წ. 490-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 5865, ცბ. № 83), 3) 1946 წ. 577-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 6828, ცბ. № 91), 4) 1940 წ. 525-ე ქვისსამარხი (სავ. წ.



სურ. 18



სურ. 19




№ 5927, ცხ. № 85), 5) 1948 წ. 701-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 8469, ცხ. № 102), 6) 1939 წ. 101-ე ქვისსამარხი (სავ. წ. № 585, სავ. წ. № 3398, ცხ. № 7) (ძ. სურ. № 20).

ზომა (სმ):

№№ რიც.	სავ./წ. №№	სიმაღლე	პირის დიამეტ.	ფენის სიმაღლე	ტანის დიამეტ.	ძირის დიამეტ.
1	3798	—	1.2	6.1	2.3	—
2	3799	—	1	5.9	1.9	—
3	5865	15	1.2	6.4	2.1	1.5
4	6828	—	1.4	5.9	2.4	—
5	5927	12.8	1.2	0.2	2.5	0.9
6	8469	13.4	1.2	6.6	2.3	—
7	3398	—	1.9	5	2.1	—

XVIII ტიპი. წარმოდგენილია ერთი სანელსაცხებლით, რომელიც აღმოჩნდა სამართლოს სამართლებრივ განკუთხილ 246-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 3763). ჭურჭელს პირი სქელი აქვს, პირის კიდე — შეგნით ჩაეცილი. მოკლე და განიერი ყელი უშაულოდ გადადის „ორმუცლიან“ ტანში, რომელიც ბოლოვდება ბრტყელი და შეზნექილი ძირით. ჭურჭელი ყურიანია და ყურის ერთი ბოლო შევრილით „ზედა მუცელს“ ევერის, მეორე გაშსვილებული ბოლოთი კი „ქვედა მუცელს“.

სანელსაცხებლე ნაკეთებია მწვანე მინისაგან, რომელიც მცირედ გამოფიტულია. ჭურჭლის სიმაღლე უდრის 10 სმ, პირის დიამ. — 3.4 სმ, ზედა და ქვედა „მუცელის“ დიამეტრი — 5.5 სმ, ძირისა — 3 სმ (იხ. სურ. № 22).



სურ. 20

სურ. 21

1939 წ. 579-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 6839, ცხ. № 93), 3) 1948 წ. 701-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 8468, ცხ. № 102), 4) 1939 წ. 113-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3370, ცხ. № 9), 5) 1939 წ. 101-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3339, ცხ. № 7).

1) 1938 წ. 164-ე ქვისსამარხში (ს. წ. № 800, ცხ. № 31), 2)

№ 800 ყელ-პირის მოყვანილობითა და ფერით გამოირჩევა ამავე ტრაქი შემავალ სანელსაცხებლეთავან. მას პირი მოკვეთილი და ოდნავ გადაშენებული იქნა და ასე მოკლე ძირისაკენ უვიწროვდება და გადადის კვერცხისებურის მიზნით თისებური) მოყვანილობის ტანში, რომელიც მრგვალი და მსიური ძირით სრულდება. ჭურჭელი სქელკედლიანია ($0,3 - 0,4$ სმ). მინა ძლიერ გამოფიტულია.

სანელსაცხებლის სიმაღლე უდრის 5 სმ, პირის დიამეტრი—1,5 სმ. ყელის სიმაღლე—0,7 სმ, ტანის დიამეტრი—2,7 სმ (იხ. სურ. № 22).

დანარჩენ თოხ სამარხში მოპოვებულ სანელსაცხებლებს პირის კიდე, ზემოაღწერილისაგან განსხვავდით, მცირედ შესქელებული და ოდნავ გადაშლილი აქვთ. მომაღლო ყელი ძირისაკენ უვიწროვდებათ. კვერცხისებური ტანი ძირისაკენ თანდათანობით გამსხვილებული და მომრგვალებულია.

ოთხიდან სამი მეტლია, ერთი — დამტკრეულია და ნაწილობრივ შეკოწიწებული. ჭურჭლის ძირი და პირი სქელია ($0,3 - 0,4$ სმ), ტანი თხელკედლიანი ($0,1 - 0,2$ სმ), მინა ღია მწვანე, გამოფიტული.

ჭურჭლის სიმაღლე უდრის 6 სმ, პირის დიამეტრი—2,2 სმ, ყელის სიმაღლე—1,7 სმ, ტანის დიამეტრი—2,5 სმ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღწერილი ჭურჭელი მიეკუთვნება სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ იმ სანელსაცხებლეთა მცირერიცხვოვან ჯგუფს, რომლებიც შემოტევა საუკუნეებში მრავლდება და ერთ-ერთ წამყვან ტიპად იქცევა. არსებითი განსხვავება IV — V და VI — VIII სს. ამგვარ ჭურჭელს შორის მხოლოდ მინის ხარისხში და ფერში გამოიხატება.

X X ტიპი წარმოდგენილია აგრეთვე ერთი სანელსაცხებლით, რომელიც ომიჩნდა სამთავროს სამაროვანზე 1938 წელს გათხრილ 121-ე ქვისასამარხში (ს. წ. № 693, ცხ. № 23).

ჭურჭელს პირი სქელი და მოკვეთილი აქვთ. მაღალი ყელი ტანის გარდამავალ ნაწილში დავიწროვებულია, მოგრძო-ოვალური; წვერისებური მოყვანილობის ტანი მომრგვალებული ძირით ბოლოვდება. მინა ღია მწვანე, გამოფიტული. ჭურჭლის სიმაღლე უდრის 7,5 სმ, პირის დიამეტრი — 1,6 სმ, ტანის დიამეტრი — 1,6 სმ (იხ. სურ. № 23).

საყურადღებოა, რომ ეს ჭურჭელი მსგავსია სამთავროს სამხერეთ უბანზე 1940 წელს გათხრილ, 252-ე კრამიტსამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლისა, ორონდ ეს უკანასკნელი პატარაა (სიმაღლე უდრის 5,3 სმ) და ძირბრტყელი.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი სანელსაცხებლები თითო როლია გხევდება I — III სს. და IV — V სს. სამარხებში, მაგრამ იგი დამახასიათებელი და ტიპიურია VI — VIII სს. სამარხებში ჩატანებული მინის ჭურჭლისათვის.

X XI ტიპი. აქ შედის მხოლოდ ერთი პატარა, ტანშეხორცლილი ჭურჭელი (საინვ. № 3302), აღმოჩენილი 1938 წელს სამთავროს სამაროვანზე გათხრილ 88-ე ქვისასამარხში (იხ. ცხ. № 45).

სანელსაცხებლეს პირი მოკვეთილი აქვს. დაბალი ყელი გადადის თანაზომიერად გამობერილ შეხორცლილ ტანში. ჭურჭელს ძირი მცირედ



სურ. 22



სურ. 23



დაბრტყელებული იქვს (იხ. სურ. 24). მინა ღია მწვანეა, (სურ. № 25), ფართზუდებული მისი სისქე უზრის 0,4 სმ; სანელსაცხებლის სიმაღლე — უკავშიროსის — 1,4, სმ; პირის ღიამეტრი — 0,8 სმ, ტანისა — 2,8 სმ, ძირის ღიამეტრი — 1,2 სმ.

ხაზგასასმელია, რომ ეს სანელსაცხებლე მსგავსია 1940 წელს ორამაზისხევის ერისთავთა განსასვენებლის მე-7 აკლდამაში აღმოჩენილი ოქროს გულსაკიდის ოქროსვე კატარა სანელსაცხებლე ჭურჭელისა. ამ უკანასკნელს პირი მოკვეთილი, მრგვალი და საქმიან სქელკედლინი იქვს, ყელი—სწორი და საღა;



სურ. 24

თანამომიერად სფერული ტანი მრგვალი ძირით ბოლოვდება და სიმეტრიულად შემოსილია წითელი, კონუსური მოყვანილობის ეკლისებრი თვლებით⁸⁹. როგორც ვხედავთ, იგი მოყვანილობით ძალიან უახლოვდება სამთავროულს და ასებითად განსხვავდება მისგან მხოლოდ ძირფასი მასალით (ერისთავის ოჯახის ქალს ეკუთვნოდა). არმაზისხევის მე-7 აკლდამა, მაშინ აღმოჩენილი ნივთებისა და მონეტების მიხედვით ა. წ. II საუკუნის ბოლოთი თარიღდება⁹⁰, ასე რომ ასაკით წინ უსწრებს სამთავროს 88-ე ქვისსამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს, რომელიც, ჩვენი აზრით, IV-და უფრო კი V ს. მიეკუთვნება.

ზემოაღწერილი მინის ჭურჭელი ეკუთვნის IV — V საუკუნეთა იმ ცირერიცხვოვან სანელსაცხებლეთა ჯგუფს; როგორც შემდგომ საუკუნეებში დიდად ვრცელდება და ერთ-ერთ წამყვან ტიპად იქცევა.

XXII ტიპი. ამ ტიპში გაერთიანებული სანელსაცხებლები ყველა ყელმაღალი, პირშესქებებული, ტანგამობერილი და ძირბრტყელია. მათ „კოლბისებურ“ სანელსაცხებლებს ვეწოდებთ. მიგვარა ჭურჭელი აღმოჩენილია 24 ცალი სამთავროს (IV—V საუკუნეთა) შემდეგ 18 სამარხში:

- 1) 1938 წ. მე-9 ქვისსამარხი (ს. წ. № 420—21, ცხ. № 16),
- 2) „ მე-12 ქვისსამარხი (ს. წ. № 424, ცხ. № 18),
- 3) „ 146-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 768, ცხ. № 24),
- 4) „ 155-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 788, ცხ. № 29),
- 5) „ 168-ე ქვისსამარხი (ს. წ. № № 814, 818, ცხ. № 32),
- 6) 1939 წ; 25-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3118, ცხ. № 6),
- 7) „ 99-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3333, ცხ. № 49),
- 8) „ 104-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3358, ცხ. № 50),
- 9) „ 111-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3366, ცხ. № 8),
- 10) „ 141-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3478, ცხ. № 61),
- 11) „ 164-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3232, ცხ. № 63),
- 12) „ 198-ე ქვისსამარხი (ს. წ. № № 3606, 3607, ცხ. № 76),
- 13) „ 304-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 3937),
- 14) „ 561-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 6774, ცხ. № 90),
- 15) 1946 წ; 600-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 6882, ცხ. № 99),
- 16) „ 579-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 6839, ცხ. № 93),
- 17) „ 582-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 6853, ცხ. № 94),
- 18) „ 523-ე ქვისსამარხი (ს. წ. № 6872 — 73, ცხ. № 96).

⁸⁹ მცხოვრი, I, ტაბ. IX.


⁹⁰ იქვე, გვ. 97.



ჭურჭლის ყელი მაღალია (სრული სიმაღლის თითქმის ნახევარს უდრიშებული ძირისაფერი თანდათანობით ფართოვდება და უშუალოდ გადადის მეტ-ნაკლებ გამობერილ ტანში. ძირი დაბრტყელებული ან ოდნავ შეზნე-ჭილია.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას რომ ზემოაღწერილი სანელსაცხებლები შეტწილად ფერადი მინისაგან არის გამობერილი. გვეცდება მოყვითალო-მწვანე, ლია „მღვრიე“, ლურჯი და ოიდისფერი. არის გამჭვირვალე თეთრიც. ჭურჭლის კედლის სისქე უდრის $0,1 - 0,2$ სმ, საშუალო სიმაღლე — $5,6$ სმ, პირის სისქე — $0,3$ სმ, პირის დიამეტრი $1,4 - 1,3$ სმ, ყელის სიმაღლე — $2, - 2,5$ სმ, ტანის დიამეტრი — $2 - 2,2$ სმ, ძირის დიამეტრი — $1,3 - 1,8$ სმ (იხ. სურ. 25).

„კოლბისებურთა“ ვარიანტს წარმოადგენს მინის ძაფებით შემკული სანელ-შაცხებლები. ამათგან ერთი წყება ლურჯი მინის ძაფითაა შემკული. ასეთია სამთავროს სამართვაში გათხრილ ხუთ სამართში აღმოჩენილი ექვსი ჭურჭლი (იხ. სურ. 26).



- 1) 1946 წ. 561-ე ქვისამარხი, (ს. წ. № 677, ცხ. № 90),
- 2) 1939 წ. 129-ე ქვისამარხი, (ს. წ. № № 459, 3440, ცხ. № 57),
- 3) 1939 წ. 243-ე ორმოსამარხი, (ს. ს. № 3756, ცხ. № 59),
- 4) 1939 წ. 134-ე ქვისამარხი (ს. წ. № 3459, ცხ. № 11),
- 5) 1939 წ. 319-ე ორმოსამარხი (ს. წ. № 3960, ცხ. № 12).

ზედმიწევნით მსგავსი სანელსაცხებლე აღმოჩენილია 1944 წ. არამაზისხევის 57-ე აღრეულ შუა საუკუნეთა ქვისამარხში (სავ. წ. № 799)⁹¹.

ამ სანელსაცხებლების პირი სქელი აქვთ, პირის კიდე — შიგნით ჩაკეცილი და მეტ-ნაკლებ გადაშელი. პირის ღრუ—მრგვალი და ფართო (ყელს შიგნით, ტანის გარდამავალი ნაწილში ვიწროხერელიანი ტიხარია). ზომიერი სიმაღლის ყელი ქვემოთვინ შეუმნინვლად ფართოვდება და უშუალოდ გადადას გამობერილ ტანში, რომელიც ბრტყელი ან შედრუებული ძირით ბოლოვდება. ამ ქვეტაბაში შემავალ ჭურჭლეს განსხვავებული იქს ანჭებს საკმაოდ მსხვილი და არათანაბარი სისქის ქრონი მინის ძაფი, რომელიც სანელსაცხებლეს ყელის ძირთან ფეხერამზე უწყვეტ. ტეხილ ხაზად აკრავს გარშემო.

არმაზისხევის სანელსაცხებლის გარდა უკლებლივ კველა ჭურჭელი დამტ-ვრეულია და მხოლოდ ნაწილობრივად აღდგენლი.

სანელსაცხებლები თხელკედლიანია ($0,1 - 0,3$ სმ), მათი სიმაღლე აღწევს $5,5$ სმ-ს, პირის დიამეტრი — $1,9$ სმ-ია, ყელის სიმაღლე — $1,7$ სმ, ტანის დია-მეტრი — $4,1$ სმ.

სანელსაცხებლები გამობერილია ღია მწვანე მინისაგან, რომელიც ამჟამად გამოფიტულია.




სურ. 25

⁹¹ ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, არმაზისხევის ვეგანდელი სამარხები, (ხელნაწერი ი. ჭავახიშვილის სახ. ისტ., არქ. და ეთნოგ. ინსტ., არქივში).



ამ ტიპის სხვა ვარიანტს წარმოადგენს მცხეთის ნაკლებად განვითარებულ მარტაზის ხევში) შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნი იქნადა და მცხებლე⁹². ორივე ერთნაირია: პირგადაშლილია და პირის კიდე მცირედ აქვთ შივ-



სურ. 27

ნით ჩაკეცილი, დაბალი ყელი უშუალოდ გადადის ძირი-საკენ გამობერილ ტანში და შედრეკილი ძირით ბოლოვ-დება. მათაც, ისევე როგორც ზემოაღწერილს ყელის შიგნით გაკეთებული აქვთ ვიწროხევრელინი ტიხარი (იხ. სურ. 27). ამათვანი ერთი ჭურჭელი შედარებით მაღა-ლია (5,6 სმ) და ყელიც მომაღლო აქვს, მეორე კი ყელ-დაბალი და განიერია. ამ უკანასკნელის სიმაღლე უდ-რის 4,3 სმ-ს. ორივე ჭურჭელი მინის ძაფითა შემკობი-ლი, ოღონდ ერთს გარშემოუყვება ლურჯი ძიფი, მეო-რეს—ღია მწვანე. თვით სანელსაცხებლეები მომწვანო მინისაგანაა ნაკეთები.

IV—V სს. მინის ჰურშლის ზოგადი დახასიათება და დათარიღება

ზემოაღწერილი, IV—V საუკუნეთა სამარხებიდან მომდინარე, მინის ჭურ-ჭლის მთავარი თვისებურება არის ფორმათა მრავალფეროვნება. მაგრამ დანი-შნულების მხრივ ამ ჭურჭლის უმრავლესობა, როგორც ითქვა, დასაკრძალავ რიტუალთან დაკავშირებული ჭურჭლით, სანელსაცხებლეებით არის წარმოდ-გენილი.

IV საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის გაქრისტიანებას მოჰკვა თვალ-ნათლივი ცვლილება დაკრძალვის წესში, რომელიც, როგორც ცნობილია, ყო-ველთვის მჭიდროდ უკავშირდება რელიგიურ ფაქტორს. ცხადია, ასეთ ცვლი-ლებას თან სდევს აგრეთვე ცვლილება სამარხეულ ინვენტარში: ახალი რელიგი-ური წარმოდგენის შესაბამისად, მასში თოთქმის მთლიანად ჭრება წმინდა საო-ჯაო, ე. წ. ყოფითი დანიშნულების ნივთები, როგორიცაა, მაგალითად, ლითო-ნის ჭურჭელი, ხელსაბანი ტაშტები, კოზები, თიხის და მინის დიდრონი ჭურჭე-ლი და სხვ. ეს უკანასკნელები IV—V საუკუნეთა სამარხებში მხოლოდ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ამის მაგალითია ჩევრ მიერ I ტიბად გამოყოფილი დიდი ჭურჭელი, რომელიც საღლეისოდ ქართლის IV—V საუკუნეთა სამარხეულ ინვენტარში მხოლოდ ერთი ცალია, და ამ ქრისტოლოგიურ გვიფეხში გაღმონაშ-თის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო მომდევნო VI—VIII საუკუნეების სამარ-ხებში უკვე სავსებით ჭრება.

I ტიპში გამოყოფილი ჭურჭელი მოყვანილობით, ფერითა და მინის ხარის-ხით გამოიჩინა ამავე დანიშნულების მქონე II—III საუკუნეთა სამარხებიდან მომდინარე, საქმაოდ მრავალრიცხვანი მოცისფრო მინის პრიზმული და ცი-ლინდრული ტანის მქონე ჭურჭლისაგან. იგი, როგორც ითქვა, თანმიმდროვე „გრაფინის“ მოყვანილობისაა და ნაკეთებია მოყვითალო-მომწვანო მინისაგან:

⁹² ეს ჭურჭელი დაცვრილებით აქვს განხილული ლ. საგინაშვილს: „გვიანანტიური ხანის ნივთები მარტაზიდან“ (ხელნაწერი, ს. განშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის არქივში; კოლექ-ცია 15—51, 6—11).



საყურადღებოა, რომ ზედმიწევნით მსგავსი მინისაგან არის დამზადებული კულტურული რელიეფი IV—V სს. ახაერთი, სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი და, კერძოდ ჭურჭელები თანხმები XIII და XIV ტიპის სანელსაცხებლები.

მეორე ჯუფში გაერთიანებული სასმისები ქართლის IV—V საუკუნეების სამაროვნებში საღლელის სულ სამი ცალია აღმოჩენილი, ყველა სამთაგროში.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ ჭურჭლის ხნოვანების ცალკე კი განვიხილავთ, მაგრამ, როდესაც თანხმები ნივთები დათარილებისათვის საიმედო საყრდენს არ იძლევა, მაშინ, გამონაცვლისის სახით, ასაკის დადგენისათვის ანალოგიებს ვიზუელიებთ. ას მაგალითად, II ტიპში შემავალი, კონუსური მოყვანილობის სასმისთან ერთად 230-ე ქვის სამარტინი აღმოჩენილი იყო ბრინჯაოს წვრილი მავთულის პარტია, სადა სამაჭური (ტაბ. I, 1), რომლის მოყვანილობაშიც არავერდი სპეციფიკური არ არის და ამდენად იგი დათარილებისათვის არ გამოვადგება.

კონუსური ტანის მქონე ჭურჭელი ზედმიწევნით მსგავსია ი. გველიშვილის მიერ წერებულაში გათხრილ მე-5 სამარტინი ნაპოვნი ჰქიენია, რომელსაც, თანმხმები ნივთების მიხედვით, გამოხრელი III საუკუნის დამლევით და IV საუკუნის პირველი ნახევრით ათარილება⁹³. ხაზგასასმელია, რომ ანალოგიური სასმისები ათეულობით არის აღმოჩენილი ბიჭვინტის ნაქალაქარის თხრისას, თან სწორედ იმ ფენაში, რომელიც კერამიკისა და სხვ. ნივთების მიხედვით, სარწყუნოდ თარიღდება IV—V საუკუნეებით⁹⁴.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ასეთი ჭურჭელი ნაპოვნია ქერჩში 1904 წ. გათხრილ 154-ე აკლდამშიც. ეს უკანასკნელი თარიღდება შეი აღმოჩენილი ნივთებით. ამათში გამოიჩევა: ოქროს ჭურჭლოვანი გვირგვინი, რომელზედაც აღმოჩენილია კეისარ გვირდიანეს (ახ. წ. 238—244 წწ.) პორტრეტი, ოქროს დიადემა რომელზედაც კეისარ ვალენტინიანეს (364—375 წწ.) გამოხატულებაა და კერცხლის ლანგარი, რომელშიც კონსტანტინის (323—361 წწ.) ბიუსტია და ზედ კი ლათინური წარწერა, 344 წლისამდე. ქერჩის ასე საიმედოდ დათარიღდებული სამარტი, სადაც სამთავროს ჰქიენი ზედმიწევნით მსგავსი ჰქიენია არის აღმოჩენილი, უფლებას ვაძლევს იმავე ღროს—სახელდობრ, IV საუკუნის ბოლოს—ძივაკუთხოვთ სამთავროს 230-ე ქვის სამარტინი აღმოჩენილი სასმისი. ამ თარიღს მხარს უკერს სხვა ანალოგიებიც მაგ. უკრაინაში აღმოჩენილი სასმისები⁹⁵ და აღმოსავლეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე (რომაულ

⁹³ ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თიხის ჭურჭელში დაკრძალული კრემაციული ნაშეთები აქტაშეთში (1945 წ. ექსპლოიტის ანგარიში), „საქ. სსრ მეცნ. აკად. მომზე“, ტ. VIII, 1947, გვ. 81-95.

⁹⁴ ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპლოიტის საქ. დავ; ა. ა ფ ა ქ ი ძ ი ს, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს და რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს საველე ანგარიშები, 1951—65 წწ. (საქ. მეცნ. აკად. ივ. გვარიშვილის სახ. ისტ., არქ. და ეთნ. ინსტიტუტის აზტვები).

⁹⁵ В. Шкорпил, Отчет о раскопках г. Керчи, ИАК за 1904 г., вып. 25, СПб, 1907, стр. 41.

⁹⁶ Э. Симонович, Погребения V—VI веков нашей эры у с. Данилова Балка, КСИИМК, 1952, стр. 67. მ ი ს ი ვ ე, Стеклянная посуда середины I тысячелетия нашей эры с нижнего Днепра, КСИИМК, вып. 69, 1957, стр. 22 и сл.



ევიპტეში, გალიაში, გერმანიაში, ბოჰემიაში, პანინიაში და სხვ.) მოპოტამუნის ისეთივე ჭურჭლები⁹⁷.

ჩვენ მიერ მესამე ტიპში შეტანილი, მომწვანო მინის ხალებიანი სასმისის (თუ ლამპარის?) გარდა, 142-ე ქვისასამარტი აღმოჩენილია მხოლოდ თიხის ჭრაში (ტაბ. I, 2), რომელიც დაბალკედლიანია, მოყვანილობით ლამბაქის მსგავსი, ტურგალმოწეული და მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან არის რუხად გამომწვარი (პირის დიამ. 13,5 სმ, სიმაღლე—2,5 სმ).

ეს ერთადერთი თანმხლები ნივთი მინის სასმისის დასათარილებლად არ გამოდგება, რადგან მეგვარი ჭრაქები ეტყობა საერთოდ დიდ ხას არსებული. მაგალითად, ანალოგიური ოლონდ პატარა ჭრაქი (ვ. ლიამ. — 8 სმ.) აღმოჩენილია მცხეობის სადგურის აკლდამაში, რომელიც ახ. წ. I საუკუნით თარიღდება⁹⁸.

ამრიგად, სასმისი. ისევე როგორც ზემოხსენებული კონუსური მოყვანილობის ჭიქა, ანალოგიუბის მიხედვით უნდა დაკათარილოთ. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშვანია ბიქვინტის ნექალაქარში ათეულობით აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც მომდინარეობს სწორედ ისეთი ფენებიდან, IV საუკუნით რომ თარიღდება⁹⁹.

ანალოგიური სასმისი აღმოჩენილი ქერჩის ზემოხსენებულ 154-ე ყლდა-მაში, სადაც იგი თან ახლავს კონუსურ ჭურჭელს, რაც, ბუნებრივია, მათ ერთ-დროულობას მოასტავებს და, ამასთანავე, სამთავროში მოპოვებულ ამ ორი ტიპის თანადროულობასაც გვაფიქრებინებს.

საზღასასხელია, რომ IV საუკუნის მინის ჭურჭელში ერთ-ერთ საყურადღებო გვუსს სწორედ ხალიანი ჭურჭელი წარმოადგენს. იგი სხვადასხვა მოყვანილობისა: ფინჯნისებური, კონუსურ ტანიანი, პირგლაშლილი და ძირგამოყიფილი, ღრმა ჭამის მოყვანილობისა და სხვ.—უკლებლუ ყველა შემკულია ლურჯი ან მწვანე მინის ხალებით. ხალები სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვანირად განლაგებული. ჭურჭელიც სხვადასხვა ფერის თეთრი, მომწვანო-მოყვითალო, და მუქი მწვანე მინისაგანა ნაკეთები. ამ ტიპის ჭურჭლის გაფრცელების არე საქართველო დიდია: ტამანი, ყირიმი უკრაინა, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა, ხელოთშვა ზღვის სანაპირო¹⁰⁰.

⁹⁷ M. Parducz, Archeologische Beiträge zur Geschichte der Hunenzeit in Hungarn „Acta archeologica Academiae Scientiarum Hungaricae“, Budapest, 1959, S. 365; Abb. 5; H. Eggers, Das römische Import im freien Germanien, B. I—II, Hamburg, 1951; K. Mayski, Importy rzymskie w Polsce, Warszawa, 1960, t. XXVIII; I. Lising, Roman Glass from dated Finds, Groningen-Djakarta, 1957; D. Harden, Roman Glass, 1936, t. V, pp. 156—158; C. Edgarr, Graeco-Egyptian Glass, Catalogue gen. des antiquités du Musée de Caire, Caire, 1905, t. III; H. Preidel, Die germanische Kulturen in Böhmen und ihre Träger, Kasset-Wilhelmschöne, 1930, p. 196.

⁹⁸ გ. ლომთათიძე, ირ. ციციშვილი, ახალამოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქ. შეც. ავტომის მოამბე, ტ. XII, 1951, № 10, გვ. 641—648.

⁹⁹ რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში; ოთ. ღამბაზი იძებ. ბიჭვინტის VII თხრილში 1956—57 წლებში ჩატარებულ არქეოლოგიური სტაუშოების წინაშეარისგარიშე; თ. ღორთ ჭიფანიძე, ინგრესის ტბის მოდიობში ჩატარებული სადაც ერთგა არქეოლოგიური მუშაობის წინაშეარისგარიშე, „მსალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, ტ. III, 1963, გვ. 69—107. ა. ა. ჭავჭავაძე, რ. ფურთურიძე, თ. ღორთ ჭიფანიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში 1963 წელს, „სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წლის საელე-არქეოლოგიური კლევა-ძების შედეგებისამდე“, 1964, გვ. 10—13.

¹⁰⁰ G. R. Davidson, A mediaeval Glass Factory at Corynth American Journal of Archaeology, 1940, XVII, № 3; M. Parducz, დასახ. სტატ.; B. Filarška, Szklo starożytne, Warszawa, MCMLJJ, t. XV, p. 103; Intercisa, II, Geschichte der Stadt in 42



შემოხსენებულ ჭურჭელს ზოგიერთი ავტორი III — IV ს. და ზოგიც IV — ერთოვენული V სს.-ით ათარიღებს. ჩვენი აზრით, ამ ჭურჭელის უმრავლესობა IV საუკუნეს შემომართდა უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ არ გამოიჩინება, რომ ზოგიერთი გვუფი V საუკუნის დასაწყისშიც გამომდის.

ჩვენ მიერ მეოთხე ტიპად გამოყოფილი ფიალისა თუ „პატერას“ აღწერილის დროს ითქვა, რომ ეს ჭურჭელი განსაკუთრებით საყურადღებოა ფარშავანგის და ხის გამოხატულებით, ბერძნული წარწერითა და დამუშავების თავისებური ტექნიკით¹⁰¹. სასმისზე გამოხატული კომპოზიცია სიმბოლური მნიშვნელობისაა. ფარშავანგი—წარმართული დროიდან უკვდავების, ხოლო ხე—ძველთაგანვე აღორძინების სიმბოლო იყო¹⁰².

ადრეკრისტიანული ხანის ჭეგლებზე ფარშავანგის გამოხატულება ხშირია და მას თითქმის ისეთსავე სიმბოლურ მნიშვნელობას აინიჭებენ, როგორც წარმართობის დროს. სახელდობრ, იგი უკვდავების, აღდგომისა და გზააფხულის სიმბოლო აღრინდელ ქრისტიანობაში¹⁰³.

საყურადღებოა, რომ დ. აინალოვი რამდენადმე განსხვავებულ მნიშვნელობას აინიჭებს ქრისტი, მოთრიდატეს მთაზე ნაპოვნ თიხის ჯამზე გამოხატულ ფარშავანგის, რომელიც ყურძნის მტევანს ეკნავს. მისი აზრით, აქ იგულისხმებიან მორწმუნები, რომელიც ქრისტეს ჭეშმარიტ მოძღვრებას ეზიარებიან და ამას შეესატყვისება ჯამის წარწერის შინაარსიც—„ღმერთი ჩემი მწყალობელია¹⁰⁴“.

როგორც ითქვა, ჩვენს ფიალს გარედან პირს ირგვლივ შემოუყვება ბერძნული წარწერა. „ΠΙΕ ZHCHC“, ვ. ი. — „შესვი, οιρούκελε“. წარწერა ამკითხულია თ. ყაუხებიშვილის მიერ¹⁰⁵. საყურადღებოა, რომ ასეთივე წარწერაა ქრისტი აღმოჩენილ ფიალზე, რომელიც დ. აინალოვს აქვს გამოცემული¹⁰⁶. აინალოვის აზრით, ეს ორი სიტყვა ΠΙΕ ZHCHC წარმოადგენს შემოკლებას, უფრო კრეცლი ფიალულისა „ΠΙΕ ZHCHC ΕΝ ΑΓΑΘΟΙC“, რაც ნიშნავს: „შესვი მომავალ სიცოცხლეში“ ან „შესვი ევქარისტიაში, მომავალ სიცოცხლეში“. ვ. ლატრიშევს კი ეს მოკლე ფიალმულა ესმის, როგორც ასინტეიფური გამოთქმა „შესვი, οιρούκελεში¹⁰⁷“. ვ. ლატრიშევი ქრისტი ფიალს IV საუკუნით ათარიღებს. თ. ყაუხებიშვილი იმავე დროს მიაუთვნებს სამთავროს თაა.

სამთავროულის მსგავსი მოყვანილობის ფიალის ნატები აღმოჩენილია ბიპკვინტის ნაქალაქარში. მასზედაც ფრინველია გამოხატული, ხოლო პირს ირგვლივ შემოუყვება იმავე შინაარსის ბერძნული წარწერა (ოღონდ, რამდენიმე ასო-ლაა გადარჩენილი).

der Römerzeit, Budapest, 1957, t. XXXII C39.; W. Smith, Glass from the Ancient World, New-York, 1957, p. 152, № 304; R. Schmidt, Das Glas, Berlin, 1912; A. Kisa, Das Glas in Altertume, Leipzig, 1908.

¹⁰¹ ბ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ფარშავანგის გამოხატულებით შეკული მინის ჭურჭელი სამთავრო, „შემთხმილები“, ტ. II, 1957, გვ. 301—314.

¹⁰² А. Уваров, Христианская символика, Москва, 1908, გვ. 199—206; გ. ჩ ბ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქრისტი ხელოვნების სტრუქტურა, ტ. I, თბ., 1936, გვ. 42; ლ. პ უ ს ხ ე ლ ი ვ ი შ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 19; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქრისტი ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1944, გვ. 33.

¹⁰³ А. Уваров, დას. ნაშრ.

¹⁰⁴ Д. Айналов, Три древнекхристианских сосуда из Керчи, Зап. Имп. Рус. Арх. Общ., т. V, 1891, გვ. 213.

¹⁰⁵ თ. ყ ა უ ხ ჩ ი ვ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 267.

¹⁰⁶ Д. Айналов, დასახ. ნაშრ., გვ. 213.

¹⁰⁷ В. Латышев, Сборник греческих надписей христианских времен из Южной России, СПб, 1898, § 114, гл. XII, გვ. 119—200.



IV საუკუნეში ცნობილია ორაერთი მსგავსი მოყვანილობის ფიალები და ჭრის ტროქები. ზედაც ბიბლიური სცნები და ქრისტიანული სიმბოლოებია გამოხატული რელიეფებია თებია, ძაღლითად, ლ. მაცულევიჩის მიერ გამოქვეყნებული, კურსის ოჯში აღმოჩენილი პატერა, რომელზედაც გამოხატულია მოცეკვავე ქალი ორცეოსის კულტისათვის ჩვეული კალათი, საიდანაც მოცურავს გველი. პატერას ლ. მაცულევიჩი IV საუკუნით ათარიღებს. სხვადასხვა სიუკეტით შემცული ასეთივე სასმისები ცნობილია გრძელიანიდან¹⁰⁸, საფრანგეთიდან¹⁰⁹ და ბულგარეთიდან: ჩამდენიმე მსგავსი ჭურჭლის ნატეხი გამოქვეყნებულია სმიტის კოლექციიდან¹¹⁰. მათი წარმომავლობის შესახებ ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ისინი „რომაულ“ ეგვატეში ან ხმელთაში ზღვის სანაპიროს რომელიმე სახელოსნ ცენტრში იყოს დამზადებული, ხოლო ზოგიერთ ცალს კელნში ნაკეთებად შეიჩნევენ. დასასრულ ამბობენ, შესაძლებელია მსგავსი ჭურჭელი სირიაშიც კეთდებოდა და კველა ეს IV—V საუკუნეებში.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული II, III, IV ტიპების ანალოგია არც სომხეთისა და არც აზერბაიჯანის მინის ჭურჭელში არ შეგვხედრია (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მისამართობ მასალასა და ლიტერატურაში). სამაგიეროდ კარგად ცნობილია ასეთი ჭურჭელი ბიჭვინტის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში (IV—V სს.), ასევე შავი ზღვისპირა სხვა აღგილებიდან. ხმელთაშუაზღვის პირა ქვეყნებიდან, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან. ამჟამად ამ სამივე ტიპის ჭურჭლის წარმომავლობის შესახებ გადატრით რისამე თქმა ჭირს: ის კი დანამდვილებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ქართლში, სახელმობრ; მცხეთაში სამთავროს სამართვაში აღმოჩენილი ნიმუშების მიხედვით სამივე ტიპის ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან უნდა იყოს შემოტახილი.

ასევე ქრისტიანული სიმბოლოთა აღჭურვილი ჩვენ მიერ გამოყოფილ V ტიპში შემავალი ჭურჭელი, რომელიც პირობითად მოზრდილ სანელსაცხებლეთა ჯგუფში გავაერთიანეთ (ტაბ. I, 5).

როგორც აღწერილობისას ითქვა, ფლავიუნის ტანის ოთხივე დამტკიცელებულ ფერზე სიმბოლური გამოხატულებაა: ერთზე ხე, დანარჩენგზე ჯვარი. თუმცა ჯვარი ერთ-ერთი უძველესი წარმართული სიმბოლია, მაგრამ ქრისტიანობაში იგი კევლაზე მნიშვნელოვან ემბლემდ იქცა: ქრისტეს ძალისა და ხელისუფლების გამოხატველი ნიშანია¹¹¹. ასე რომ, ჭურჭელზე სიმბოლოებთ ახლად აღიარებული სარწმუნოების ასახვა და იქნება მის სწავლის ამსხელიც კი არის¹¹². მაგრამ შევეკიდლია ვითიქროთ, რომ იგი, ამასთანავე, ახლად დამკვიდრებული სარწმუნოებრივი იდეოლოგიის განმტკიცებისადმი მიმართული აგიტაციის ერთგვარ საშუალებასაც წარმოადგენს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ VI საუკუნისათვის, ე. ი. მას შემდეგ, რაც ქრისტია-

¹⁰⁸ Л. М а ц у л е в и ч, Погребение варварского князя в Восточной Европе и другие находки IV—V вв. в том же районе, М.-Л., 1937, გг. 79—86.

¹⁰⁹ A. K i s a, Das Glas im Altertum, Leipzig, 1908, გვ. 262—5; R. S c h m i d t, Das Glas, Berlin, 1912, Abb. 10.

¹¹⁰ P. G r a n d, დასახ. ნაშრ., 1951, pp. 36—41; W. S m i t h, დასახ. ნაშრ., № 359—368.

¹¹¹ А. У в а р о в, Христианская символика.

¹¹² C. A. E i s e n, Glass, its Origin, History, Chronology, Technic and Classification to the sixteenth century, New-York, 1927, vol. II, გვ. 461 და შ.



ნობა ფესვებს მტკიცელ გაიდგამს, ამგვარი ჭურჭელი ქრება სამარხეფლიური ინვენტარიდან. ქრისტიანული სიმბოლური გამოხატულებითვე შემკუდზებულია და მსგავსი მოყვანილობის ჭურჭელს სირიის სახელოსნოებში დამზადებულად მიჩნევენ¹¹³. IV საუკუნეში ისეთი ჭურჭელი საემაოდ გავ-რცელებულია¹¹⁴. მაგრამ მცხოვრი ჭურჭელი გამოიჩინება ამ ტიპის ცველა, ჩევნოვის ცონბილი ჭურჭლისაგან¹¹⁵. ჩევნი აზრით, არ გამოირიცხება შესაძლებლობა, რომ იგი ადგილობრივ იყოს ნაეთები. ამას ვვაფიქრებინებს ჭურჭლის ხარისხი. მინა და სიმბოლოთა ის ლაკონური გამოხატულება, რომელიც მას გამოაჩინებს ამავე ტიპის სირიული ჭურჭლისაგან.

III ჯგუფში გაერთიანებული ჭურჭლიდან პირველია: ა) მოზრდილი სანე ლსაცხებლეები ბ. ისინი როგორც ითქვა, სამთავროს სამაროვანზე უმთავრესად ა. წ. I—III სს. სამარხეპში გვხვდება, IV—V სს. სამარხებში კი მხოლოდ თითო-ოროლაა.

საურაღლებო აგრეთვე, რომ ორივე (VI, VII) ტიპი მსგავსებას იჩენს I—III საუკუნეთა მინის ჭურჭელთან. ასე, მაგალითად, VII ტიპში შემავალი სანელსაცხებლები ყელ-პირის და ყურის მოყვანილობით მოვაგონებს შეი მცხეთაში გათხრილ პრეველ კრამიტამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს (№ 2)¹¹⁶. VI ტიპში შემავალ ჭურჭელს, I—III სს. ჭურჭლის მსგავსად, ყელი ტანის გარდამავალ ნაწილში საგანგებოდ დაეკიტროვებული აქვს (მაგ., II—III სს. სამთავროს სამაროვანზე გათხრილ პირველ ქვისამარხში მოპოვებული სანელსაცხებლები, 83-ე ქვისამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლები და სხვ.). მაგრამ, ამ ზოგად მსგავსებასთან ერთად, შეიმჩნევა არსებითი განსხვავებაც, რაც ჭურჭლის ზომა-პროპორციასა, პირის მოყვანილობაში და მინის ხარისხში გამოიხატება.

მოზრდილი სანელსაცხებლების დახასიათების შეჯამებისას ხაზი უნდა გაესგას იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ცონბილი ეს ფორმები მომდევნო საუკუნეებში მარტო სამთავროში როდი შემორჩენილია. ასე, მაგალითად, ჩევნ მიერ VII ტიპში შეტანილ სანელსაცხებლები ემსგავება ქერჩში 1904 წელს გათხრილ 154-ე აკლდამაში აღმოჩენილ ჭურჭელს, ეს აკლდამა კი, როგორც ითქვა, IV ს-ით თარიღდება. საფრანგეთში, სენ-ეერენის მუშეუმში დაცულია მინის ერთი ჭურჭელი, რომელიც ძალიან ჰვავს VII ტიპს (ისევე ძაფშემოვლებულია) და აგრეთვე IV ს-ით თარიღდება¹¹⁷. მაგრამ, ხაზგასამელია, რომ ყველა ზემოსხენებულ მოზრდილ სანელსაცხებლებს I—III სს. ანალოგიურ ჭურჭელთა შედარებით, ფორმა დარღვეული აქვს. ყოველივე ეს კი, შესაძლებელია, მიეწერებოდეს IV—V სს. სამარხებში საყოველოად მიღებული კ. წ. ანტიკური ფორმების „გადაგვარებას“.

ბ) მოზრდილ სანე ლსაცხებლები, როგორც ითქვა, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ მინის ჭურჭელში რიცხვითა და ფორმათა სიმრავლით

¹¹³ E. A. Eisen, ივკ; H. M. Сорокин, Три стеклянных сосуда IV в н.э. с рельефными изображениями из северного Причерноморья, Одесса, 1954.

¹¹⁴ A. Kisa, დას. ნაშრომი, ვ. 695 და შედ.

¹¹⁵ K. W. Smith, Glass, New-York, 1957, კატ. № 404—413.

¹¹⁶ ა. კალანდა, აზლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, „მიმომზილველი“, I, 1949, ვ. 270, ს. 25.

¹¹⁷ P. Grand, La verrerie franچaise ancienne, saint Germain, 1951, № 25, pp. 36—41.



პირველ ადგილზეა. ჩვენ მიერ გამოყოფილი, IV—V სს. სამარხებში მოქმედული აქციები ლი მომტკი სანელსაცხებლები, ოხუთმეტ ტიადა დაყოფილი; მოქმედული აქციები როგორც უკვე ითქვა, გამოიჩინა ჭურქლის ერთი წყება, რომელიც დამზადია-თებელია ღროვას მხოლოდ აღნიშნული მონაკვეთისათვის და მომდევნო საუკუნეებში „იცხრილება“. ასეთებია: VIII, IX, X, XI, XII, XIV, XV, XVII, XVIII ტიადებში გაერთიანებული ჭურქელი. მა სანელსაცხებლეთა უმეტესობა ფორმით ასიმეტრიულია, არაპროპორციული, თითქოს დაუსრულებელი და ზოგჯერ „უფორმოც“ კი.

მეორე წყება სანელსაცხებლები (XIII, XV და XVI ტიადში შემავალი ჭურქელი) მიმდევნო ქრონოლოგიურ ჭგულში (VI — VIII სს). მხოლოდ თითო-ოროლა, გადმონაშითის სახით გვხვდება ხოლმე.

არის სანელსაცხებლეთა შესაძე წყებაც, რომელიც გარდამავალია. იგა ჩნდება წინა ქრონოლოგიურ ჭგულში (I — III — IV — V საუკუნეებში). ხოლო ვრცელდება და დამახასიათებელი ხდება VI—VIII საუკუნეებისათვის. ასეთებია: XVIII—XXII ტიადებში შემავალი სანელსაცხებლები.

როგორც ითქვა, ცალკეულ სამარხებში ჭურქლის სხვადასხვა ფორმები ხშირად ერთად გვხვდება, და ეს მათ თანადროულობას მოასწევებს. სპოლოოდ ისინი, მეშვეული გზით, მანც ყველა თანხვდება ერთმანეთს (გარდა II, III, V და XVIII ტიადებისა) და, მაშასადამე, თანადროულია. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ჩვენ მიერ ალწერილი მინის ჭურქლის ხნოვანება ერთად განვიწილოთ — მათი თანხმელები ნივთების დათარილების საშუალებით.

გართლის IV—V სს. სამართვანთა, მინის ჭურქლის შეცველ სამარხებში მონეტები იშვიათია. ასე მაგალითად, სამთავროს სამართვანზე ფული აღმოჩენილია მხოლოდ 28-ე ქვისსამარხებში. ეს უკანასკნელი, საველე დღიურის მიხედვით, გაძარცული ყოფილა. ამისდამ მიუხედავად, მასში სხვა ნივთთა შორის ნაპოვნია რომის იმპერატორის ადრიანეს (117—138 წწ.) ვერცხლის მონეტა, — გახვრეტილი და სამკულად გამოყენებული. მის შესახებ გამთხრელი აღ. კალანდაძე შემდეგს წერს: „მართალია, ქვისსამარხებიდან ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს ფული, მაგრამ ასც არის, მასაც გარკვეული როლი ენიჭება დათარილების საფითხში. შაგალითად, № 28 ქვისსამარხებში აღრიან კეისრის ვერცხლის ფული აღმოჩენდა, ყურაგახვრეტილი და სამკაულად გამოყენებული... ეს გარემოება რამდენადმე არყვევს ქვისსამარხის ქრონოლოგიურ საზღვრებს, ასე, მაგალითად, იმისათვის, რომ ფული მიმოქცევიდან გასულყოფ, საყირო იყო დღი არანაკლებ 5—6 ათეული წლისა; ხოლო მისი სამკაულად ტარებისათვის რომ რინ-სამი ათეული წელი ვიკარაულოთ, მშინ II საუკ. პირველ ნახევარში მოჭრილი იმპერატორ ადრიანეს ფულს შეეძლო სამარხში მოხვედრილიყო არა უაღრეს III-საუკ. გასულისა ან IV საუკ. დასაწყისისა“¹¹⁸.

ჩა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ ცალკეულ შემთხვევებში მონეტა მისი მიმოქცევის ღროს სულ უფლისიყო სამკაულად გამოყენებული, მაგრამ ამ შემთხვევებში აღ. კალანდაძის მოხაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე ნუმიზმატი დ. კაპანაძე, რომელსაც შესაძლებლად მიჩნია აღნიშნული მონეტის სამარხში მოხვედრილიყო არა უაღრეს III საუკ. მიწურულით განსაზღვ-

¹¹⁸ ა. კალანდაძე, მცხოვრილი არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილოეთის ჭგულის მიერ 1938—1939 წწ. წარმოებული მუშაობის წინასწარი შეკლები ანგარიში (ხელნაბეჭდი), თბილისი, 1940, გვ. 53—54.

ჩოს¹¹⁹. ამ თარიღის გაზიარების უფლებას გვაძლევს ის გარემოებაც, რომ ამ წერილი 1 ს. მონეტები სამთავროს სამართლებრივი დროის დიდ მონაცემთაზე გვხვდება. მაგალითად, 1939 წ. სამხრეთ უბნის 89-ე ორმოსამარხში შაბურ პირველის (238—269 წწ.) მონეტას თან ახლდა ავგუსტეს (27—14 წწ.) ორი დენარი. ამას გარდა სხვა ნივთებით III საუკუნისათვის მიკუთვნებულ სამარხებშიც გვხვდება ავგუსტეს დენარი და გოტროზები დრაქმები.¹²⁰

ისიც საყურადღებოა, რომ ამ მონეტათა უმრავლესობა არაა გახვრეტილი. ეს კი უფლებას გვაძლევს აღრიანეს ყურაგახვრეტილი და სამეცნიერო გამოყენებული მონეტა III ს. მიწურულით ან IV ს-ით დავათარიღოთ. მის შემცველ სამარხში აღმოჩენილია მინის ორი სანელსაცხებლი ჭურჭელი (ტიპი VIII). ამ სანელსაცხებლების თარიღის შესახებ მ. ივაშხენკი გამოთქვას აზრს, რომ მიუხედავდა აღრიანეს დენარის თანხლებისა, სამარხის ამ მონეტით დათარიღება საეჭვადის¹²¹, ხოლო სხვა ნაშრომში კატეგორიულად უარყოფს მონეტის დამათარიღებელ მნიშვნელობას, რაღაც იგი, მისი აზრით, ავგარუზეს წარმოადგენდა¹²². იმავე სამარხში ნაპონა სხვა ნივთები, ჩვენა აზრით, არ არღვეს ზემოხსენებულ თარიღს და უფლებას გვაძლევს სამარხი და მასში მოპოვებული ნივთები III-ს მიწურულით ან IV საუკუნის დასაწყისით დავათარიღოთ.¹²³

საყურადღებოა, რომ 28-ე სამარხში აღმოჩენილი ჭურჭელი (ტიპი VIII) ანალოგიურია სამთავროს კიდევ ექვს სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლისა; ამათ შორის საინტერესოა 24-ე ორმოსამარხი. მასში ზემოხსენებული ტიპის სანელსაცხებლის გარდა, აღმოჩენდა ჩვენი IX ტიპის სანელსაცხებლე და IV ტიპიად გამოყოფილი, ფარშავინგის გამოხატულებით და ბერძნული წარწერით შემკული თასი, ბრინჯაოს შევილდსაკაინძის და რკინის საკინძის ნატეხები, ბრინჯაოს სამაჭური და ბრინჯაოსავე ბეჭედი. მ. უკანასკნელს მ. მაქსიმოვა, მასთან ერთად მოპოვებული სანელსაცხებლების მიხედვით თარიღებს პართული ეპოქით I—II საუკუნეებით¹²⁴. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანაბებით მკვლევარს, რაღაც ეს სამარხი და მისი ინვენტარი IV საუკუნეზე აღრე ხანას ვერ მიეკუთვნება. ასე დათარიღების უფლებას გვაძლევს არა მარტო სამარხში აღმოჩენილი, ქარისტანული ხანის სიმბოლური გამოხატულებით შემკული ჭურჭელი, არამედ შევილდსაკაინძისა და საკინძის ტიპებიც.

ამასთან დაკავშირებით, ორიოდე სიტუაციაში შევეხებით ქართლში და კერძოდ სამთავროს სამართლებრივი აღმოჩენილ საკინძება და შევილდსაკაინძებს.

¹¹⁹ ლ. კაპანაძე ეს მოსაზრება პირად სამარხში გვავითარა.

¹²⁰ 1939 წელს სამხრეთ უბანზე გათხრილი, ამ მონეტების შემცველი 82-ე, 212-ე და 140-ე ქვისისამარხები, მათშიც აღმოჩენილი გვამებების, მინის ჭურჭლისა და სხვ. მიხედვით, თარიღდება III საუკუნით. M. Максимова. Геммы из некрополя Михета-Самтавро, გვ. 244; M. Иващенко, Погребения Самтаврского могильника I—III вв. н/э (рукопись).

¹²¹ M. Иващенко, დასახ. ნაშრ.

¹²² M. Иващенко, Погребения Самтаврского могильника IV и последующих вв. н/э (ხელნაწერი ისტ., არქ. და ეთნოგრ. ინსტიტუტის არქივში).

¹²³ რაც შევხება ამ სამარხში აღმოჩენილ რკინის დამტერიულ შევილდსაკინძებს, ჩვენი აზრით, ისნივ სამარხში შემთხვევით მოხვერდობისა. მას გაფარგებინებს როგორც გათხრები მიუხდეთვად იმისა, რომ შევილდსაკინძი ნატეხებით არის წარმოდგენილ, შევილდისა და საბაზის მოყვანილობის მიხედვით ვერ უფრო გვაითქველო ჩანს, ისე ის გარემოება, რომ სამარხი გაძარცვული იყო და შეიძლება ნატეხები შემდოგმო, მიგარი შემთხვევით სამთავროს სამართლებრივი ხშირია. ასე, ზგა, ძველი ორმოსამარხებიდან მიმდინარე ისრის პირები და თიხის ჭურჭლის ნატეხები არაერთგანის მოპოვებილია გვანდლი ქვისამარხებში.

¹²⁴ M. Максимова, დასახ. ნაშრ.

I—VIII საუკუნეთა სამარხეული ინვენტარის შესწავლის სამოქალაქო დაბეჭითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ IV საუკუნის დამდეგს ქართველი და მცხოვრილი შემცირდა და სამარხეულის რავგარობა ჩატარდა; ჩატარდა შევილდასაკინძები და საკინძები,¹²⁵ რომელებიც, გარდა იმისა, რომ სამარხეულია, პრაქტიკულად მოსახმარებელ საგნებს—სამოსელის შესაბენესა თუ თავსაბურავის მოსართავს წარმოადგენს. IV საუკუნიდან მოყიდებული, ეს ნივთები სამარხეული ინვენტარის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს და არა ერთგზის გვხვდება ზემოაღწერილ, სხვადასხვა ტიპის ჭრუქელთან ერთად. მაგალითად, 24-ე სამარხში IV, VIII და IX ტიპის ჭრუქელს თან ახლავს ბრინჯაოს შევილდასაკინძებისა და რკინის მრგვალთავიან საკინძოა ნატეხები (ტაბ. I, 3, 6, 4); ეს კი თავისთვად ძეგლის ასაკს IV საუკუნით განსაზღვრავს.

IV—V საუკუნების ქართლის სამაროვანებში, კერძოდ სამთავროში მოპოვებული საკინძები მრავალფეროვანია. გვხვდება: რკინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის საკინძები, რომლებსაც თავი იმავე მსალისა აქვთ. მგვარი საკინძების უმეტესობა ბურთულათვიანია (ტაბ. I, 4, 5). ზემოხსენებულთაგან გამოიჩინება ორი: ერთს პარია, მრგვალწვეტიანი თავი ღერისაგან გამოყოფილი აქვს წვრილი სალტით (ტაბ. I, 6, 7); მეორეს შეინდის კურკის მსგავსი თავი აქვს, ოლონდ თვაზე ბრინჯაოსავე კოპები ზოს. საკინძის ეს ორივე ტიპი 303-ე ქვის—სამარხში ერთადაა ნაპოვნი. იმავე სამარხში აღმოჩენილი ქვებით შემცული სხვა საკინძები: რკინისა და ბრინჯაოს მრგვალგანვევეთან ღეროზე წამოცული (ბურთული, წახნაგვანი და სხვ. მოყვანილობის) გრანატის, სარდიონის, გიშრისა და მინის მძიეო; ამ უკანასკერლს თვაზე კილევ პარია მინის ან მარგალიტის მძიეო აზის (იბ. ტაბ. I, 8—13). ზოგს თავი დაკარგული აქვს, მაგრამ ღეროს მოყვანილობით ეტყობა, რომ იგი იმავე ტიპის საკინძებს ეკუთვნის. ასეთებია: 24-ე, 88-ე და 303-ე სამარხებში აღმოჩენილი საკინძები.

ზემოაღწერილი საკინძები IV—V საუკუნის სამარხებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპია. როგორც ითვა, მსგავსი საკინძები I—III სს. არც ერთ სამარხში არ არის ნაპოვნი. ამ ტიპის საკინძის ნერვანებასთან დაკავშირებით საყურადღებოა მცხეთაშივე, კარსნისხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ანალოგიური საკინძები, რომლებსაც გ. ნიორაძე ჩვენში ქრისტიანობის დასაწყისის ღრივით ათარილებს¹²⁶.

¹²⁵ ა. ტ. უ. შ. ე. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. აღმუსურდალური ზანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამოქალაქოდან, „საქ. სახ. მუს. მთაბე“, XIX, 1956, გვ. 268. აღმოჩენის აზრით, შევილდასაკინძები სამთავროს სამაროვანზე II—III საუკუნებში ჩნდება, მაგრამ ჩვენ არ ვიზირებთ ამ მოსახრებას, კინაღიან სრული დაბეკითებით შევიდრა ვთქვათ, რომ სადღეისოდ ქართლის ორც ერთ სამაროვანში I—III სს. სამარხებში შევილდასაკინძ, ისე როგორც ქვის თავის საკინძები ამ მოპოვება. ამის უცხური საშუალო ის გარემოება, რომ აღნიშნული სამკუპლობრივი შემოსახულებისა და დაღმოცხანი ინვენტარის შეცვლილ ნერვობრივი, როგორიცაა არმანისხევის II—III საუკუნების სამარხები (იბ. მცხეთა, II, ურბისის I—III სს. სამაროვანი (დ. ქორი ა. დასახ. ნაშრ.), სამთავროს I—III სს. სამარხები (მ. ივაშ ჩ. ნ. კოს და ა. კ. ა. ლ. ა. ნ. დ. კ. ს. საველ დლოურება და ანგარიშება ინახება ისტ., არქ. და ეთნოგ. ინსტიტუტის არქეოში).

¹²⁶ გ. ნიორაძე კარსნისხევის სასაფლაოს თარიღს უზრუნველყოფაზე, მაგრამ ჩვენი აზრით ეს სამაროვანი იყოფა არ ქრისტიანობის გვუფად. პირველი ასაკი IV—V სს. უნდა შემოიარებულებოდეს (№ 1, 2, 4, 8 საფლავები), მეორეს VI საუკუნისა და მომლენი ღრივით (№№ 9—11, 15 საფლავები). მაგრამაც ჩვენთვის საინტერესო ბრინჯაოს, ბრინჯაოსავე თავიანი, გრანატის თავიანი) საკინძები პირველ გვრცეშა. გ. ნიორაძე ა. დასახ. სასაფლაო, საქ. სახ. მუს. შტ., „ტ. IV, თბილისი, 1926.“



ზემოაღწერილ საკინძთა ასაკის დადგენისათვის, ისე როგორც საერთოდ
IV — V სს. სამარხთა დათარიღებისათვის საყურადღებოა აგრეთვე 1938 წ. შევიღებული
სამთავროს სამაროვანზე გათხრილი 234-ე სამარხი. იგი ხელალებული აღმუჩებული
და, ჩინჩხი კარგად იყო დაცული. მარჯვენა ხელის ფალანგაზე წამოცმული
ჰქონდა ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ბეჭედი, მარცხენა ხელის ფალანგაზე — მინის
მრგვალი ბეჭედი; თავთან ჰქონდა სარდიონის თვალიანი ბრინჯაოს საკინძი, იქ-
ვე — ჩინჩის, რკინისავე თავიანი საკინძი და რკინის შვეიცარიული ნატეხი,
მეტადზე — სხვადასხვა მძივები, ხოლო ყელ-ყურის არეში — მინის მძივთა ნატე-
ხები და ბეჭედის თვალი (იხ. სურ. № 28). ამ სამარხის დამატარიღებელი მთავარი
ნივთი მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი. ბეჭედის ბრტყელი, თანაბარი
სისქის რკალი უშუალოდ გადადის მრგვალ-ბაბრტყელბულ ფარავში, რო-
მეტედაც ამოკაწრულია ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა. მ. მაქსიმოვა
ამ უკანასკნელს ბიზანტიურ გემმებს აუკუთხებს და წარწერისა და ფორმის მი-
ხედვით ბეჭედს IV—V საუკუნეებით ათარიღებს¹²⁷. ამ თარიღს იზარებს
თ. ყაუხჩიშვილიც. რომელიც ბეჭედის შესახებ შემდეგს წერს: „წარწერა შინა-
არსით საქართვიან ხასიათისა, ამიტომ IV ს-ზე ადრე ის ჩვენში ვერ მოხვ-
დებოდა (კიუვაც). რომ ნივთი შემოტანილი იყოს და არა ადგილობრივი წარ-
მოშობისა“¹²⁸.

ბუნებრივია, რომ 234-ე სამარხში აღმოჩენილი დანარჩენი ნივთები — რეი-
ნის საკინძი, მშევილდასაკინძი, ბრინჯაოს სარდიონის თვალიანი საკინძი და სხვ. —
იმავე დროით უნდა თარიღდებოდეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ IV—V სს. ფერადი ქვებით შემცულ საკინძებში
თოთქმის არ გვხვდება ბურთულოვანი გვირგვინი, რომელიც VI—VIII სს. საკინ-
ძთა თავებს აქვთ ხოლმე ზემოდან და ქვემოდან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მი-
სი ჩანასახი IV—V სს. საკინძებში უკვე ჩანს. ამის მაგალითია 303-ე და 519-ე
ქვესამარხში მოპოვებული საკინძები. ამათგან ერთს თვეი (გრანტის მძივი)
წვრილდურთულოვანი გვირგვინითა აქვს გამოყოფილი ღეროსაგან (ტაბ. I, 9),
მეორეს კი, პირიქით, თავშე აქვს წვრილდურთულოვანი გვირგვინი (ტაბ. I, 10).
საგანგებოდ უნდა შევეხოთ XVII ტიპის მინის კურტლის თანმხლებ საკინძს.
ამ უკანასკნელს რკინის ღეროზე წამოცმული აქვს ღუვარდის წახანგოვნი მძი-
ვი, რომლის თავი და ბოლო შემცულია ბურთულოვანი გვირგვინებით (ტაბ. I,
14). უნდა ითქვას, რომ განხილული საკინძი ამ ქრონოლოგიურ ჯგუში შემავალ
საკინძთა შორის ყველაზე გვიანდელი ჩანს — V—VI სს. ამ თარიღს მხარს უჭერს
საკინძთან ერთად 101-ე ქვესამარხში აღმოჩენილი სხვა ნივთები; მაღალი
მშევილდასაკინძი, აქატის მთლიანი ქვისაგან თლილი ბეჭედი (ტაბ. I, 16, 47), სა-
ყურე და სხვ.

ზემოთ განხილული ნივთები გვათიქრებინებს, რომ იმდროინდელ ქართლ-
ში გვერცელებული საკინძები, ევოლუციას განიცდიან — მარტივი ფორმიდან
რო ყაუხჩიშვილის აზრით პირველი სტრიქონი იყოს განვითარება, ხოლო
წარწერ ერთ წარმოადგენს ერთ სტუცას „ღვთისა“.

¹²⁷ თ. ყაუ ჩ ჩ ი ვ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერება საქართველოში, თბ., 1951, გვ. 257.

¹²⁸ დას. ნაშრ. უნდა ითქვას, რომ ამ რა მტრის წარწერის შედა სტრიქონი სხვადასხვა-
გვარად ეშინს. მ. მაქსიმოვს ვარაუდო იქ არის რომელიც სახელის შემოკლება, ხოლ
თ. ყაუხჩიშვილის აზრით პირველი სტრიქონი იყოს განვითარება მარტივი და მთლიანი ერ-
წარწერ ერთ წარმოადგენს ერთ სტუცას „ღვთისა“.

ტურდება VI—VIII სს. (ლეონ I-ის მონეტის და არაბული ფელსის შემცირება) ქვისამარხებში ოღონჩენილი საკინძებით (ტაბ. II). უკრაინული
სამთავროს IV—V სს. საკინძების საყურადღებო ჯგუფია აგრესულ და მუსტახული რული და „ლურსმანთავინი“ საკინძები. პირველო გრძელი (7—II სს. სიგრძის) ნემის აქცი და თავის მოყვანილობით განირჩევიან ერთმეორისაგან; ზოგი მრგვალთავიანი (319-ე სამარხში), ზოგი თავდაბრტყელებული (168-ე ქვისამარხი), ხოლო ერთი (1939 წ. გათხრილ 243-ე ორმოსამარხში ნაპოვნს) თავზე სვასტიკის გამოხატულება აქცის გამოყვანილი (ტაბ. I, 21, 20, 19, 18).

სადა, „ლურსმანთავინი“ საკინძები (ტაბ. I, 21) სულ ორგან თანხვდება მინის ჰურპელს (111-ე ქვისამარხში, და 403-ე ქვისამარხში). მათი თავი მრგვალ-ბრტყელია და სადა, ხოლო ლერ, ზემოაღწერილ საკინძებთან შედარებით— მოკლე და წვრილი. საკინძები ეს ჯგუფი დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენ მიერ გამოყოფილი IV—V საუკუნეთა სამარხებისათვის. შემდეგ საუკუნეებში ისინი საესებით ქრება.

არანკული საყურადღებო სამკაულია რკინის დაფანგრული მშვილდსაკინძები, რომლებიც, სიეკვე, როგორც დაფანგრული საკინძები, დამახასიათებელია დროის მხოლოდ ზემოაღნიშნული მონაკვეთისათვის. მშვილდსაკინძები ორწილადია, ბუდეაბმული; დაფანგრული მშვილდი სხვადასხვა მოყვანილობისა აქვთ (მრგვალი, სამკუთხოვანი, სწორკუთხოვანი) (იხ. I ტაბ.).

მშვილდსაკინძები თარიღდება სამთავროშევე და არმაზისხევში იღმოჩენილი, მსგავსი მშვილდსაკინძების შემცველი სამარხების მიხედვით. ასე, მაგალითად, სამკუთხოვანი მოყვანილობის მშვილდის მქონენი, ზემომწევნით ანალოგიურია სამთავროს 234-ე ორმოსამარხში აღმოჩენილი მშვილდსაკინძისა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მასთან ერთად ნაპოვნი ბეჭდის მიხედვით, 1V—V სს. თარიღდება¹²⁹. საყურადღებოა აგრეთვე, რომ სამთავროს სწორკუთხოვანი მოყვანილობის მშვილდიანი მშვილდსაკინძები (ტაბ. I, 24) მსგავსია არმაზისხევის შე-40 ქვისამარხში ოღონჩენილი მშვილდსაკინძისა, ხოლო ეს უკანასკნელი, მაში მოპოვებული ნივთების მიხედვით, IV საუკუნით თარიღდება¹³⁰.

აღსანიშნავია, რომ არმაზისხევში 40-ე ქვისამარხში ზემოსხენებულ მშვილდსაკინძებზე მიყანგული იყო მრგვალვანიკვეთიანი მავთულის ორწილადი, ბუდეაბმული მშვილდსაკინძი¹³¹, ასც, ბუნებრივია, მათ თანადროულობას მიასწავებს. სამთავროს სამარგვანზე მსგავსი მშვილდსაკინძები თანხვდებიან ჩვენ მიერ გამოყოფილი მინის ჭურჭლის ერთ წყებას იმავე დროით, ე. ი. IV ან V საუკ. დასაწყისით თარიღდებიან.


საყურადღებოა აგრეთვე რკინის, მშვილდდაბრტყელებული მშვილდსაკინძები. ეს ტიპი იშვიათია და რაც არის—უკლებლივ ყველა დამტვრულია. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ მშვილდსაკინძი ორწილადია, მშვილდდაბალი და შუა ნაწილში მრგვლად დაბრტყელებული (ტაბ. I, 28).

ბრინჯაოს მშვილდსაკინძებიდან აღსანიშნავია წვრილი, მრგვალვანიკვეთიანი მავთულის, ბუდეაბმული და დაბალმშვილდიანი (ტაბ. I, 3, 29, 30). მართლია, ერთი ამაგვანი, 24-ე ქვისამარხში მოპოვებული დამტვრულია, მაგრამ ენის ბუდისა და ზამბარის მოყვანილობით იგი ზემოაღწერილ ტაბს ეკუთვნის. (ტაბ. I, 3).

¹²⁹ M. Mაკსიმოვა, დასახ. ნაშრ.; თ. ყაუ ტერიტორია, დას. ნაშრ.

¹³⁰ გცხეთა, I, გვ. 114—116, სურ. 72.

¹³¹ გცხეთა, I, სურ. 72.



նկ. 28





მ. ივაშენკო ზემოაღწერილ მშვილდსაკინძებს IV საუკუნით ათარიღებს საქონის და თარიღს სარწმუნოდ ხდის მათ შემცველ სამარხებში მოპოვებული სხვა ტემპლეებით თებიც—საკინძები, ბეჭდები, საყურეები, ფარშავანგის გამოხატულებითა და ბერძნული წარწერით შემკული თასი და სხვა. ამას გარდა გასათვალისშინებრელად ისიც, რომ 303-ე ქვისსამარხში ზემოხსენებულ მშვილდსაკინძებს თან აბლავს რეინის დაფანჯრული მშვილდსაკინძები და ეს, რა ოქმა უნდა, მათ თანადროულობასაც მოასწავებს.

დროის აღნიშნულ მონაცევეთში ხშირია ბრინჯაოს ბრტყელი, ჭვრისებრი მოყვანილობის მშვილდის მქონე და ბუდეაბმული მშვილდსაკინძები (ტაბ. I, 30). მსგავსი მოყვანილობის მშვილდსაკინძები აღმოჩენილი დასავლეთ საქართველში, წებელდის ერთ-ერთ სამაროვანზე, რომელსაც გამთხრელი ი. გელოშვილი III—IV საუკუნეებით ათარიღებს¹³². ანალოგიურ მშვილდსაკინძებს ბ. კუფტინი V საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს¹³³ და იმოწევებს ა. სპიცინს, ასალ ათონში აღმოჩენილი მსგავსი ფიბულების თაობაზე, რომელციც კეიისარ ანასტასიონის (491—518 წწ.) მონეტასთან ერთად არის ნაპოვნი¹³⁴. ზემოხსენებული ფიბულები ქართლის სამაროვანგბში დაცულ მშვილდსაკინძებთან შედარებით დიდი და ტრანგია, მაგრამ მოყვანილობით ზედმიწევნით მსგავსი. საყურადღებოა, რომ ანალოგიური მშვილდსაკინძები აღმოჩენილია აგრეთვე ბიჭვინტის ნაქალაქარში და ვ. ოთლორდავა მათ V საუკუნით ათარიღებს¹³⁵.

ჩვენი აზრით, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ჭვარისებრი მოყვანილობის მშვილდიანი ფიბულები IV—V საუკუნეებს უნდა მიყენოვნოს. ამ თარიღს, ზემომყვანილი ანალოგიების გარდა, გვაციქებებინებს მათ შემცველ სამარხებში აღმოჩენილი სხვა ნივთებიც (საკინძები, ბეჭდები და სხვ.).

V საუკუნიდაა და უფრო კი VI ს. დასაწყისიდან მოკიდებული სამთავროს სამაროვანზე მშვილდსაკინძები ფრიად მრავალრაცხოვანია და ინკრიტის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს. ღროის ამ მონაცევეთში მშვილდსაკინძები წარმოდგნილია ნაირნაირი ვარიანტებით, რაც მათ ევოლუციას მოწმობს და კარგადაც ჩანს. თუნდაც ჩვენ მიერ გამოყოფილ პირველ ქრონოლოგიურ ჭვულში, რომელშიც უკვე კვლებით (V საუკუნის დასასრულიდან) მაღლალშვილიან მშვილდსაკინძებსაც. ისეთებია, მაგალითად, მინის ხორქლიანი ჭურჭლის შემცველ 88-ე ქვისსამარხში მოპოვებული მაღალმშვილდიანი, ვიწროცხვირიანი, ბეჭდეაბმული ბრინჯაოს მშვილდსაკინძები და 265-ე და 101-ე ქვისსამარხში აღმოჩენილი რეინის მაღალმშვილდიანი მშვილდსაკინძები (ტაბ. I, 15). ეს საკინძები კი, ყველა ჩვენი აზრით, V საუკუნის დასასრულით უნდა თარიღდებოდეს.

მინის ზემოაღწერილი კურტლის თანხმულები ნივთებიდან საყურადღებო ჭგუფს შეაღენს სათითო ბეჭდებიც. მათ შორის უწინარეს ყოვლისა აღსანიშავია ოქროს ბეჭდები, რომელებიც აღმოჩენილია 1946 წელს სამთავროს

¹³² М. Иващенко, ღას. ნაშრ. (ხელნაშ. ისტ., არქ. და ეთნოგრ. ინსტიტუტის არქივში).

¹³³ ა. გ დ ლ ი შ ვ ი ლ ი, ღას. ნაშრ., გვ. 94.

¹³⁴ Б. Куптиნ, Материалы к археологии Колхиды, Тб., 1949, стр. 93—95.

¹³⁵ А. Спицын, Могильник V века в Черноморье, ИАК, вып. 23, 1907, СПб, стр. 103—107; Н. Репников, Каменные ящики Байдарской долины, ИАК, вып. 30, СПб, стр. 109—141.

¹³⁶ ვ. თ თ ლ ი რ დ ა ვ ა, ლითონის ინვენტარი ბიჭვინტის ჩაქალაქარიდან (ხელნაშერის ისტ., არქ. და ეთნოგრ. ინსტიტუტის არქივში).



ჩრდილო უბნის 556-ე, 558-ე და 559-ე ქვისსამარხებში (ტაბ. I, შემოუყვება 35, 30).

ოთხივე ბეჭედი ერთი ტიპისაა და ფურცლოვანი ოქროსაგანა გაკეთებული. თითოეულის ჩალი გვერდებისაკენ განშიღულია, მხრებთან გაფართოებული და ოვალური მოყანილობის თვალბუდეში გარდამავალი, ხოლო თვალბუდე ჩალშივე ორის ამოკრილი. ორი ბეჭედი გლუვია, მესამეს მხრებში „წიწვოვანი“ ჰდებული ორნამენტი აქვს, მეოთხის თვალბუდეს ირგვლივ გავარსი შემოუყვება.

ზემოაღწერილი ბეჭედი მსგავსია არაზისსხვის IV საუკუნის, მე-12 და მე-19 ქვისსამარხებში აღმოჩენილი ბეჭედისა¹³⁷ და იმავე დროით თარიღდება. იმ თარიღს გვანიშებს აგრეთვე სამარხებში აღმოჩენილი სხვა ნივთები—მშენლდსაკინძები და ლეროვანი საკინძები. ყოველივე ზემოთქმული კი უფლებას გვაძლევს სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელიც იმავე დროით დავთარიღოთ (ტ. II, 15).

ჩვენ მიერ გამოყოფილი XXII ტიპის სანელსაცხებლე 1939 წ. 198-ე ქვისსამარხში თან ახლავს ოქროს ბეჭედს (იბ. ტაბ. I, 37). ბეჭედის ჩალი ოვალურია, მხრებთან იფნავ გაფართოვაბული და აქეთ-იქით დაკუთხული; ჩალს ირგვლივ იფნავ შესამჩნევი, დაბალი წიბი აქვს; შემალებულსა და ჩალისაგან ვამოყოფილ თვალბუდეს ირგვლივ გავარსი შემოუყვება (ზუდე დაჭუტებით), თვალი დაკარგული.

საყურადღებოა, რომ ეს ბეჭედი აგრეთვე ანალოგურია არაზისსხვის IV-ს.-ით დათარიღებულ, 42-ე და 48-ე ქვისსამარხებში აღმოჩენილი ბეჭედისა. მათაც დაკუთხული მხრები აქვთ და შემალებული თვალბუდის ირგვლივ გავარსი შემოუყვებათ¹³⁸. ბუნებრივია, რომ სამთავროს აღნიშნულ სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელიც იმავე დროით, IV საუკუნით დათარიღდება.

საგანგებოლ უნდა შევჩერდეთ XV ტიპის სანელსაცხებლის თანმხედე ოქროს ბეჭედზე (ს. წ. № 100). იგი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე 1939 წელს გათხრილ 24-ე ქვისსამარხში. ბეჭედის ბრტყელი, თხელფურცლოვანი ჩალი მხრებისაკენ ფართოვდება და გადადის შემალებული, ოვალურ თვალბუდეში. რომელშიც ზის საჩიონის თვალი (ინტალი-თვევზი). მთავარ თვალბუდეს აქეთ-იქით დარჩილულია პატარა, გულის მოყვანილობის თვალბუდები (თვევზი და დაკარგულია); თვალბუდებს ირგვლივ ოქროს გავარსი შემოუყვება (იბ. ტაბ. I, 37).

ზემოაღწერილი ბეჭედი მსგავსია ბ. კუჭტინის მიერ წალის რაიონის ნასოფლარ სანომერში, ცელი ქართული ეკლესის ნაგრძევებთან შემთხვევით ნაპონი ბეჭდისა, რომელსაც იგი ზოგადად „გვიანანტიური დროით“ ათარიღებს¹³⁹. ზედმიწევნით მსგავსი ბეჭედი აღმოჩენილია ქსნშე, სოფ. აღაინში—თიბის სარკოფაზში, რომელსაც თან ახლდა კონსტანტინე დიდის (303—311 წწ.) და ნუმერანის (283—284 წწ.) მონეტების მიბაძვით მოჭრილი აფეთქოლმარივა მონეტა¹⁴⁰. ანალოგიური ბეჭედი ნაპონია 1949 წელს, რუსთავის მე-3-ე თარი-

¹³⁷ გებეთა, I, გვ. 104—110, ტაბ. XCVII.

¹³⁸ გებეთა I, ტაბ. XIV, 1, 2.

¹³⁹ Б. Күфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 24, სტრ. 27.

¹⁴⁰ ს. მაკა ლათია, არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფ. საკაბანიში, დაბლა გომში და აღაიაში, საქ. საბ. მეზ „მომზე“, ტ. XI B, თბილისი, 1941, გვ. 87—90; А. Зограф, Находки античных монет на Кавказе, Труды отдела нумизматики, Гос. эрм., Ленингр., I, გვ. 31.

მსგავსი ბეჭედი იყო აგრეთვე არმშისხევის მეოთხე საუკუნის 40-ე ქვემდებული სამარხში¹⁴⁵. ოღონდ მას, ზემოხსნენებული ბეჭედისაგან განსხვავდით. თვალი დიდი აქვს და ბუდეს იჩვლოვ გავარსი შემოუყვება. ამრიგად, მოყვანილი პარალელების მიხედვით, სამთავროს 24-ე ქვისასმარტი აღმოჩენილი ბეჭედიც IV—V საუკუნით თარიღდება, ისევე როგორც მისი თანმხლები სხვა ნივთები, აქრძოდ, მინის კურტელიც.

როგორც ითქვა, ბეჭედს თვალად უზის სარდიონის გემმა. მ. მაქსიმოვა მას ქ. წ. I და ა. წ. I საუკუნებით ათარილებს (თანხლები მინის კურტელის მახედვით)¹⁴⁶ და თან აღნიშნავს, რომ ანალოგური გემმები გავრცელებულია რომაულ გლიპტიკაში. ინტალიოს შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, საცებით შესაძლებელია, რომ მართლაც ქველი თვალი შემდეგ უფრო გვიან გამოყენებითათ ახალ ბეჭედში ჩასამელად. — მითუმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები ხშირია. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თვით ბეჭედის ფორმა გვიანდელია. ამასთანავე შეიძლება ითქვას, რომ ეს ფორმა აღგიღლობრივია და დროის გარკვეულ მონაკვეთში გავრცელებული ყოფილი აღმოსავლეთ საქართველოში.

გ. ჩეგისიმოვა სამთავროს სამაროვანშე ზემოაღწერილ ბეჭედთან ერთად აღმოჩენილ ჩვენი XV ტაბის მინის კურტელს (ტაბ. I, 15 ა) ქ. წ. I ს-ით ათარილებს, ვერ დავეთანხმებით პატივუმშულ მკელევარს, რადგან სრული დარწმუნებით შევვიძლია განვაცხადოთ, რომ მსგავსი მოყვანილობის მინის კურტელი არ გვხვდება არც სამთავროს სამაროვანშე გათხრილ ას. წ. I—III სს. და არც სხვა სამაროვანთა იმავდროულ სამარხებში, ხოლო ამ სანელსაცხებლებთან ერთად ნაპოვნი ნივთები, როგორიცაა ზემოხსნენებული ბეჭედი, საკინძებიც, მშვილდისაკინძები და სხვ., აგრეთვე IV—V სს. თარილდება (ტაბულა I, 37, 26, 8).

IV—V საუკუნეთა ბეჭედებიდან საყურადღებოა ერთი, სამთავროს სამაროვანშე 1939 წელს გათხრილ 134-ე ქვისასმარტი აღმოჩენილი, რომელიც თან ახლავს ფერად მინის ძალით შემცულ კურტელს (ХХ ტაბი). იგი ოქროსია; რკალი მრგვალგანივეკვეთიანი, წვრილი მავთულისაგან აქვს ნაკეთები, ხოლო ზედ პირჩლლელია დაბალი, მრგვალი ბულე, რომელშიც ზის ლაჟვარდის სადა თვალი (ტაბ. I, 39). ეს ბეჭედი მოყვანილობით განიჩრჩევა აღმოსავლეთ საქართველოს I—III საუკუნეთა ბეჭედებისაგან და მსგავსი VI—VIII საუკუნეთა ბეჭედებისა. ამდენად იგი უახლოვდება სამარხთა უფრო გვიანი გვეუცისათვებისათვებისათვები ინვენტარს. მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ დასავლეთ საქართველოში მსგავსი ბეჭედები გვიანანტიკურ ხანაშია ცნობილი. ამის მაგალითია ურეკში, III—IV სს. მიზნის კუთვნილ სამარტი აღმოჩენილი ბეჭედი¹⁴⁷.

IV—V საუკუნის ბეჭედებიდან აღსანიშნავია აგრეთვე რეინისაგან ნაკეთები. ამათვან ერთი სამთავროს სამაროვანშე 1939 წელს გათხრილ 234-ე ორმოსა-

¹⁴¹ გ. ლომთათაძე, რესთაუში წარმოებული არქეოლოგური თხრის უმნიშვნელოვანები შედეგები, გვ. 180.

¹⁴² მცხეთა, I, გვ. 115, ტაბ. XIII.

¹⁴³ მ. მაქსიმოვა, და, ნარ., გვ. 243.

¹⁴⁴ ა. აფ. ა ჭ. ბ ე, გვიანანტიკური ხანის არქეოლოგური ძეგლები ურეკიდან, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მომზე, XIV—B, 1947, გვ. 89—125, სურ. 2. ურეკში მოპოვებული ბეჭედი შედარებით მასთურია, მას თვალშელი თვალშელი და ფართო ლე აქვს.

მარხშია ოღონჩენილი ზემოსსენებულ მინის კურპელთან (ფერადი მინის ძალით შემცულ სანელსაცხებლესთან) ერთად. ბეჭდის ბრტყელი, თანაბარი სისტემა უძრავი ლი უშეალოდ გადაის დიდ, დაბრტყელებულ, სწორქუთხოვან ფარაონი (ტაბ. I, 4). ბეჭედი კეთების ტექნიკითა და ფორმით ემსგავსება 234-ე ორმოსამარხში ოღონჩენილ და IV — V საუკუნეებით დათარიღებულ ბრინჯაოს ბეჭედს, ოღონდ ეს უკანასკნელი მრგვალუარაკიანა¹⁴⁵.

ამავე ღრიოთ უნდა თარიღდებოდეს მინის ზედაპირდაკეპნილი და ინკრუსტიაციამნილი ბეჭდები (ტაბ. I, 41, 42).

საგანგებოდ უნდა შევეხოთ 101-ე ქვისსამარხში ოღონჩენილ, აქატისაგან გამოთლილ ბეჭდებს (ტაბ. I, 16), რომელიც თან ახლავს ჩვენ მიერ გამოყოფილ XVII ტიპის სანელსაცხებლებს, საერთოდ ქვისგან მთლიანად გამოთლილი ბეჭდები (სურდოლიკის, აქატისა) ერთ-ერთი დამახასიათებელი სამაცალია ქართლის VI — VIII სს. სამარხებისათვის (სამთავროს გარდა არმაზისხევი, ნავთსადენი, რუსთავი და სხვ.). მასთანავე, IV—V საუკუნეებისათვის ამგვარი ბეჭედი ტიპიური არ არის. ძველ უნდა ითქვას, რომ მინის კურპლის ჩვენ მიერ გამოყოფილი ქრონლოგიური ჯვრების (IV—V სს.) შემცველ სამარხებს შორის, 101-ე ქვისსამარხის უფრო გვიანდებული ჩანს. ამას გვანიშნებს შიგ ოღონჩენილი სხვა ნივთებიც — ბურთულოვანი გვირგვინით შემცული საკინძი, მაღალი შშეილდაკანძი და სხვ. მაგრავ ეს არ ნიშნავს, რომ XVII ტიპში შემავალი სანელსაცხებლები IV—V საუკუნის სამარხებისათვის არ იყოს დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, სამთავროს 265-ე და 490-ე სამარხებში ოღონჩენილია ისეთი ნივთები, როგორიცაა გრანატისთვიანი საკინძები და ბრინჯაოს შშეილდასკანძები, რომლებიც სწორედ შემოაღიშნულ (IV — V სს.) ქრონლოგიურ ჩარჩოში ექცევა. საბეჭდებები IV—V საუკუნეთა მინის კურპლის შემცველ სამარხებში მხოლოდ ორი ცალია ნაპოვნი: ერთი მინისა, მეორე ქალცედონისა.

მინის საბეჭდავი ოღონჩენდა 1939 წელს გათხრილ 303-ე ქვისსამარხში (ტაბ. I, 43) XV და XVI ტიპის სანელსაცხებლებითან ერთად.

იგი გაეთებულია მუქი, მექანიზმი ძლიერ გამოფიტული მინისაგან და არა ქვისაგან, როგორც მ. მაქსიმოვა ოღონჩნავს¹⁴⁶. მოყვანილობით ცალგვერდაბრტყელებული მნიშვნელი მსგავსია. დაბრტყელებულ მხარეზე (ფარავზე) ახლა არაფერი არ ემჩნევა, თუმცა მ. მაქსიმოვას აზრით თვის დროზე ზედ ჩიტის გამოხატულება ყოფილა. ვეტორის განსაზღვრით, საბეჭდავის ფორმა ტიპიურია აქემენიდების დროის ირანული გლიპტიკისათვის და იგი მასთან ერთად ნაპოვნი მინის კურპლის მიხედვით ძ. წ. I და ა. წ. I სს. თარიღდება¹⁴⁷.

ჩვენი აზრით, 303-ე ქვისსამარხში ოღონჩენილი საბეჭდავის დამთარიღებელ ნივთებად შევგიძლია მინისით ბრინჯაოს გრანატისთვიანი საკინძები, რენის დაფანჯრული შშეილდასკანძები, ბეჭდები, საყურეები და სხვ. (ტაბ. I, 24, 8, 9), რომლებიც თარიღდებიან ანალოგიების მიხედვით და ძეგლის ასაკს გარკვეულ ქრონლოგიურ ჩარჩოში (IV—V სს.) აქცევენ.

იმავე ღრიოთ (ძ. წ. I ს. და ა. წ. I ს.) ათარიღებს მ. მაქსიმოვა ქალცედონის საბეჭდავს, რომელიც მოპოვებულია 1939 წელს, ჩრდილო უბნის 171-ე ქვისსამარხში (სავ. წ. № 1174, ტაბ. I, 44).

¹⁴⁵ M. Максимова, დას. ნაშრ., გვ. 261—262; ა. კაუხ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ. 83. 266—267.

¹⁴⁶ ირივ საბეჭდავი გამოქვეყნებულია მ. მაქსიმოვას ნაშროში, გვ. 265, 267, კატალოგის №№ 69, 73; (Геммы из некрополя Мцхета-Самтавро, ს.ქ. მუზეუმის „მოამბე“, XVI, გვ. 19).

¹⁴⁷ ძ. წ. I ს. და ა. წ. I სს.



Саბе́к-Да́ви ნაც-Риსფერი ქალცედონისაგანაა გამოთლილი და მოყვანილო—^{ურთისას შესლი იმპერია} ბით ემსგავსება 303-ე ქვისსამარხში აღმოჩენილ მინის საბე́კ-დავს, ოლონდ უფრო დიდი და მასიურია. მის დაბრტყელებულ მხარეზე ამოკრილია ზორისატრული გენის — სერიშის გამოსახულება (ფრთოსანი არსება, რომელსაც ხელში გვირგვინი უჭირავს). მ. მაქსიმოვა მისთან დაკავშირებით იმოწმებს ა. ბორისოვის წერილსა და ჰორნის ნაშრომებს¹⁴⁸.

რაც შეეხება საბე́კ-დავზე ამოკრეთილ ინტალიოს სტილისტურ ანალიზს, ამოკრის მანერას, ამის შესახებ ვერას ვიტუვით, ჩევნის კომპეტენციას სცილდება, მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ თვით მ. მაქსიმოვას მიერ მითითებულ ნაშტომებში ანალოგიური გამოხატულებანი სასანური უპოქისადმია მიეუთვებული, ერთგარ გაუგებრობას იწვევს მის მიერ დადგენილი თარიღის მხრავ. ამც უნდა ითქვეს, რომ მ. ივაშჩენკო ზემოხსენებული საბე́კ-დავების შესახებ თუმცა უცერს არას ამბობს (რალგონ მისი სიტყვით, მათი შესწავლა მინდობილი აქვს მ. მაქსიმოვას), მაგრამ მაინც აღნიშვნავს, რომ სამთავროს სამაროვანზე ნაბოვნი ზემოხსენებული საბე́კ-დავები და მათი მსგავსი ე. წ. სასანურ საბე́კ-დავებს წარმოადგენენ და IV—VI სს. თარიღდებან¹⁴⁹.

გაშესაძლამ, ჩვენ ვერ გვიზითარებთ მ. მაქსიმოვას მიერ ამ საბე́კ-დავების მინის კურკლის მიხედვით ძ. წ. I საუკუნის და ას. წ. I საუკუნით დათარიღდებას, რადგან უკველელი გვვინა, რომ სამთავროს სამაროვანზე იმ რიცე ტიპის კურკელი IV—V საუკუნეებია, თარიღდება.

IV — V საუკუნეთ მინის კურკლის თანხელები ნივთების საყურადღებო ჯგუფს წარმოადგენს აგრეთვე საყ უ რ ე ბ ი, რომლებიც აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე გათხრილ, მინის კურკლის შემცველ ხეთ სამარხში: 1938 წ. 22-ე ქვისსამარხში, 1939 წ. 89-ე, 101-ე და 303-ე ქვისსამარხებში და 1948 წ. 701-ე ქვისსამარხში. ამათვან რომ 22-ე და 303-ე — სამარხებში აღმოჩენილი სამ წყვილი საყურე ერთი ტიპისა: მრგვალგანივეკეთიანი მავთულის პირსნილ რკოლზე სხვადასხვა წესით მირჩილულია ყუნწი, დერაკზე ასხმულია ნაირნაირი მძივები. სამი წყვილი საყურიდან ორი აქროსია, ერთი ვერცხლისა (ტაბ. I, 45, 46, 47).

303-ე ქვისსამარხში მოპოვებულ ოქროს საყურეს (ტაბ. I, 45) პირსნილ რკოლზე მირჩილული აქვს ყუნწი და ყუნწითვე ჩამოყიდებულ დერაკზე აცმულია გრანატისა და მარგალიტის ოთხი სხვადასხვა ზომის მძივი. განსაკუთრებული აღნიგობა აქვს იმავე სამარხში იღმოჩენილ მეორე წყვილ საყურეს (ტაბ. I, 47), რომლის რკოლზე მირჩილულია ყუნწი, ხოლო ამ უკანასკნელის 0.3 სმ. დაშორებით მირჩილულია ლერაკი და ზედ აცმულია პაწი მარგალიტი. 22-ე ქვისსამარხში აღმოჩენილ ვერცხლის საყურეს (ტაბ. I, 46) ყუნწის დერაკზე აცმული აქვს მარჯნის, „როდინის მოყვანილობის“ მძივი, რომლის თავი და ბოლო ვერცხლის წვრილი ბურთულოვანი გვირგვინი არის შემკული.

ზემოაღწერილი საყურეები თარიღდება არმაზისხევის სამაროვნის მიხედვით, სადაც სავსებით მსგავსი საყურეები III საუკუნის დასასრულიდან ჩნდება (არმაზისხევი, მე-2 ქვისსამარხი, სავ. წ. № 49); სამარხი თარიღდება

¹⁴⁸ М. Максимова, და. ნაშ. А. Борисов, Об одной группе сасанидских резных камней, Труды отдела Востока Гос. Эрмитажа, I, табл. VI, № 4.

¹⁴⁹ М. Ивашенко, Погребе ния Самтаврского могильника IV и послед. вв. II/3. (ხელნაწერი). ხაზგამით აღსანიშვნავა, რომ აღლოგიური საბე́კ-დავი აღმოჩენილია თბილისში, კრევლე მეორეს მოედანზე თხზულს (ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, მ. ტ კ კ შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თბილისში მატერიალური კულტურის მეგლები, 1961, გვ. 32, სერ. 2).



კეისარ ვალერიანის — 253—260 წწ. — მონეტის მიხედვით¹⁵⁰. უძრავი გერმანია საყურებები აღმოჩენილია IV საუკუნის ნივთებს შორის: 43-ე ქვისამარხში (საკ.) წ. №№ 683, 684, სადაც მათ თან ახლავს კონსტანტიუსას (337—361 წწ.)¹⁵¹ მონეტა და აგრეთვე მე-13, მე-19, 38-ე და 40 ქვისამარხებში¹⁵². (თუმცა ამთვან ზოგიერთი უფრო რთული აღნაგობისაა¹⁵³, მოყვანილობა მარც ერთი და იგივე აქვთ).

ზემოაღწერილი საყურებების დათარილებისათვის, ვფრქნობთ, უსათუოდ გასათვალისწინებელია, რომ გ. ნიორაძე კარსისხევის სამაროვანზე გათხრილ 1-ლ, მე-4 და მე-8 ქვისამარხებში აღმოჩენილ ანალოგიურ საყურებებს საქართველოში „ქრისტიანობის დასტურისით“ ათარილებს¹⁵⁴; გ. ლომთაძე არს-თავში (მე-2 და მე-4 ორმოსამარხებში) აღმოჩენილი მსგავსი მოყვანილობის, ოქროსა და ბრინჯაოს საყურებების ხნიანებას აღრეფებალური დროი და-საწყისით, IV—V სს.-ბით განსაზღვრავს¹⁵⁵; მიაკვ დროს აქუთვნებს გ. ცეიტიშვილი ძევრში აღმოჩენილ ანალოგიურ ბრინჯაოს საყურებებს¹⁵⁶.

ამ საყურებების თარიღთან დაკავშირებით ისიც უნდა გვახსოვდეს. რომ არ-მაზისხევის მე-40-ე ქვისამარხში და კარსისხევის მე-8 ქვისამარხში ისინი ნაპოვნია დაბალ სადამშევლდან, ბუდეამშულ შვეიცილდან მინტებთან ერთად, ხოლო კარსისხევის 1-ლ, მე-4, მე-8 ქვისამარხებში და სამთავროს 303-ე ქვის-სამარხში — გრანატისთავიან საკინძოთან ერთად.

ეს სამკაულები კი, როგორც უკვე ითქვა, IV—V საუკუნეების სამარ-ხეული ინერციარის ერთ-ერთი დამსახუათებელ ჭგუფს შეაღებს.

ზემოაღწერილ საყურებებს ემსგავება 101-ე ქვისამარხში აღმოჩენილი რკინის საყურე (ტაბ. I, 47), რომელსაც შედარებით მარტივი აღნაგობა აქვს: ჰოზრდილ, ამჟამად დაუანგულ და საკმაო დეფორმირებულ პირსნილ რგოლზე მირჩილულია პარია ლერაკა, ხოლო მასზე აცმულია მწვანე მინის შიგი. ჩვენი აზრით, ეს საყურე შეიძლება რამდენადმე მოგვანი დროს მიეკუთვნოს. ასე გვაფიქრებინებს, როგორც უკვე ითქვა, სამარხში აღმოჩენილი სხვა ნივთებიც: აქატის ქის ბეჭედი, ბრინჯაოს ბურთულოვანი გვირგვინით შემქული საკინძი და სხვ.

¹⁵⁰ მცხეთა, I, გვ. 43, 46, ტაბ. XLVI, 3, 4.

¹⁵¹ იქვე, გვ. 121, 123, ტაბ. CIII, 5, 6, 7, 8.

¹⁵² იქვე, გვ. 106—108, 112, ტაბ. XII, 7, 8, XIII, 4, XIII, 4. აცტორები საყურეთა ამ ტიპს „აზმაზისეველრს“ უწოდებენ.

¹⁵³ იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგარი საყურები დაცულია საქ. სახელმწიფო ხელოვნების ისტორიის საგანმარტინო—ოქრო-ვერცხლის ნივთებს შორის, რომელიც აღმოჩენილია 1917 წელს ქსნის ხეობაში, ახალგორის მახლობლად. ეს საყურადღებო მონაცემი პირველი გამოქვეყნებულ აქვთ უცხეთა, I-ს აცტორებს, როგორც არმაზისხევის IV—V ს-ნეთა ინერციარის პარლელი (გვ. 202—203). საყურებთან ერთად იქ ნამოქნია სხვა ნივთებიც: ბრინჯაოს მშელდაკინი, ოქროს ბეჭედი, მონეტები და ა. შ. ორი მონეტიდან ერთი შემორჩილია (303—380 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ სანქენტარო დაფარიში ამ მონეტას ცალკე ნებრი არა აქვა, ე. თაყაოშელის ჩანწერის მიხედვით იგი ამ კოლექციას უნდა ვეუთვნიდეს №№ 2352—2362 ნამოქნია სისულათზე, ქსნის ხეობაში, ახალგორის მახლობლად. იქიდანვე ჩამოიტანეს მა ნივთებთან ერთო გაუმჯობელ კორცხლის ფული ავგუსტო კისტებისა.

¹⁵⁴ გ. ნორა გ. კარსის ხევის სასალო.

¹⁵⁵ გ. ლომთა თითი გ. რუსაშემო თხრისა... შედეგები.

¹⁵⁶ გ. ცეიტიშვილი, ისეუარჭილის ორმოსამარხები.



სამარკოს სამარკონზე IV—V საუკუნეებში ვხვდებით აგრეთვე ნახტერშიც უცილესის მოყვანილობის საყურებებსაც. ისინი თან ახლავან მინის ჰუმურულის, ჩვენ მიერ გამოყოფილ IX ტიპს და IV საუკუნით უნდა თარიღდებოდნენ:

მინის ჰურკლის ჩვენ მიერ გამოყოფილ (II, IV, VIII, IX, XVII, და XX) თანხმლები ნივთებიდან აღსანიშნავია აგრეთვე სამარკლის უნდა რეგის რომლებიც ნაპონის მინის ჰურკლის შემცველ ექვს სამარხში: 1938 წ. 24-ე ორმოსამარხში და 230-ე ქვისამარხში, 1939 წ. 243-ე ორმოსამარხში, 1940 წ. 101-ე ქვისამარხში და 490-ე ქვისამარხში, 1946 წ. 526-ე ქვისამარხში. ამათგან უთი ბრინჯაოსა და ორ რკინისა. რკინის სამარკლები, რომლებიც თან ახლავს XVII ტიპის სანელსაცხებლებს, დამტვრეული და ნაკლულია. შემოჩენილი ნატეხების შინებვით ჩანს, რომ სამარკლები მრგვალგანვევეთიანი მავოულისაგანა გაყეთებული (ტაბ. I, 48). რაც შეეხება ბრინჯაოს სამარკლებს, ისინი უკეთა შემონაცული, მაგრამ ერთი მათგანი მოპოვებული 230-ე ქვისამარხში, როგორც უკვე იქვა, გაღუნული და დეფორმირებული აღმოჩნდა, ისე რომ ფორმის აღდგენა ვერ ხერხდება. განარჩენთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა 243-ე ქვისამარხში აღმოჩენილი წყვილი სამარკლი (ტაბ. I, 49), რომლებიც თან ახლავს XXII ტიპის მე-2 ქვეტიპის სანელსაცხებლებს. ისინი მრგვალგანვევეთიანი ბრინჯაოს მსხვილი მავოულისაგანა გაყეთებული. სამარკლი შეაში იღნავ გამსხვილებულია, ხოლო ბოლოები ერთიმეორებული გადაწყნული აქვს; ხაზებისმით აღსანიშნავია, რომ ზემოალწერილი ზედმიწევნით ემსგავსებიან ახ. წ. I—III სს. სამარხებისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ტიპი. ასეთებია: ¹⁵⁷ არმაზისხევის მე-9 სამარხში აღმოჩენილი ოქროს წყვილი სამარკლი, ბორბი და ტანაიში მოპოვებული სამარკლები, მაგრამ აქვე უნდა შევიშნოთ, რომ სამთავროსა და არმაზისხევში ამგვარი სამარკლები არა მარტო IV—V, არამედ VI—VIII საუკუნეებშიც კი განაგრძობენ აჩაუბობას. ასეთებია, მაგალითად, სამთავროს სამარკონზე 1938 წელს 118-ე ქვისამარხში, 1948 წ. 704-ე და არმაზისხევის („ტყის უბნის“) მე-12 ქვისამარხში აღმოჩენილი სამარკლები. ეს სამარხები კი, მათში დაცული ნივთების შინებვით VI—VIII სს. მოეკუთვნება ¹⁵⁸. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ხაზი მსგავსი მოყვანილობის სამარკლები აღმოჩენილია აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში და სწორედ ასევე გვაიძლეთ სამარხებში ¹⁵⁹.

თიხის ჰურკლი სამთავროს სამარკონის, მინის ჰურკლის შემცველ სამარხებში სულ ორ ცალია აღმოჩენილი. მათგან ერთი, წითელი თხებს ხელადა მოპოვებულია 559-ე ქვისამარხში (ტაბ. I, 50). სადაც იგი თან ახლდა XV ტიპის პირველი ქვეტიპის სანელსაცხებლებს. ამ ხელადას პირი გადაშლილი აქვს, მომალლო და ვიწრო ყელი უშუალოდ გადადის მსხლისებური მოყვანილობის ტანში და ფართო, ბრტყელი ძირით სრულდება; ყურის ქვედა ბოლო პირს ქვემოთ ეკვრის ტანის ზედა ნაწილს. ხელადის სიმაღლე

¹⁵⁷ მცხოვა, I, ტაბ. XXXVIII, 3, 3.

¹⁵⁸ П р и д и к, Новы Кавказские клады, Материалы для археологии России, вып. 34, Петрогр., 1914, табл. II—V; Т. К н и п о в и ч, Танаис, М.-Л., 1949, стр. 60 рис. 17; П. У в а р о в а, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, 1900, (Москва, стр. 119, таб. LXI; Далагкай, стр. 160, таб. LXXII; Комунта, стр. 308—309, таб. CXX—XXV).

¹⁵⁹ მცხოვა, I, გვ. 140; 135, 146, ტაბ. CXVII, 34.



უდრის 25 სმ, პირის დიამ. 4,8 სმ, ყელის სიმაღლე—5,4 სმ, ტანის ფართის დაცვული რიცხვი—11 სმ, ძირისა—10 სმ. ეს ხელადა მოყვანილობით, თიხის ხარჯის შემცირების დროის გამოიჩინება სამთავროს სამარვანზე ახ. წ. I—III სს. სამარხებში მრავალდ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლისაგან.

საურადლებოა, რომ ახორივე ჭურჭელი მოპოვებულია ცხინვალის ნაცარ-გორაზე გ. გობეგიშვილის მიერ, 1947 წელს. მას გამოხატული გვიანანტიური ღროით ათარიღებს, სტრატიგრაფიული დაკვირვების საფუძველზე (მისი სიტყვიერი ცნობა). სამთავროში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი IV საუკუნით თარიღდება, 559-ე სამარხეში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდის მიხედვით (ტაბ. I, 33, 34). რომელიც მსგავსია არმაზისხევის, მეოთხე საუკუნის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ ბეჭდებისა, და რომლის შესახებ თავის ადგილას უკვე ითქვა.

მეორე ჭურჭელიც ხელადაა, აღმოჩენილია 1939 წ. 168-ე ქვის-სამარხში, XXII ტიპის სანელსაცხებლე ჭურჭელთან ერთად (იხ. ტაბულა I). ხელადას პირი ჩამოტეხილი აქვს, ყური—მოტეხილი. ფართო, დაბალი ყელი უშუალოდ გადადის დამგდარ, გამობერილ ტანში, რომელიც ფართო, ბრტყელი ძირით ბოლოვდება. ჭურჭლის სიმაღლე უდრის 17 სმ., პირის დიამ.—6,5 სმ., ტანის დიამეტ.—14 სმ., ძირისა—16,2 სმ. ხელადა, მოყვანილობით, თიხის ხარისხითა და ფერით გამოიჩინება სამთავროს ახ. წ. I—III სს. ჭურჭლისაგან: იგი გამომდერწილია ყვითელი, მსხვილმარცლვანი თიხისაგან და საკამაოდ ცუდადაა გამომწვარი.

ჩვენი აზრით, ჭურჭელი, მასთან ერთად ნაცოვნი ნივთების (ბრინჯაოს და რინის საყინძების) მიხედვით, V საუკუნით უნდა თარიღდებოდეს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ სამარხეულ ინვენტარში ჩვენ მიერ გამოყოფილ ქრონოლოგიური ჯგუფი, თუმცა კი იჩენს ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშანს, მანც უკავშირდება როგორც ახ. წ. I—III სს, ისე მომდევნო VI—VIII სს. სამარხებში დაცულ ნივთებს. მაგალითად, მინის სათანადო ჭურჭლის ტიპების შემცველ სამარხებში მოპოვებულია ოქროსა და ბრინჯაოს კილოტები, რომელთაგან ზოგი სადა, პაჭია, ნახევარსფერული მოყვანილობის ყუხწიანი ღილები (ტაბ. I). ცნობილია, რომ ასეთი კილოტები ერთ-ერთი დამახასიათებელი და ფრიად გაფრცელებული სამკაულია სამთავროს, არმაზისხევისა და ბაგინეთის II—III სს. სამარხეული ინვენტარისათვის¹⁶⁰ და III საუკუნის შემდგომ გაღმონაშოთის სახით-ლა გვხვდება ერთ ხან.

იგივე უნდა ითქვას 1946 წ. 561-ე ქვისსამახში აღმოჩენილი ურცელის აბზინდის შესახებ. აბზინდა (ტაბ. I) მასიური, სქელი მავთულისაგანაა გავრცელებული და ნახევარსტრიული მოყვანილობისა; ენიანი ნაწილი გატარებულია წრიული მოყვანილობის, ორად მოკერილ ფირფიტში. ამ აბზინდას მიახლოვებითი ანალოგიები მოეძებნება I—III სს. ისეთ სამარხებში, როგორიცაა მაგალითად, სამთავროს 212-ე ქვისსამარხი¹⁶¹; ასპარუგ ერისთავის სამარხი არმაზისხევში¹⁶² და სხვ.

IV—V საუკუნეთა და სხვ. სამარხებში ამგვარი მოყვანილობის მხოლოდ ერთი აბზინდა გვვქვს და ისიც გადმონაშოთს შთავეჭდილებას ტოვებს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ზემოგანხილული ნივთები თითო-ორთოლა.

¹⁶⁰ მცხოვა, I, გვ. 31.

¹⁶¹ М. Иващенко, Отчеты южной группы Мцхета-Самтаврской экспедиции за 1938—1939 и за 1940 гг. (ხელნაწერები ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინსტიტუტში).

¹⁶² მცხოვა, I, გვ. 35.

წინა ქრონოლოგიური ჯგუფიდან (I—III სს.) გადმონაშთის სახით გვხვდება, ისინი მანც ანგარიშგასაწევ ურთიერთობას ამყარებენ I—III და IV—V საუკუნეების კუნეთა სამარხებს შორის.

თავი მოსახვი

VI—VIII საუკუნეთა მინის პურპლის ტიპები

ქართლის სამაროვნების, კერძოდ სამთავროს VI—VIII საუკუნეთა სამარხებში აღმოჩენილი მინის კურპელი რაოდენობით ბევრად აღემატება IV—V სს. სამარხებში ნაცოვნ კურპელს, მაგრამ, როგორც ითქვა, იგი უფრო ერთფეროვანია: აյ მხოლოდ რამდენიმე ტიპის სანელსაცხებლე და სასმისი ვაკეს.

საყურადღებოა, რომ VI—VIII სს. ქრონოლოგიურ ჯგუფში გამოიჩინევა ურთი წყება სანელსაცხებლებისა, რომელიც ტიპურია IV—V საუკუნეებისათვის, მაგრამ თითო-ორთო ამ ქრონოლოგიურ ჯგუფშიც გვხვდება. ასეთებია:

1) 1938 წელს სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე გათხრილ 86-ე ქვისსამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლე (ს. წ. № 572, ცხ., № 137). იგი პირსქელია, პირის კიდე შიგ ჩაჟეცილი აქვს; ფართო და დაბალი ყელი უშუალოდ გადადის განერ, თოხმხრივ დაბრტყელებულ ტანში და შედრეკილი ძირით სრულდება (იხ. ტაბ. II). საერთო მოყვანილობით ზედმიწევნით მსგავსია IV—V სს. სამარხებში გმოყოფილი XIII ტიპის სანელსაცხებლებისა და მათგან მხოლოდ მინის ხარისხითა და ფერით გამოიჩინება. სახელდობრ, იგი გამობერილია, ღია მწვანე, მდარე ხარისხის მინისაგან (დიდი რაოდენობით შეიცავს ჰაერის ბუშტულებს).

ჭურჭლის სიმაღლე უდრის 6 სმ, ყელის სიმაღლე — 2,1 სმ, ტანის დიამ. — 4 სმ, ძირისა — 3,7 სმ.

2) 1939 წელს სამთავროს ჩრდილო უბანზე გათხრილ 118-ე ქვისსამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლე (ს. წ. № 3386) მსგავსია წინა ქრონოლოგიური ჯგუფის XV ტიპში შემავალი სანელსაცხებლებისა, ოლონდ შედარებით უფრო ტლანქია და დაუღერდად ნაკეთები. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ჭურჭლის პირს ქვემოთ გარშემოყენება ღრმა ნაკეცი. რომელიც მას გამოიჩინეს VI—VII სს. იმავე ტიპის სანელსაცხებლებისაგან (იხ. ტაბ. II).

ჭურჭლი სქელყედლიანი (მინის სისქე 0,3 სმ). მისი სიმაღლე უდრის 6 სმ, პირის დიამ.—2,51 მ, ყელის სიმაღლე 3,2 სმ, ტანის დიამეტრი—4,2 სმ. სანელსაცხებლე ნაკეთებია ღია მწვანე მინისაგან, რომელიც ახლა გამოფიტულია.

3) 1948 წელს სამთავროს სამაროვანზე გათხრილ 712-ე ქვისსამარხში მოპოვებულ სანელსაცხებლეს (ს. წ. № 8557, ცხ. № 272) პირის კიდე შიგ დაბრეცილად აქვს ჩაჟეცილი. ძაბრისებური მოყვანილობის ყელ-პირი ტანისაგან გმოყოფილია. ტანი მსხლისებური მოყვანილობისა, ოლონდ-ოთხმხრივ კედლებშეზექილი, ძირი ბრტყელია: ჭურჭლი მსგავსი IV—V სს. სამარხებში აღმოჩენილი XVI ტიპში გაერთიანებული სანელსაცხებლებისა (იხ. ტაბ. I), ოლონდ შედარებით უფრო ტლანქია, დიდი და საკმაოდ დაუღევრად ნაკეთები.

ზემოაღწერილი სანელსაცხებლები, როგორც ითქვა, VI—VIII საუკუნე-



თა წამარხებში იშვიათია და ამ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაღმონაშოთიც შემოტკიცებულია
კლილებას ტოვებს. სამაგიროდ IV—V საუკუნეთა ინვენტარში გვხვდას უძველესი სანელსაცებ-

ლები VI—VIII საუკუნეებში მრავალრიცხვანია და წამყვან
ტიპებად იქცევა. ამ სანელსაცებლებს ჩვენ იმავე ტიპებში
ვაერთოთანებთ, ოღონდ განსხვავების ნიშად საუკუნეებს ვუ-
წერთ.

XIX ტიპი (VI—VIII საუკუნეებისა). ამ ტიპში შემავალ
ჭურჭელს ტანი კვერცხსის ბური მოყვანილობისა აქვს, პირი—
მოკვეთოლი. მომტლო ყელი ტანის გარდამავალ ნაწილში ჟე-
ვიწროებულია, ძირი მომტრგვალებულია (იხ. სურ. 29). ასეთივე
ჭურჭელი გვხვდება წინა ქრონოლოგიურ ჯგუფშიც, მაგრამ ეს
ტიპი დამახსიათებელია VI—VIII საუკუნეთა სამარხებისათ-
ვის, საყურადღებოა, რომ სამთავროს სამართვანზე, VI—VIII
საუკუნეთა ფენების კუთვნილ 24 სამარხშია ასეთი ჭურჭელი
აღმოჩენილი. მოგვაძვს მათი სია:



სურ. 29

1938 წ.	61-ე ქვის სამარხი	სიინვ. № 493	ცხრილი № 132
1938 წ. № 111-ი	"	№ 656	№ 107
" 132-ი	"	№ 726	№ 143
1939 წ. № მე-4	"	№ 3024	№ 148
" მე-19	"	№ 3088, 3089	№ 112
" 59-ი	"	№ 3200	
" 61-ი	"	№ 3205	№ 160
" 144-ი	"	№ 3492	№ 166
" 160-ი	"	№ 3535	№ 117
1940 წ. № 386-ი	"	№ 5517	№ 201
" 388-ი	"	№ 5525	№ 202
" 389-ი	"	№ 5529	№ 203
" 390-ი	"	№ 5532	№ 204
" 414-ი	"	№ 5614	№ 211
1946 წ. № 668-ი	"	№ 7852	№ 248
" 679-ი	"	№ 7904	№ 252
" 685-ი	"	№ 7932	№ 255
" 686-ი	"	№ 7944	№ 256
1947 წ. № 703-ი	"	№ 8487	№ 264
" 708-ი	"	№ 8520	№ 268
" 712-ი	"	№ 6339, 8550	№ 272
1948 წ. № 713-ი	"	№ 8562	№ 129
" 715-ი	"	№ 8609, 8604	№ 273
" 729-ი	"	№ 8680	№ 276



ქართლის სხვა სამაროვანებზე მსგავსი სანელსაცხებლეები აღმოჩენილია: უკრაინულია წიწუმურის ველზე გ. ნიორაბის¹⁶³ განათხარ ქვესსამარხში და თბილისში (მცხეთა-დავითის წმინდაზე მიწის მუშაობის დროს) შემთხვევით გამოჩენილ სამარხში.

ჰურჭელი ნაცეცებია ღია მწვანე მინისაგან, რომელიც გა-
მოფიტულია და ოეთრი ბრეკ აქრაეს. სანელსაცხებლეები შე-
დარებით სქელედლიანია (მინის სისქე უდრის 0,2—0,3 სმ),
მათი სიმაღლე უდრის 5—6 სმ, პირის დიამეტრი—1—1,3 სმ,
ყელის სიმაღლე—1,3—2,0 სმ, ტანის დიამეტრი 2—3—
2,9 სმ.

XX ტიპი (VI—VIII საუკუნეებისა).

ამ ტიპში გერბითიანებული ჰურჭელი პირმოვეთილია. მო-
მაღლო ყელი (მთელი სიმაღლის ერთ მესამედს შეადგენს)
ტანისაკენ გარდამავალ ნაწილში შევიწროვებულია. ტანი № 39
თასებური მოყვანილობისაა, ძირი — მრგვალი ან № 39 ტანის
(იხ. სურ. 30).

ამგვარი სანელსაცხებლეები სამთავროს სამაროვანზე გა-
თხრილ, VI—VIII სს. 23 სამარხშია აღმოჩენილი.



სურ. 30

1938 წ. № 70-ე ქვისსამარხი	საინვ. № 522	ცხრილი № 153
1939 წ. 92-ე	" № 3316	" № 164
" 98-ე	" № 3332	" № 191
" 268-ე	" № 3615	" № 174
" 269-ე	" № 3281	" № 174
" 277-ე	" № 3855—6	" № 178
" 326-ე	" № 3988	" № 181
" 333-ე	" № 4013	" № 120
" 339-ე	" № 4021	" № 197
1940 წ. 413-ე	" № 5604	" № 210
" 416-ე	" № 5632—4	" № 213
" 426-ე	" № 5676	" № 217
" 432-ე	" № 5712—3	" № 219
1941 წ. 463-ე	" № 5793	" № 222
528-ე	" № 5936—7, 1958	" № 233
1946 წ. 612-ე	" № 6919	" № 238
" 615-ე	" № 6929	" № 239
" 619-ე	" № 6943—4	" № 240
1947 წ. 645-ე	" № 7718	" № 126
1948 წ. 705-ე	" № 8498—9	" № 266
" 709-ე	" № 8525	" № 269
" 715-ე	" № 8609	" № 273
" 727-ე	" № 3668	" № 275

სანელსაცხებლეები გამობერილია მომწვანო მინისაგან, რომელიც ამჟამად
ძლიერ გამოფიტულია. ჰურჭელის ედლების სისქე 0,2—0,3 სმ-ია. ძირი
გასიურია აქვთ, (0,4—0,5 სმ.). სიმაღლე უდრის 6—8 სმ. პირის დიამეტრი—
1—1,2 სმ., ყელის სიმაღლე—2—2,8 სმ, ტანის დიამეტრი—1,2—1,9 სმ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განხილული სანელსაცხებლეების მსგავსი ჰურ-
ჭელი წინა ქრონოლოგიურ ჯგუფშიც გვხვდება. კერძოდ, ასეთია 1940 წ. სა-

¹⁶³ გ. ნიორაბის მიერაბულის პარტზე დამარხვა. „ენიმეს მომბეჭ“, V—VI, 1940.



თავტოს სამაროვანშე გათხრილ 252-ე ქრამიტსამარხში და 1938 წ. 125-ე ქრამიტსამარხში სამარხებში აღმოჩენილი სანელსაცხებლები, მაგრამ ეს ტიპი დამახასიათებულია მხოლოდ VI—VIII საუკუნეთა სამარხებისათვის.

XXI ტიპი (VI—VIII საუკუნეებისა)

ამ ტიპში მოქცეულ სანელსაცხებლებს, ისევე როგორც IV—V საუკუნეებით დათარიღებულ, 88-ე ქვისსამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს, ტანი ხორკლიანი აქვთ. საერთოდ კი ჭურჭელი პირმოვეთილია. პირის ღრუჟ ვიწრო, დაბა-



სურ. 21

ლი ყელი—ტანისაგან გამოყოფილი: მაღალი ტანი, ძირისაკენ გამსხვილებული და მასიურია, მრგვალი და გამოუყოფელი ძირი ზოგჯერ დაბრტყელებულია და შეზნექალი, მეტწილად კი მრგვალია და ზედ საბერავი მილის კვალი აქვს შემორჩენილი (ფხიანი ნაწიბურის სახით). ასეთი ჭურჭელი კვერდელად, არმყარად იღემის ხოლმე. ჭურჭლის ტანი ყელის ძირს ზემოთ შემოსილია ასმეტრიულად განლაგებულ მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის გლუვი ან წვეტიანი ხორკლებით (იხ. სურ. 31).

უნდა ითქვას, რომ ხორკლიან ჭურჭელში ტანის მოყვანილობით გამოირჩევა რამდენიმე გლუვი, რომელთაც ქვემოთ დავახასიათებთ: სამთავროს სამაროვანშე გათხრილ 7 ქვისსამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლები, რომელთა ტანი, ზემოაღწერილი ჭურჭლისაგან განსხვავებით მსხლისებური მოყვანილობისა 1938 წ. 89-ე, 95-ე, მე-100, 1939 წ. მე-14, 275-ე, 1940 წ. 468-ე და 1941 წ. 315-ე ქვისსამარხებში აღმოჩენილი სანელსაცხებლები (იხ. ტაბ. II). საყურადღებოა აგრეთვე მრგვალტანანი, ხორკლებიანი სანელსაცხებლები, რომლებიც სამთავროს სამაროვანშე აღმოჩენილია სამგან (1941 წ. სამხრეთი უბნის 347-ე ქვისსამარხში. 1947 წ. ჩრდილო უბნის 666-ე ქვისსამარხში და 1948 წ. 713-ე ქვისსამარხში) (ტაბ. II).

ტანის სრულიად განსხვავებული მოყვანილობა აქვს ორ პატარა სანელსაცხებლე ჭურჭელს: მოგრძო, ოვალური მოყვანილობის ტანი ასმეტრიულად განლაგებული, გლუვი, დაბალი და თანაბარი ზომის ხორკლებით არის შემოსილი. ძირი ოდნავ დაბრტყელებულია (ყელ-პირი ძირივეს ჩამოტეხილი აქვს). ამათვან ერთი აღმოჩენა 1938 წ. ჩრდილო უბნის 229-ე ქვისსამარხში, მეორე — 1940 წ. იმავე უბნის 419-ე ქვისსამარხში (იხ. ტაბ. II).

ტანშეხორკლილი ჭურჭელი სამარხებში მეტწილად თითო ცალია. მაგრამ გვხვდება ორ-ორი და სამ-სამიც კი. რიგ სამარხებში სხვადასხვა მოყვანილობის ტანის მქონე ხორკლიანი ჭურჭელი ერთად არის. ასეთებია, მაგალითად, 1940 წლის 419-ე და 468-ე, 1964 წლის 666-ე და 1948 წ. 713-ე ქვისსამარხები.

შეკლებით ყველა ეს ჭურჭელი ნაკეთებია ღია მწვანე მინისაგან. რომელიც მეტ-ნაკლებად გამოფიტულია. ჭურჭელი სქელკედლიანი (0,2-0,3 სმ.). სანელსაცხებლებითა საშუალო სიმაღლე უდრის 7—8 სმ, პირის დიამეტრი—0,8 სმ, ყელის სიმაღლე 1—1,5 სმ, ტანის დიამეტრი—2,9—3,2 სმ.

საზოგადოდ, ხორკლებიანი სანელსაცხებლები სამთავროს სამაროვანშე გათხრილ შემდეგ 47 ქვისსამარხშია აღმოჩენილი:

			სამ.	საინ.	№ 542	ცხრილი	№ 136
1938 წ.	76-ი	"	"	"	№ 602	"	№ 140
"	94-ი	"	"	"	№ 655	"	№ 107
"	111-ი	"	"	"	№ 746	"	№ 145
"	140-ი	"	"	"	№ 9320	"	№ 280
"	213-ი	"	"	"	№ 9335	"	№ 281
"	217-ი	"	"	"	№ 9377	"	№ 285
"	224-ი	"	"	"	"	"	"
1939 წ.	80-5	"	"	"	№ 3026	"	№ 149
"	21-ი	"	"	"	№ 3098	"	№ 151
"	32-ი	"	"	"	№ 3136	"	№ 153
"	80-40	"	"	"	№ 3155	"	№ 156
"	45-ი	"	"	"	№ 3170	"	№ 113
"	59-ი	"	"	"	№ 3198	"	№ 115
"	195-ი	"	"	"	№ 3591,3594	"	№ 168
"	221-ი	"	"	"	№ 3672	"	№ 171
"	369-ი	"	"	"	№ 4127	"	№ 187
1940 წ.	385-ი	"	"	"	№ 5507	"	№ 200
"	390-ი	"	"	"	№ 5531	"	№ 204
"	396-ი	"	"	"	№ 5557	"	№ 207
1940 წ.	397-ი	"	"	"	№ 5567	"	№ 208
"	412-ი	"	"	"	№ 5596	"	№ 209
"	413-ი	"	"	"	№ 5603	"	№ 210
"	419-ი	"	"	"	№ 5650	"	№ 215
"	420-ი	"	"	"	№ 5657	"	№ 216
"	426-ი	"	"	"	№ 5676	"	№ 217
"	468-ი	"	"	"	№ 5791	"	№ 222
1947 წ.	646-ი	"	"	"	№ 7730	"	№ 245
"	649-ი	"	"	"	№ 7761—7762	"	№ 246
"	666-ი	"	"	"	№ 7821,7819	"	№ 247
"	671-ი	"	"	"	№ 7874	"	№ 250
"	684-ი	"	"	"	№ 7925	"	№ 254
"	692-ი	"	"	"	№ 7977	"	№ 260
1947 წ.	695-ი	"	"	"	№ 7986	"	№ 262
"	699-ი	"	"	"	№ 8007,0009	"	№ 263
1948 წ.	704-ი	"	"	"	№ 8497	"	№ 265
"	713-ი	"	"	"	№ 8566	"	№ 129
"	710-ი	"	"	"	№ 8526	"	№ 270
1938 წ.	89-ი	"	"	"	№ 590	"	№ 139
"	95-ი	"	"	"	№ 604 /	"	№ 105
"	80-100	"	"	"	№ 624	"	№ 141
1939 წ.	80-14	"	"	"	№ 3062	"	№ 150
"	275-ი	"	"	"	№ 3836	"	№ 177
1940 წ.	468-ი	"	"	"	№ 5792	"	№ 222
1941 წ.	315-ი	"	"	"	№ 12360		
"	347-ი	"	"	"	№ 12406		
1947 წ.	666-ი	"	"	"	№ 7821—7822	"	№ 247
1948 წ.	713-ი	"	"	"	№ 8566,	"	№ 129

საყურადღებოა, რომ ანალოგიური ხორკლიანი კურკლის პატარა ჭარბობით გვხვდება
აღმოჩენილია ურბნისის ნაქალაქარის კულტურულ ფენაშიც¹⁶⁴. გვიშლილია

XXII ტიპი (VI—VIII სუკუნეებისა)

ამ ტიპში, ისევე როგორც წინა ქრონოლოგიური ჯგუფის სათანადო ტიპ-ში, გაერთოანებულია „კოლბისებური“ მოყვანილობის კურკელი.

ქართლის სამაროვნების, კერძოდ, სამთავროს, VI—VIII საუკუნეთა ინვენტარში, როგორც ითქვა, ამნაირი კურკელი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია.

კურკელს პირის ღრუ მრგვალი და ფართო ქვეს, ყელი — მაღალი, ძირი-საკენ იღნავ გაფართოებული და უშუალოდ ტანში გარდამავალი; ტანი — დაბალი და გამობერილი, ძირი, უკლებლივ ყველას — შეზენქილი. ეს არის, ასე ვთქვათ, ამ ტიპის „ქლასიკური“ სახე და მისგან გადახვევა მეტად უმნიშვნელოა.

ამგვარი კურკელი სამთავროს სამაროვანშე VI—VIII სს. ქვემოთ ჩამოთვლილ 117 ქვისსამარტია, მთელი თუ ღამტვრეული (სულ 500-ოდე ცალი).

1938 წ.	30-ე	სამ.	საინგ. № 457—58	ცხრ. № 130
"	მე-40	"	№ 470	" № 103
"	58-ე	"	№ 492	" № 131
"	61-ე	"	№ 494, 943	" № 132
"	87-ე	"	№ 588, 583, 584, 585, 586	" № 138
"	94-ე	"	№ 602	" № 140
"	95-ე	"	№ 604	" № 104
"	324-ე	"	№ 748, 749	" № 285
"	140-ე	"	№ 764	" № 144
"	142-ე	"	№	" № 145
1939 წ.	მე-2	"	№ 3017, 3018, 3019	" № 147
"	მე-4	"	№ 3025	" № 148
"	მე-19	"	№ 3088, 3089	" № 112
"	21-ე	"	№ 3000399, 3102, 3103	" № 151
"	28-ე	"	№ 3120	" № 152
"	32-ე	"	№ 3137	" № 153
"	33-ე	"	№ 3146	" № 154
"	37-ე	"	№ 3147	" № 155
"	41-ე	"	№ 3157	" № 157
"	42-ე	"	№ 3158	" № 158
"	52-ე	"	№ 3176	" № 114
"	55-ე	"	№ 3181—82	" № 159
"	59-ე	"	№ 3199, 3198, 320, 3201	" № 115
"	79-ე	"	№ 3262	" № 162
"	90-ე	"	№ 3309	" № 163
"	143-ე	"	№ 3484	" № 165

¹⁶⁴ ს. გ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე., მინა მცენ საქართველოში, თბ., 1961.



1939	Պ.	144-ը	Տաթ.	Տաօնց. №	3493	Ծբռ. №	166
"		179-ը	"	" №	3562, 3561	" №	167
"		195-ը	"	" №	3593,	" №	168
"		209-ը	"	" №	3614		
"		203-ը	"	" №	3628	" №	194
"		210-ը	"	" №	3640	" №	170
1939	Պ.	234-ը	"	" №	3715, 3716	" №	172
"		236-ը	"	" №	3728, 3729		
"		244-ը	"	" №	3757	" №	119
"		268-ը	"	" №	3818, 3817	" №	174
"		269-ը	"	" №	3829	" №	175
"		271-ը	"	" №	3828	" №	176
"		275-ը	"	" №	3836, 3838	" №	177
"		277-ը	"	" №	3856, 3857	" №	178
"		289-ը	"	" №	3882	" №	196
"		290-ը	"	" №	3886	" №	179
"		308-ը	"	" №	3943		
"		346-ը	"	" №	4646	" №	182
"		351-ը	"	" №	4051	" №	121
"		354-ը	"	" №	4070	" №	183
"		358-ը	"	" №	4090	" №	184
"		360-ը	"	" №	4097	" №	185
"		369-ը	"	" №	4104	" №	187
"		363-ը	"	" №	4108		
"		370-ը	"	" №	4130	" №	188
"		371-ը	"	" №	4135	" №	189
"		378-ը	"	" №	4162		
1940	Պ.	385-ը	"	" №	5507	" №	200
"		386-ը	"	" №	5515—16, 17, 18, 19 20, 5520	" №	201
"		388-ը	"	" №	5523, 5524	" №	202
"		389-ը	"	" №	5529	" №	203
"		390-ը	"	" №	5532	" №	204
"		392-ը	"	" №	5539, 5540	" №	205
"		393-ը	"	" №	5546	" №	206
"		397-ը	"	" №	5568	" №	208
"		413-ը	"	" №	5604	" №	210
"		414-ը	"	" №	5613, 14, 15	" №	211
"		416-ը	"	" №	5631	" №	213
"		418-ը	"	" №	5640, 5641	" №	214
"		419-ը	"	" №	5650	" №	215
"		426-ը	"	" №	5672—76	" №	217
"		428-ը	"	" №	5689—5990	" №	218
"		432-ը	"	" №	5714—5716	" №	219
"		440-ը	"	" №	5738	" №	220
"		451-ը	"	" №	5771	" №	215
"		468-ը	"	" №	5793, 94, 95, 96	" №	222

სამხედრო
მუნიციპალიტეტი

1940 წ.	472-ი	სამ.	საინგ. №	5816	ცხრ. № 224 0225 10 10 1933
"	476-ი	"	" №	5823, 24	" № 225
"	494-ი	"	" №	5879—5852	" № 228
"	504-ი	"	" №	5895	" № 230
"	521-ი	"	" №	5922	" № 232
"	528-ი	"	" №	5936, 38, 39	" № 233
1946 წ.	572-ი	"	" №	6795—6809, 6811	" № 235
"	599-ი	"	" №	6160—6879	" № 237
"	612-ი	"	" №	6922—23	" № 238
"	615-ი	"	" №	6930	" № 239
"	619-ი	"	" №	6940—6944	" № 240
"	625-ი	"	" №	6977	" № 241
"	628-ი	"	" №	6987	" № 242
1947 წ.	634-ი	"	" №	7686	" № 243
"	642-ი	"	" №	7704	" № 244
"	644-ი	"	" №	7708	" № 125
"	645-ი	"	" №	7717,—7718	" № 126
"	646-ი	"	" №	7726, 7727	" № 245
"	649-ი	"	" №	7762	" № 246
"	650-ი	"	" №	7769	" № 127
"	663-ი	"	" №	7809	" № 128
"	666-ი	"	" №	7820—7832	" № 247
"	668-ი	"	" №	7852, 53	" № 248
"	669-ი	"	" №	7860	" № 249
"	671-ი	"	" №	7875—76, 77	" № 250
"	679-ი	"	" №	7906—07	" № 252
"	684-ი	"	" №	7924—26	" № 254
"	685-ი	"	" №	7932—36	" № 255
"	686-ი	"	" №	7946—7967	" № 256
"	689-ი	"	" №	7951	" № 257
"	690-ი	"	" №	7953	" № 258
"	691-ი	"	" №	7957—7962	" № 259
"	693-ი	"	" №	7980	" № 261
"	695-ი	"	" №	7687	" № 262
"	699-ი	"	" №	8005—8007, 8009	" № 263
1948 წ.	703-ი	"	" №	8488, 8487, 8489	" № 264
"	705-ი	"	" №	8500, 8501	" № 265
"	710-ი	"	" №	8527—8528	" № 270
"	711-ი	"	" №	8535—8543	" № 271
"	712-ი	"	" №	8552—8557	" № 272
"	713-ი	"	" №	8563—8565	" № 129
"	715-ი	"	" №	8000—8617	" № 273
"	727-ი	"	" №	8667—8679	" № 275
"	729-ი	"	" №	8674—8626	" № 276

1941 წ. სამხედრო უბანი 347-ი ქვის სამ. საინგ. № 2806.



სანელსაცხებლები ყველა თხელკედლიანია (0,1 სმ), ღია მწვანე მინისა-გან ნაკეთები (მინა ამჟამად ძალზე გამოფიტულია.) მათი სიმაღლე უდინერი 7 — 5 სმ, პირის დიამეტრი — 0,9 — 1,2 სმ, ყელის სიმაღლე — 2 — 2,5 სმ, ტანის დიამეტრი — 2,8 — 3,2 სმ, ძირისა — 2,9 — 3,2 სმ.

ზემოაღწერილ მრავალრიცხვოან სანელსაცხებლეთა შორის გამოიჩინება 1948 წ. 727-ე ქვისსამარხში მოპოვებული ჭურჭელი, რომელსაც განსხვავებული მოყვანილობის ყელი აქვს: ეს უკანასკნელი მთელ სიმაღლეზე გადატინ-რულია და ტიხარში ორი ნახვრეტია. ეს ტიხარი ხელოსანს მარწუხით გამოუყვანია.

საყურადღებოა, რომ მრავალრიცხვოან (ხუთასიოდე) კოლბისებურ მინის ჭურჭელს შორის ამგვარი ჭურჭელი მხოლოდ ეს ერთი გვაქვს.

XXII ტიპი

ემ ტიპში შეღის მხოლოდ ორი სანელსაცხებლე, აღმოჩენილი სამთავროს სამაროვნის 1946—47 წწ. გათხრილ, 572-ე და 692-ე ქვისსამარხებში. (იხ. ცხრილები №№ 235, 260). ორივე ჭურჭელს ტანზე ცილინდრული მოყვანილობის დაბალი შევრილები აქვს, რომლებიც მათ თავისებურ იქნას ანგებს და გამოიჩინებს სამთავროს სხვა სანელსაცხებლეებისაგან.

572-ე ქვისსამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს მრგვალი ტანი აქვს, ხოლო ტანის შუა ნაწილში, ოთხივე მხრივ — თანაბარი, დაბალი ცილინდრული შევრილები. პირი მოვევთილი და სქელია. პირის ღრუ — მრგვალი და ვწრიო. მოკლე და სწორ ყელს ძირზე შემოუყვება დაბალი, წრიული აბეჭებული სალტე. მხარზე ითხივე მხრივ აქვს რელიეფური, სამკუთხოვანი მოყვანილობის ქიმი, რომელიც მხრიდან ტანის ზემო ნაწილზე ეშვება და ზემოდან დახედვისას თანასწორმელოვებიან ჭვარს ემსგავსება. ჭურჭელს აქვს ქუსლი, რომელიც მოყვანილობით ტანის შევრილებს ემსგავსება, ოლონდ უფრო მაღალია და ძირისა-კენ ოდნავ გაფართოვებულია (იხ. სურ. 33).



სურ. 32



სურ. 33



სანელსაცხებლის სიმაღლე უდრის 5,4 სმ, ტანის დიამეტრი 4,3 სმ, შევრილის სიმაღლე — 0,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 0,9 სმ.

692-ე სამარხში მოპოვებული ჭურჭელი ჭველადვე ღმეტვრეული ყოფილა. შემორჩენილია მხოლოდ ტანის ქვედა ნაწილი და ყელ-პირის ნატები, რომელთა მიხედვით უნდა წარმოვდგინოთ სრული ფორმა. ჭურჭელის ტანი ოვალური მოყვანილობისაა, ტანის ქვემოთ ნაწილზე სამ მხრივ დაბალი, ცილინდრული შევრილები აქვს, რომელთა შორის ტანის ზემო ნაწილიდან ეშვება სამკუთხოვანი ქიმი. ჭურჭელი ძირმრგვალია, მაგრამ მაინც მყარად დგას,

რადგან შეერილები კიდევებს ეყრდნობა. სანელსაცხებლე პირმოკეცეთილი, შელი მოქლე და პირისაკენ გაფართოებული აქვს (იხ. სურ. 33). ჭურჭლის სიმაღლე უდრის 5,8 სმ, ტანის დიამეტრი — 4 სმ, შეერილების სიგრძე — 0,3 სმ, ყელის სიმაღლე — 0,8 სმ.

ჭურჭელი მასიურია (მინის სისქე უდრის — 0,3 სმ). ნაკეთებია ლია მწვანე მინისაგან, რომელიც მცირედა გამოიფიტული.

აღსანიშვნაია, რომ 1946 წლამდე სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ მრავალრიცხვონ მინის ჭურჭელთა შორის არც ერთი არა ყოფილა ამ ორის მსგავსი მოყვანილობისა.

საყურადღობოა, რომ მსგავსი სანელსაცხებლები აღმოჩენილია ძველ ელამის დედაქალაქში, სუზაში და ამჟამად ლუვრის მუზეუმშია დაცული. არქეოლოგი შ. ლამი ამ ჭურჭელს ახ. წ. VI საუკუნით ათარილებს¹⁶⁵.

სახისხაზი

როგორც ითქვა, VI—VIII საუკუნეთა სამარხებში სადღეისოდ სულ ხუთით სასმისის ნატეხია ნაპოვნი და თითქმის ყველა ერთი ტიპის, ფეხიანი ჭიქებია.

მათ შორის აღსანიშვნაია სამთავროს სამაროვანზე 1947 წელს გათხრილ 666-ე და 685-ე ქვისსამარხებში ნაპოვნი (იხ. ცხრილები №№ 247 და 225), არი ერთნაირი სასმისი. მათ XXIII ტიპში ვარეთიანებთ.

სასმისს პირი გადაშლილი და ოდნავ შესქელებული აქვს. ტანი პირის კიდიდან ძირისაკენ თანდათანობით უვიწროვდება და მომალლო ფეხითა და მრგვალი, გამოყოფილი ჭუსლით ბოლოვდება (იხ. სურ. 34).

ჭურჭლის ტანი შედარებით თხელკედლიანია (0,2 სმ), ფეხი და ჭუსლი კი მასიური (0,3—0,4 სმ). მინა არც ფერით, არც ხარისხით არ გამოიჩინა VI—VIII საუკუნის სხვა ჭურჭლისაგან. ორივე სასმისი ტოლია: სიმაღლე უდრის 6,7 სმ, პირის ლიამ. 6,2 სმ, ფეხის სიმაღლე — 0,6—0,8 სმ, ჭუსლის ლიამ. 1,0—1,4 სმ.

როგორც ჩანს, ეს სასმისები საგანგებოდ და ერთალვისათვის განკუთვნილი, (ე. ი. სარიტუალო დანაშნულების) ჭურჭელი არ ყოფილა. ამას გვაფიქრებინებს, უწინარეს ყოვლისა, მათი მცირერიცხვანება სამარხეულ ინვენტარში და პირიქით, მრავალრიცხვანება აღრეცეოდალური ხანის ნაქალაქართა კულტურულ ფენებში (ურბნისი¹⁶⁶, რუსთავი¹⁶⁷). საყურადღებოა, რომ ასეთი ფეხიანი სასმისები ათეულობით არის აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოშიც — ბიჭვინტისა და ვაშნარის ნაქალაქართა კულტურულ ფენებში. მსგავსი სასმისები ცნობილია აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, ჩრდი-

¹⁶⁵ Ch. J. Lam, Les verres trouvés à Suse, Syrie, Revue d'art oriental et d'archéologie, t. XII, 1931, Paris, pp. 358—367, pl. LXXV.

¹⁶⁶ ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 129, სურ. 58(5).

¹⁶⁷ გ. ლომთათაძე, რუსთავში... თხრის... შედეგები, მსკ, I, 1955.



ლო შავიზღვისპირეთში, ხმელთაშუა ზღვისპირეთში და სხვაგან, ოლონდ იქ ფრანგიც მისი სასმისები უფრო (ადრე IV—VI სს.) ჩნდება. მის გარდა, იქაური საშრიშლებო მენის ხარისხით, ფრეჩით და ტანის მოყვანილობით გამოიჩინევა ქართლის IV—VIII სს. სასმისებისაგან.

VI—VIII სს. მინის პურალის ზოგადი დახასიათება და დათარიღების ხაკითხი

სამთავროს სამართვამზე, ისე როგორც ქართლის VI—VIII სს. სხვა სამართვებრივი მოპოვებული მინის ჭურჭელი ძირითადად სანელსაცხებლები ან საწამლე ჭურჭელია („უნგუენტარიუმები“). გამონაკლის მხოლოდ თითო-ოროლა სასმისი წარმოადგენს.

როგორც ვნახეთ, სამთავროს VI—VIII საუკუნეთა სამარხებიდან მომღინავე მინის ჭურჭელი, მიუხედავდა სიძრავისა, მხოლოდ ოთხ ძრითად ტიპში გაერთიანდა. ამ ტიპებში შემავალი სანელსაცხებლები ეკუთვნის იმ წევების ჭურჭელს, რომელიც ერთეულობით გვხვდება წინა ქრონოლოგიურ ჯულში და ტიპიურია მარტონლენ აღნიშნული ღროის ამ მონაცემთისათვის, რომელ-საც ახლ შევეხებით.

ასე, მაგალითად, XX ტიპის პირმოცვეთილი, წვეთისებური ტანის ქენებურქელი მხოლოდ თითო ცალია აღმოჩენილი II—III და IV—V სს. სამარხებ-ში, ხოლო VI—VIII—საუკუნეთა ოცდასმეტ ჭვისსამარხში ორმოცულდე ცალია ნაპოვნი¹⁶⁸. როგორც ვცდევთ, აზგარი სანელსაცხებლები კარგა ხანს შემორჩენია სამთავროს მინის ჭურჭელს: მათ შემცველ სამარხთა შორის, როგორც ითქვა, უძველესი 252-ე კრამიტასამარხი, ხოლო უახლესი — 619-ე ჭვისსა-მარხი, რომელშიც აღმოჩენდა VIII საუკუნის არაბული მონეტა. ამზიად, ჭურჭელი გვისამარხი, როგორც არსებულ, გამძლე ფორმათა ერთ-ერთ თვალსაკლის ეს ფორმა ხანგრძლივ არსებულ, გამძლე ფორმათა ერთ-ერთ თვალსაკლის ეს ფორმა ხანგრძლივ არსებულ, ხოლო ასეთი სტაბილური ფორმები, ჩვენი აზრით, ხაზის უსუაშის სამთავროს მინის ჭურჭლის თავისებურებას.

მინის ჭურჭლის იმვე წყებას მიეკუთხება XXI ტიპში გაერთიანებული სანელსაცხებლები. VI—VIII სს. მრავალიცხოვან ხორქლებიან სანელსაცხებლებს, როგორც ითქვა, წინასწრებს 88-ე ჭვისსამარხში აღმოჩენილი და ჩვენ მიერ IV—V სს. დათარილებული ჭურჭელი, რომელიც მსგავსია არმაზის-ხევში აღმოჩენილ აქროს სანელსაცხებლისა, ხოლო ეს უკანასკნელი, მასთან ნებოვნი მონეტების მიხედვით, თარიღდება II საუკუნით¹⁶⁹.

რაც შევხება სამთავროს, საყურადღებოა, რომ იმ ციინერიცხოვან ნაშრომებში, რომლებიც ეხება იქ აღმოჩენილ მინის ჭურჭელს, უველაზე მეტი ადგილი შეხორცილისა თუ ეკლიან ჭურჭელს ეთმობა.

როგორც ცნობილია, ფ. ბაირნმა ამ ჭურჭლის ხორქლიანობა ჰერკულესის კულტის დაუკავშირა. პ. და ს. უვაროვებმა მინის ასეთი სანელსაცხებლების ან-ბი სამთავროშივე, I—III საუკუნეთა სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლის ან-

¹⁶⁸ ჩვენი აზრით, I—III სს. მინის ჭურჭელში წილერ 252-ე კრამიტსამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლე წარმოადგენს იმ ღროის აღვილობრივი ხაწარმის, ციინერიცხოვანი გატუნის ერთ-ერთ ჭურჭელს. ამ დაკვირვების გამტარის უფლებას გვაძლევას ის გარეშეობა, რომ საღვეოსო ჩვენ თვის ცნობილ არ ლერწორულაში და არც მასლებში მსგავსი მოყვანილობის სანელსაცხებლე I—III საუკუნეებში არ შევივრდოთ.

¹⁶⁹ მცხეთა, I, მეშვიდე სამარხი (გვ. 82—97, ტაბ. IX).



ლოგიად მიიჩნიეს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მართალია, სამთავრულოში მიმოხილული როგორც დროის აღნიშნულ მონაკვეთში (მართლაც ხშირი თიხის შეხორცილი ლი ჭურჭელი). ეს ხორცები დიდობისა და გლუვია უფრო კორძების ჰყავს), მაიც ვიტერბობთ, რომ უფრო მართებული იქნება, თუ შეხორცილი მინის ჭურჭლის პროტოტიპად მივიჩნევთ ლითონის ისეთ ფლავონებს, როგორიცაა არის არმაზისხევში და სხვა ანტიკურ სამარხებშიც აღმოჩენილ სანელსაცხებლე. რადგან ფორმითაც და დანიშნულებითაც იგი ჩენი სანელსაცხებლების ანალოგიურია და მას შეეძლო ამ ფორმის წარმოშობაში გარკვეული როლი შეესრულებინა. თუ ახეთ, მაშინ ისიც უნდა დაუშეთ, რომ მინის ჭურჭლის ზედაპირის მოხორცილიანება, შედეგია ერთგვარი მიღრეკილებისა პატოსნი თვლების იმიტაციისადმი. რაც შეეხება ამგვარი სამკაულის სიმბოლიკას საერთოდ, ამის შესახებ გადაჭრით ვერას ვიტუვით, მაგრამ უფიტერბობთ, რომ შეიძლება ხორცლებსა და ეკლებს უფრო დეკორატიული აღნიშნულება პერიოდა.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალაში და ლიტერატურაში მინის ისეთი სანელსაცხებლები კავკასიაში არსად შეგვხვედრია¹⁷⁰. სირიაში აღმოჩენილია პირგადაშლილი, ყელმაღალი, წვეთისებური და ტანშეხორცილი ტანის მქონე ჭურჭელი, ოლონდ მას ხორჯები სულ სხვა მოყვანილობისა აქვს. იგი III საუკუნით თარიღდება¹⁷¹.

როგორც ვიცით, XXII ტიპში გაერთიანებული „კოლბისებური“ სანელსაცხებლები სამთავროს სამართლიანზე მომვებულ მინის ჭურჭლებში ყველზე უფრო მრავალრიცხვანი: VI—VIII საუკუნეთა ქვისსამარხში აღმოჩენილია ხუთასიოდე მთელ და დამტვრეული ჭურჭელი, ხოლო IV—V სს. 18 სამარხში — ოცდათოიდე. უფრო ადრე, ახ. წ. I—III სს. სამარხებში კი მომვებულია ოციოდე. საფიქრებლია, რომ ამგვარი ჭურჭლის მასობრიობა აისნება მისი პრაქტიკული სიმარჯვითაც და ფორმის დამზადების ტექნიკის სიმარ-

ტივითაც.

ახ. წ. I—III სს. „კოლბისებური“ სანელსაცხებლები თხელყედლიანი, შოცისტურ მინისაგანაა გაკეთებული (გამონაკლის წარმოადგენს 63-ე კრამიტ-სამარხში აღმოჩენილი ლურჯი, თეთრი ზოლებით შემცული სანელსაცხებლე ს. წ. № 506), როგორც IV—V, ისე VI—VIII სს. ამგვარ სანელსაცხებლებთან შედარებით, I—III საუკუნეებისას პირი ნაელზე გადაშლილი და მეტად შესქებული იქვს; მათი მომაღლო და სწორი ყელი გადაიდი ნახვასფერულ, სიმეტრიულად გამომძრილ ტანში. რომელიც ბრტყელი ძირით ბოლოვდება, ნიშანდობლივია, რომ, თუმცა ეს ჭურჭლები უფრო გულმომგინედა გაკეთებული, მაიც შეიმჩნევა ესა თუ ის განსხვავება, რითაც ისინი კილევ მეტად უახლოვდებიან გვაინდელი სამარხებიდან მომდინარე, განსაუთოებით კი IV—V სს. სანელსაცხებლებს.

ხაზგასმით უნდა აღვინონთ, რომ ამ ტიპში შემვალ ფორმათა მიმოხილვისას ძირითადია მინის ხარისხი, რადგან მხოლოდ ამ ნიშის მიხედვით ხერხდება გარჩევა ახ. წ. I—III სს. და IV—VIII სს. „კოლბისებური“ სანელსაცხებ-

¹⁷⁰ საქ. სახ. მეზეულის არქოლოგის განცოფილებაში დაცულია ერთი ტანშეხორცილი მინის ჭურჭელი, რომელიც წარმოადგენს პირგადაშლილ, ყელფართო, ძირბრტყელ სანელისტული მასალიდან არის.

¹⁷¹ W. Smith, Glass from the Ancient World, New-York, 1957, № 322.



როგორც ითქვა, IV—V სს. კოლბისებური ჭურჭლის უმეტესობა და გრაფიკული მონუმენტური არა არის. მაგრავალი მინისაგანაა გაყეთებული. გარდა ამისა, ნიშან დობლივია, რომ VI—VIII სს. კოლბისებურ ჭურჭლებს შორის არის ულაზათო და ასიმეტრიული ნიმუშები, რაც გვაფიქრებინებს ამ ძირითადი ფორმის ერთგვარ გათავარებას. მას კარგად შეესატყვისება ის გარემონდა, რომ VIII ს. არაბული მონეტის შემცველ ქვისამარჩში აღმოჩენილ კოლბისებურ სანელსაცხებლებს ფორმა აჟვარად დარღვეული აქვთ და ისინი საერთოდ დაუდევრად არიან ნაკეთება. VI—VIII სს. ქვისამარჩში ამგვარი ჭურჭლის რაოდენობა განსაზღვრული არ არის: გვხვდება ერთიდან ოცდაცხრამეტ ცალიძდე. სახელდობრ, 39 სანელსაცხებლე აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე 1946 წ. გათხრილ 572-ე ქვის-სამარჩში.

საყურადღებოა, რომ ეს ქვისამარჩი აღნაგობით არ გამოიჩინება იძლონინდელი სამარჩებისაგან (იხ. ცხრილი № 235); მასში ზემოაღნიშნული კოლბისებური სანელსაცხებლების გარდა აღმოჩენილი იყო: ჩვენ მიერ გამოყოფილ XII ტიპში შემავალი სანელსაცხებლე, რკინის მშვილდაკანიდის ნატეხი, რკინის რგოლები და რკინისავე უცნობი დანიშნულების საგნეს ნაწილი — დაახლოებით ოვალური მოყვანილობის სქელი ფირფიტა. ეს ორი ნივთი (რგოლები და ბრტყელი ფირფიტა) სამქაული არ არის, მაგრა ამ მათი დანიშნულების შესახებ დანამდგენილებით ვერას ვიტყვით: შესაძლებელია, ისინი რაღაც ხელაშწყოს ნაწილები იყოს. რაც შეეხება ქვისამარჩის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოგრძელებულ ოცდაცხრამეტ სანელსაცხებლებს, ეს რაოდენობა გვერდი აღმატება სამაროვანზე დღემდე გათხრილ, მინის ჭურჭლის შემცველ სამარჩში აღმოჩენილ სანელსაცხებლებთა რიცხეს. საფიქრებელია, რომ სამარჩში სანელსაცხებლის ასეთი უჩვეული სამრავლე დაკრძალულის ხელობის თვისისებურების მანაშენებელია, სახელდობრ, იგი უნდა ყოფილიყო მინისმეტავი ან მენელსაცხებლე ოსტატი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამარჩში აღმოჩენილი ოცდაცხრამეტი „კოლბისებური“ სანელსაცხებლე კიდევ ერთხელ აღსატურებს მას, რომ ამ ტაის ჭურჭელი ფრიად გავრცელებული ადა დამახასიათებელი ყოფილა იმხანად.


გვანინტიცურ ხანაში კოლბისებური სანელსაცხებლები ცნობილია როგორც ჩვენში, ისე სხვაგან (ზოსურის სამეცნიშვი, ხელობაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში და სხვ.). როგორც ბოსფორის მაგალითი გვიჩვენებს, გვიანანტიცურ ხანაში იქ ამგვარი ჭურჭელი ქრება, ამ მხრივ სამთავროს სამაროვანი წარმოადგენს გამონაკლისს, სადაც ასეთი სანელსაცხებლები დიდ ხანს განავრძობს ასებობას. მათ შემცველ სამარხთა შორის უძველესია 63-ე კრამიტ-სამძრის, რომელიც თარიღდება ტიბერიუსის (14—37 წწ.) მოხერით, ხოლო უახლესია VIII საუკუნის არაბული მონეტის შემცველი 363-ე და 619-ე ქვის-სამარჩები.

საფიქრებელია, რომ მ. მაქსიმოვაზე სწორედ ამ ფორმის ხანგრძლივი სტაბლობის გაუთვალისწინებლობამ იქნია გაელენა, როდესაც პატივცემულმა შევლევამა მის მიერ გამოყოფილი ირანული (პართული და სასანური) გემმების ჯგუფის თანმხლება „კოლბისებური“ სანელსაცხებლები პანტიკაპეის ანალოგიური სანელსაცხებლების თანადროულად ჩათვალი და ამიტომ ას. წ. I—II სს. დათარილი¹⁷². ეტყობა მან, ყურადღება არ მიაქცია მათი თანმხლები სხვა ნივთე-


¹⁷² ასეთებით: მ. მაქსიმოვის კატალოგი №№ 75, 76, 77, 79 და 81, აღმოჩენილი 1939 წ. 32-ე, 1939 წ. 19-ე, 1938 წ. 69-ე, 1939 წ. 28-ე და 1939 წ. 21-ე ქვისამარჩში (იხ. ტაბულები 31, 32, 33). M. Maksimova, Геммы из некрополя....



ბის (მშეოლდსაკინძების, საკინძების და სხვ.) აუქარა გვიანდელობასზე ცურავებულია
მას უყურადღებოდ დაუტოვებია (ალბათ რაეი იქ გემმიანი ბეჭედი არ ეგულე-
ბოდა) 1939 წ. ჩრდილო უბანზე გათხრილი 21-ე ქვისსამარხის ინვენტარი, რო-



სურ. 35




სურ. 36


მელშიაც ლეონ I მონეტასთან ერთად აღმოჩენილია, ერთი მმგვარი სანელსა-
ცხებლეც. საყურადღებოა, რომ მ. მაქსიმოვა იმავე დროით (იბ. წ. I-II სს.)
ათარიღებს ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ, XVIII ტიპის სანელსაცხებლებსაც.

საფუძვლო მუზეუმი

მაგრამ ზემოთ განხილული ტიპების უშუალო დათარიღებისათვის საფუძვლო მუზეუმი მომდევნობული შეიძი მონეტა, რომელიც გამოჩენილი იყო სუთი სამარხშია აღმოჩენილი. ამათვან სუთი ეკუთვნის ბიზანტიის კეისარს



სურ. 27




სურ. 28

ლეონ I (457—474 წწ.), ხოლო ორი არაბული ფელსია (VIII ს.). ხუთივე სამარხი შეიცავს ჩვენ მიერ განხილული XXII ტიპის კოლბისებურ მინის ჭურ-



კელს: 1. 1939 წ. 21-ე ქვისსამარხში ოღონჩნდა როგორც XXI ტიპის უძველესი ბიანი სანელსაცხებლე, ისე XXII ტიპის სამი სანელსაცხებლე; 2. 1947 წ. 679-ე ქვისსამარხში—XIX ტიპის სამი სანელსაცხებლე და XXII ტიპის ერთი სანელსაცხებლე; 3. 1947 წ. 685-ე ქვისსამარხში—XIX ტიპის სამი სანელსაცხებლე; 4. 1939 წ. 363-ე ქვისსამარხში — XXII ტიპის ერთი სანელსაცხებლე; 5. 1946 წ. 619-ე ქვისსამარხში — ლეონ I მონეტას თან ახლავს არაბული მონეტა. ამ სამარხში ოღონჩნდა XX ტიპის ორი და XXII ტიპის სამი სანელსაცხებლე (იხ. სურ. 36—39).



სურ. 39

აქეე უნდა აღინიშნოს, რომ ლეონ I მონეტისა (V ს.) და არაბული ფელსის (VIII ს.) ერთად ოღონჩნა ცხალჭყოფს, რომ ლეონ I მონეტები ჩემნები დიდხას ყოფილა გავრცელებული და მისი შემცველი სამარხები ყოველთვის კერ დათარილდება V—VI საუკუნეებით. მათ შესახებ ნუმიზმატი დ. კაპანაძე შემდეგს წერს: „მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები არკვევს კადვა ერთ გაურკვეველი მონეტის წარმოშობის საკითხსაც. სამთავროს სამარგანის 21-N, 619-N, 679-N და 685-N ქვაყუთებში ოღონჩნილი იყო ვერცხლის ხეთ მომცრო მონეტა, ბიზანტიის კეისრის ლეონ I (457—474 წწ.) სახელით მოჭრილი. ეს მონეტები იმდენად განსხვავდება ლეონ I მონეტაზე საყოველთაოდ ცნობილი სხვა ნიმუშებისაგან (წონა ნაკლებია, გამოსახულებანი ტლანქი, წარწერები იღნავ დამახინჯებული), რომ აუცილებლად მიგვაჩნია აქ ზოგიერთი განმარტებითი ხასიათის ცნობისა და წინასწარი მოსაზრების მოტანა.

სხვათა შორის, ასეთ მონეტებს იცნობს გამოჩენილი ნუმიზმატი, ბიზანტიური მონეტების საუკეთესო მცოდნე ი. ტოლსტოიც. იგი იმ აზრისაა,



რომ, მთებულებად ფაქტურის სხვადასხვაობისა და მისთვის ცნობილი ცალკეული მონეტების სხვადასხვა აღილას შეძენისა, ისინი ყველანი კონსტანტინეპოლიში უნდა ყოფილიყოს მოქრილი ან არადა, ყველა შემთხვევში, იმპერიის აღმოსავლეთ-სა და არა დასავლეთ ნაწილში. შემდეგ ი. ტოლსტოის შეუცვლია აზრი და, განუცხადება, რომ ეს მნიშვე მონეტები ალბათ არა მოქრილი არც კონსტანტინეპოლიში და არც აღმოსავლეთის სხვა იფაიიალურ სახელმწიფოებში და რომ იგი ალბათ ერთ-ერთი ბარბარისული, ბალკანეთის ჩრდილოეთი მცხოვრები ტომების მიერაა მოქრილი¹⁷³.

ი. ტოლსტოი ამ ტიპის მონეტის სულ სამს იცნობს: ერთი ვენეციაში შეუძენია, მეორე კონსტანტინეპოლიში და მესამე კავკასიაში. სამივე მნიშვე: მათზონა 0,65—1,30 გრ. შორის მერყეობს. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული, ზუსტად ასეთივე 5 მონეტის წონა თითქმის ასეთივე რემედიუმს იძლევა (0,95—1,20 გრ.). აუცილებლად გასათვალისწინებელია ი. ტოლსტოის ცნობაც, რომ ერთი ცალი მას კავკასიიში („На Кавказе“) შეუძენია და აგრეთვე ყოყმანი, რომელსაც ის იჩენს ამ მონეტის წარმოშობის გარეუვისას. მცხეთის სამარკანის აკლდამებში 5 ასეთივე მონეტის აღმოჩენის შემდეგ, ვგონებ, აშკარა ხდება, რომ „ბალკანეთის ჩრდილოეთით მობინადრე ბარბარისულ ტომების“ შესახებ მსჯელობას ნიადაგი ეცლება და მონეტის მოკრის კეშმარიტი ადგილი, როგორც ეტყობა, სულ სხვაგან უნდა ვერიოთ. მაგრამ ამ საყითხის საკეთი გარკვევისათვის საქართველო მასალა ჭერ კიდევ არ მოგვეპოვება და, რა თქმა უნდა, ხაგრძლივი კვლევა იქნება საჭირო. ამიტომ ჭერჭერობით, აქ ნათქვამით დავკვრდებით, ოღონდ განვმარტავთ, რომ სამთავროს სამარკანის ხუთივე ასეთი მონეტა გახვრეტილი აღმოჩედა და ერთ შემთხვევაში VIII საუკუნის არაბულ გახვრეტილივე ფელსთან ერთად იყო ნაპოვნი.

ამავე სამარხებში აღმოჩენილი სხვა ინვენტარის დასათარილებლად ეს ჭერშეუსწავლელი მონეტა, ისევე როგორც, სხვათ შორის, ავგუსტი კეისირის დენარი და გოტარჩესის დრაქმა, როგორც ირკვევა, ყოველთვის ვერ გამოღვება და უნდა ითქვას, რომ ამ მონეტების ინვენტარით დათარილება უფრო სანდო და მართებული იქნებოუა, ვიდრე პირიქით¹⁷⁴.

ამრიგად, დ. კაპანძის ნაშრომში, საიდანაც ვრცლად მოვიტანეთ ციტატი, ვაოულობთ სრულ დასაბუთებას ჩვენი ზემოთ მოყვანილი მოსაზრებისა, რომ ლეონ I-ის მონეტა ჩვენ მიერ განხილული ტიპების უშუალო დათარილებისათვის ვერ გამოღვება და უფრო მეტიც — თვით იგი ვერ დათარილება V საუკუნით. აქვე უნდა ითქვას, რომ თუმცა იმ დროის სამარხთა ინვენტარი ტიპოლოგიურად მკაფიოდ გამოხატული და მეტად სპეციფიკურია, მაინც VI, VII და VIII საუკუნეთა სამარხების ურთიერთგათვა და თითოეული მათგანის თარიღის ცალკე დაგრენა ჭრჭერობით ვერ ხერხდება.

ჩვენ მიერ განხილული ტიპები თანადროულია; მათი თანმხები ნივთები ზედმიწევნით ემსგავსება ერთიმეორებს, ეს კი ნებას გვაძლევს თარიღის თვალსაზრისით ერთად განვიხილოთ ამ ტიპებში გაერთიანებული ჭურჭელი.

როგორც უკვე ვიცით, ქვესსამარხების ინვენტარი მეტწილად სამკაულებით არის წარმოდგენილი და ამ სამკაულების ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყუ-

¹⁷³ И. Толстой, Византийские монеты, вып. II, СПб, 1912, стр. 117—132.

¹⁷⁴ დ. კაპანძი, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937—1951 წწ. ნუმიზატო კური მონაბრარი, „მასალები საჭიროების ასეთის არქეოლოგიისათვის“, I, 1955, გვ. 81—82.



რადღებო ჯგუფს წარმოადგენს საკინძები¹⁷⁵. ამ უკანასკნელთა ღერძი უნდა გვიჩვენოს ბრივ ბრინჯაოს ან რკინის მრგვალგანიცვევთიანი მავთულისაგანაა გაკეთებული; ხოლო თავი ზოგიერთს იმავე ლითონისაგან აქვს გამოყვანილი, უმეტესობას კი წამოცმული აქვს ქვის (მარჯნის, ლავვარდის, აქატის, მალაქიტის), მარგალიტის, ან მინისა თუ პასტის, სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის თავები და ზოგჯერ მძიები (იხ. ტაბ. II).

ამავადა შევტერდებით მხოლოდ იმ ტიპის საკინძებზე, რომლებიც არა ერთგზის გვევდება ჩვენ მეტ განხილული ტიპების სანელსაცხებლებითან ერთად. ეს არის მარჯნისა და უფრო იშვიათად კი ლავვარდის თავის ქრონიკი. მათი უმეტესობა გამოხატავს ბროშეულის ყვავილს, რომელიც ზემოდან და ქვემოდან შემკულია ბრინჯაოს ვარდულებით, ამ ვარდულების ჩანასხს უკვე IV — V სს. საკინძებზე ვხვდებით. ზომითა და მოყვანილობით საკინძთა ეს თავები სხვადასხვაგვარია: ზოგი მოკლე და მსხვილია, ზოგი კი — მოგრძო და წვრილი.

საკინძთა ზემოაღწერილი თავების შესახებ ბ. კუჭტინი წერს, რომ ბროშეულის ყვავილისა თუ ნაყოფის გამოხატულება სიმბოლოა ნაყოფიერებისა და გამრავლებისა¹⁷⁶. ხშირია აგრეთვე მარჯნისა და ლავვარდის ცილინდრული, კასრისებური ან თავცურტულა თავები, რომლებიც ზემოდან და ქვემოდან აგრეთვე შემკულია ბრინჯაოს ვარდულებით.

ზემოსხენებული საკინძები ერთ-ერთი დამთხანაოთებელი სამკაულია როგორც სამთავროში ისე საქართველოს სხვა აღვილებში გათხრილი გვაანდელი ქვისსამარტებისათვის, (არმაზისხევი, რუსთავი, ვაშლაგვარი, კარსნისხევი და სხვ.).

სამთავროში მათ ორგან ახლავს თან მონეტები: 679-ე ქვისსამარტები ლეონ I მონეტასთან ერთად აღმოჩენილია საკინძის ლურჯი პასტის თავი, რომელიც ბროშეულის ყვავილს გამოხატავს. იმავე სამარტები ნაპონია, როგორც ვიცით, XXI ტიპის მეორე ქვეტიპის, XVIII და XIX ტიპების ჭურჭელი. 619-ე ქვისსამარტები, ლეონ I მონეტასა და VIII საუკუნის არაბულ მონეტასთან ერთად აღმოჩნდა საკინძთა მარჯნის თავები, რომელიც აგრეთვე ბროშეულის ყვავილს გამოხატავს.

განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე მარგალიტისთავიანი საკინძები. ამათ შორის გამოიჩინება ერთი წევბა, რომელთაც ღერძ ბრინჯაოსი აქვთ. ხოლო თითოეულ ღერძს, ოთხი გალუნული შტრ აქვს გამოლებული და ამ უკანასკენელებს წვერზე მომცრო ზომის მრგვალი მარგალიტი აქვთ წამოცმული. ეს უკანასკენელი თავში და ბოლოში ბრინჯაოს ვარდულებით არის შემკული. ანალოგიური საკინძი ნაპონია აგრეთვე არმაზისხევში. საყურადღებოა აგრეთვე სხვადასხვა ფერადი ქების მარგალიტის და პასტის თავის ქრონიკა საკინძები. ყველა ეს საკინძი თავში და ბოლოში ბრინჯაოს, იშვიათად კი ოქროს ბურთულოვანი ვარდულებითა თუ გვირგვინებით არის შემკული¹⁷⁷ (იხ. ტაბ. II).

¹⁷⁵ VI—VIII სს. საკინძები, IV—V სს. საკინძების შედარებით, მასავალიცონებია და ცალკეულ სამარტებში თეოულობით გვევდება. ფორმით ისინი უფრო ტლანქია და ფართო მოხარების საგნები უნდა იყოს.

¹⁷⁶ Б. Кутин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 22.

¹⁷⁷ Е. Такайшили, (Выдержки из отчета о раскопках), ОАК за 1896, СПб, 1898, стр. 110—112. გეგეთ, I, გვ. 135—145, გ. ღორთათიძე, რუსთავში.... თბილის შედეგი; М. Ивашенко, Рустави, Предварительный отчет о раскопках и разведках 1944—1946 гг., (დაცულია ისტორიის, არქ. და ეთნოგრ. ინსტიტუტის არქევზ); საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომზე, XVI—B, მუზეუმის ქრონიკა, თბილის, 1950, გვ. 277;



არანალებ საყურადღებო სამკულოს წარმოადგენენ შშვილდაკინძები, რომლებიც იმთავითვე პრაქტიკულ დანიშნულებას ასრულებენ. როგორც უკვე ერთოვეული ითქვა, შშვილდაკინძები სამთავროს სამართვაზე, ჩენის აზრით მხოლოდ IV გვილდით დასაწყისს ჩნდება; მაგრამ მომდევნო საუკუნეებში ძლიერ მატულობს საუკ. დასაწყისს ჩნდება; მაგრამ მომდევნო საუკუნეებში ძლიერ მატულობს სამართვული ინცენტარის ერთ-ერთ მთავარსა და მრავალრიცხვონ ელე-და სამართვული ინცენტარის ერთ-ერთ მთავარსა და მრავალრიცხვონ ელე-და მენტს წარმოადგენს. VI—VIII სს. შშვილდაკინძების უმეტესობა რეინისა და ბენტს წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული დროის შშვილდაკინძებს ცოტა აქვთ საერთო IV—V საუკუნეების დაბალმშვილდიან და ბუღებმულ საკინძებოან, რომლებიც VI—VIII საუკუნეთა სამარხებში მხოლოდ იშევთი გამონაკლისის სახით და ისიც „გადაგვარებული“ გვხვდება.

სამთავროს VI—VIII სს. ცველა შშვილდაკინძი ორწილადი და მაღალ შშვილდიანი. მათ სხვადასხვა მოყვანილობის შშვილდი, ენისბუღე და სახსარი აქვთ. აღსანიშნავია ბრინჯაოს შშვილდაკინძები, რომლებსაც სახსარში გარანტით გაყრდომ გაყრილი აქვთ ლერდი, ხოლო ლერძის ორივე ბოლო დამშვენებული ბრინჯაოს ბურთულებით. ხშირად შშვილდაკინძის ენის ბუღე დაბრტყელია ბრინჯაოს ბურთულებით. აქვეული და აგრეთვე ბურთულოვანია (იხ. ლებული ან ცვინტისებურად აქვეული და აგრეთვე ბურთულოვანია (იხ. ლებული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—II—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—III—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—IV—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—V—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—VI—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—VII—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—VIII—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—IX—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—X—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XI—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XII—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XIII—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XIV—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XV—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XVI—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XVII—ე ტაბული). ანგვარი შშვილდაკინძები მრავალდა მოპოვებული აღმოსავა—XVIII—ე ტაბული).

ვვაძლევს მათი ეს ჯგუფი. VIII საუკუნით დავათარილოთ. შიომედავად იმისა, რომ სამთავროს შშვილდაკინძები ნაირ-ნაირი ვარიაბ-ტით არის წარმოადგენილ, ისინი მაინც ერთი სერიის შთაბეჭდილებას სტოვე-ბენ.

მინის კურჭელთა ზემოთ დასახელებული ტიპების თანმხლები ნივთების გ. ნ ი ო რ ა დ კ, კარსისხევის სასაფლაო, საქართველოს მეცნების შრომები, ტ. III, ტოლია, 1926; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალექარი უჩბნის, 1964. საყურადღებოა, რომ ასეთი სა- კინძები აღმოჩენილა დაღსტანები, სდაც ისინ თარიღდებან VII—X სს.; Н. Шეიхი ვა, ქართველი კონკრეტული მიზრილებით მავრელისაგან ნაკვთები რია. მათ შორის ცველაზე უფრო ტიპურია წერილი მავრელისაგან ნაკვთები რია. კურჭელთა ზემოთ დასახელებული მოგვალი, ოვალური, ოთხკუთხი, წაჭ-რკალი, რომელზედაც მიზრილებით მავრელისაგან ნაკვთები რია. კურჭელთა ზემოთ დასახელებული მოგვანილობის თვალბუღე. აღსანიშნავია, რომ რილ-კონკრეტური თუ რომბული მოყვანილობის თვალბუღე.

გ. ნ ი ო რ ა დ კ, კარსისხევის სასაფლაო, საქართველოს მეცნების შრომები, ტ. III, ტოლია, 1926; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალექარი უჩბნის, 1964. საყურადღებოა, რომ ასეთი სა- კინძები აღმოჩენილა დაღსტანები, სდაც ისინ თარიღდებან VII—X სს.; Н. Шეიхი ვა, ქართველი კონკრეტული მიზრილებით მავრელისაგან ნაკვთები რია. კურჭელთა ზემოთ დასახელებული მოგვალი, ოვალური, ოთხკუთხი, წაჭ-რკალი, რომელზედაც მიზრილებით მავრელისაგან ნაკვთები რია. კურჭელთა ზემოთ დასახელებული მოგვანილობის თვალბუღე. აღსანიშნავია, რომ რილ-კონკრეტური თუ რომბული მოყვანილობის თვალბუღე.

¹⁷⁸ 6. უ გ რ ე ლ ი დ კ, კავკასიის სამარხო, გ. ლ ო მ თ ა თ ი დ კ, რუსთავეში...; მცხ- თა, I, გვ. 135—146; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 127; გ. ნ ი ო რ ა დ კ, კარსის- ხევის სასაფლაო...; ბ. კუჭინ, დას. ნაშრ., გვ. 22.

¹⁷⁹ П. Уварова, Могильник Северного Кавказа, VIII, М., 1900: Саниба, стр. 101, таб. XLVI (1—5); Дзивгис, стр. 173, таб. LXXXII (22); Нижняя Рутха, стр. 246. таб. CIX (5, 6, 11, 7, 8, 9); Балта, стр. 135. таб. LXII (22); Кумбула, стр. 218—219. таб. CIV (5—6) Камунта, стр. 304—305, табл. CIV (4, 6, 7, 11).



საკმიანდ ხშირად თვალიცა და თვალბუღეც ამ ბეჭდებს დაკარგული კუტურული მემკვიდრეობის მოწინილ თვალთა უმეტესობა პატიას, ლავარდის, სარდიონის ან უწინესადაც დაკარგული კუტურული მემკვიდრეობის მინიჭების უმეტესობა დამტკრებული და ნაღლულია. მაგრამ მაინც გამოიჩინა ერთი საყურადღებო ტიპი, რომელსაც ბრტყელი, თანაბრივ ვიწრო რკალი აქვს და ზედ დარჩილულია რკინისავე მრგვალ-ბრტყელი ან ოთხფეხი ფარაიი. საფიტრებელია, რომ თვეს დროშე ამ ფარტყებზე უნდა ყოფილყო რაღაც გამოხატულება, მაგრამ მეტად ძალზე დაფარგულია და აღარ ჩანს. ამგვარი ბეჭდები ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ტიპია ჩვენ მიერ განხილული მინის ჭურჭლის თანმხლებ ნივთებს შრის.

საყურადღებოა აგრეთვე თანაბრად წვრილი, მრგვალი მავთულის ბეჭდები, რომელთაც დარჩილული აქვთ რომბული მოყვანილობის ბრტყელი თვალბუღეც. თვალბუღეს ირგვლივ გავარსი შემოუვება. თვალი მეტწილად მინისაა. ბეჭდები ნაირ-ნაირი მასალისგანაა გაყეთებული (იხ. II ტაბულა), რაც მოწმობს ამ ტიპის დიდად გავრცელებას ჩვენში. ამგვარი ბეჭდები არაერთგზის გვხვდება მინის ჭურჭლის სხვადასხვა ტიპებთან ერთად.

ზემოხსენებული ბეჭდები ზედმიწევნით მსგავსია თრიალეთში ბ. კუჭ-ტინის მიერ გათხრილ, ქალის ქვისსამარჩში აღმოჩენილი ბეჭდისა, ეს უკანასკნელი კი კარგად თარიღდება მასთად ერთად მოპოვებული, სასანიანი კავად მეფის (487—53 წწ.) ვერცხლის მონეტით¹⁸⁰. იმავე სამარხში აღმოჩნდა სარდიონისაგან მთლიანად გამოთლილი ორი ბეჭდი, რომელთა დაბრტყელებულ ფარაქზე გამოხატულია ფრინველი. აღსანიშვანია, რომ სამთავროს სამაროვანშე გათხრილ ზოგ სამარხში ბეჭდის ეს ორი ფორმა ერთად გვხვდება ქვის მთლიანი ბეჭდები გვიანდელი, VI—VIII სს. სამარხების ინვენტარის ერთ-ერთი დამახასიათებელი სამკაულია (ამათვან მხოლოდ ერთი იყო აღმოჩენილი IV—V სს. სამარხში). მათი უმეტესობა სარდიონისაა, მაგრამ ვერდებით აგრეთვე აქტისა და მთის ბროლის ბეჭდებსაც, რომელთაც იშვიათად დაბრტყელებულ ფარაქზე ამოკრილი აქვს ინტალიო. ამ მხრივ საყურადღებო 1938 წელს გათხრილ მე-17 ქვისსამარჩში აღმოჩენილი მთის ბროლის ბეჭდი, რომელზედაც ბიზანტიური მონოგრამაა ამოკვეთილი. ამ უკანასკნელს მ. მაქსიმოვა V—VI სს. ათარიღებს. მეტწილად კი ასეთ ბეჭდებზე არავითარი გამოხატულება არ არის ხოლმე და ეს უკანასკნელები, ჩანს, უფრო გვიანდელია. ისინა არაერთგზის გვხვდება ზემოაღწერილი ტიპის სანელსაცეცხლეებთან ერთად.

მსგავსი ბეჭდები აღმოჩენილია აგრეთვე ნავთსაღენში, არმაზისხევში, რუსთავში და უკლაბლივ ყველა — გვიანდელ სამარხებში. მ. ივაშჩენკო რესთავის ქვისსამარხებში აღმოჩენილ ასეთ ბეჭდებს ზოგადად „საშუალო საუკუნეებს“ აკუთხნებს; ბ. კუჭტინი წალკაში მოპოვებულ ბეჭდებს ათარიღებს უფრო დანამდვილებით, V—VII საუკუნეებით, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სამთავროში ერთი ასეთი ბეჭდები აღმოჩენილია არაბული მონეტის შემცველ 363-ე ქვისსამარხში (იხ. სურ. 38).

ყოველივე ზემთქმული კი, უფრისრომთ, ნებას გვაძლევს, რომ ამ ბეჭდებთან ერთად მოპოვებული მინის ჭურჭელიც ამავე დროით —VI—VIII სს. დავთარიღოთ.

ჩვენ მიერ გამოყოფილ VI—VIII სს. მინის ჭურჭლის თანმხლები ნივთების

¹⁸⁰ Б. Կ უ ფ თ ი հ, დასახ. ნაშრ.



ბილი აღსანიშნავია კიდევ სამაჭურებები. მათი უმეტესობა რკინისაა და ამჟამად დაქანგული და დამტკრეულია. შედარებით კარგად დაცული სამა-შემოწმებული ჯურებიდან საყურადღებოა: მრგვალგანივევეთანი მათულის, მრგვალი აშენდა რკინისა და მაჭურებით კარგად დაცული სამაჭურები მათიან ერთად მოპოვებული ფულის მიხედვით; 685-ე ქვისსამარხში ზემოაღწერილ სამაჭურს თან ახლავს ლეონ I-ის ორი მონეტა; 363-ე ქვისსამარხში კი — VIII საუკუნის არაბული ფერი.

ბრინჯოს სამაჭურები შედარებით უფრო იშვიათია. მათ უმეტესად აქვთ ოდნავ დაბრტყელებული განივევთი, ოვალური ან მრგვალი მოყვანილობა და ბოლოზე გადასული ბოლო. საყურადღებოა აგრეთვე 1938 წელს 224-ე ქვის-სამარხში მოპოვებული სამაჭური, რომლის დაბრტყელებულ პირზე ადამიანის სახეა გამოხატული. ეს სამაჭური თან ახლავს ჩვენ მიერ გამოყოფილი XX და XXI ტიპების სანელოსცხებლეებს.

საყურადღებული შემოძიები უკლიერი მრგვალი, ან ოვალურია, წვრილმართულოვანი, სადა და პირზე უკვერელი (იხ. II ტაბულა). ხშირად სადა, წვრილმავთულოვანს და პირზე უკვერელ საყურებს ქვემოდან მირჩილული აქვს თითო ან სამი-ოთხი ბურთულა, ერთ შემთხვევაში კი — პაწია უკნიანი მარგალიტის მძივიც (იხ. II ტაბულა). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1946 წელს გათხრილი 619-ე, ლეონ I-ის მონეტისა და არაბული ფერის შემცველ ქვისსამარხში აღმოჩენილი საყურე (იხ. სურ. 39), რომელიც დიდ მსგავსებას იჩინს ჩვენ მიერ IV—V სს., დათარილებულ სამარხებში აღმოჩენილ საყურებთან (იხ. I ტაბულა). საყურის ძირითად შემაღვეველ ნაწილს წარმოადგენს მრგვალგანივევეთანი მავთულისაგან გაკეთებული პირსნილი რელიეფი, ზედ მირჩილულია ყუნწი, ხოლო ამ უკანასკნელში გაყრილია უკნიანი ლერაკა, რომელზედაც აცმულია პასტის მძივი (ამჟამად დაშლილია). საყურე IV—V სს. მსგავსი მოყვანილობის საყურებთან შედარებით დიდი და ტანანერია. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საერთოდ მცხოვრილი საყურის ეს ფორმა საკმაოდ სტაბილურია: მათ შემცველ სამარხთა შორის უძველესია არმაზისხევის შე-2 სამარხი, რომელიც ვალერიანეს (253—260 წწ.) მონეტით თარიღდება III საუკუნით, ხოლო უაბლოესია სამთავროს 619-ე სამარხი, რომელშიც არაბული VIII საუკუნის ფულია. ლითონის სამკაულებიდან საყურადღებოა აგრეთვე აბზინდები და ბალტიკის შესაკრავი აბზინდები და სარტყლის შესაკრავი ბალტიკი¹⁸¹. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული აბზინდები და ბალტები ნაირ-ნაირი მოყვანილობისაა (იხ. II ტაბულა). ასეთივე საკნენი მოპოვებულია არმაზისხევისა და რუსთავის გვიანდელ ქვისსამარხშიც. ხაზგასამელია, რომ ეს აბზინდები დიდ მსგავსებას იჩინს ჩრდილო კავკასიში გათხრილ, ე. წ. ალანთა სამარხებში აღმოჩენილ აბზინდებთან, და სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ისინი ჩვენში ჩრდილო კავკასიიდან იყოს შემოტანილი: საკვლევ ხანაში საქართველოსა და ჩრდილო

¹⁸¹ М. Иващенко, Назначение некоторых предметов, найденных в Самтавре, № 5. Известия Академии наук Грузинской ССР, № 1, 1946.

გაეკასიას შორის გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჩანს და, კერძოდ, სამეულებიც (საკინძები, მშვილ-საკინძები) და მინის ჰურქელუქროვიული საქართველოდან სხვა მრავალ მზა ნაწარმს შორის, ჩრდილო კავკაში ტყების როგორც ითქვა, VI—VIII სს. სამარხეულ, ანვენტარი მეტწილად სამეულითაა წარმოდგენილი და სხვა საგნგმი მხოლოდ იშვიათ გამონაკლისს წარმოაღენს. ეს არის რკინის ითოო-ოროლა ცალპირა დანა და მოზრდილი ისრის წვერი (იხ. II ტბდულა).

დასასრულ განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოგანხილული შენის ჰურქელი, ისევე როგორც მისი თანხმელები ნივთები— საკინძები, მშვილდსაკინძები, ბეჭდები, სამაჯურები და სხვ. — მათთან ერთად ნამოვნი მონეტების მიხედვით ღრმის გარკვეული მონაკვეთით, VI—VIII საუკუნეებით თარიღდება.

II და III თავებში განხილული სამარხები და მათში დაცული ნივთები — ისუე როგორც საერთოდ სამარხეული ინვენტარი — მეტად ცალმხრივ წარმოდგენს გვიქმნიან სათანადო ღრმის ნივთიერი კულტურის ისტორიის შესახებ, რადგან ჩვენ ხელთ არსებული მასალა, უმთავრესად სხეულისა და ტანსაცმლის მოსართავი საგნგმითა და მინის ჰურქლით ამოიწურება. მაგრამ მათი შესწავლა მაიც საშუალებას გვაძლევს მაშინდელი ქართლის მოსახლეობის ყოფაში მომხდარი ზოგიერთი ცვლილება დავინახოთ და გავავლით. ზოგ სხვა დიდ ცვლილებასთან ერთად (ქართლის გაქრისტიანება სიახლე ტანისმოსისა და სამკაულის რაგვარობაში) შეიმჩნევა ცვლილება თვით სავანთა წარმომავლობაში: თანდათან ქრემა უცხოური ფორმები და იგრძნობა მისრაცყება საკუთარის ძიებისაკენ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება IV—V სს. სამარხეულ ინვენტარში. მასში ჭერ კიდევ ვხედავთ შემოზღულ (სირიულ, ბიზანტიურ და ოსამულ) ნივთებს, ან ფორმით მთ მინაბაძებს, მაგრამ წინა საუკუნეებთან (I—III სს.) შედარებით ეს მოვლენა შევი გაცილებით უფრო სუსტად არის გამოხატული.

IV—V საუკუნეთა ინვენტარის ძირითადი თავისებურება ხავანთა და კერძოდ მინის ჰურქლის ფორმისა და მინის ხარისხის მრავალუროვნებაში გამოიხატება, რის გამოც ეს საუკუნეები ფორმათა ძიების ხანად წარმოგვიღება. აქ ფორმების ძიება ჩანს არა მარტო მინის ჰურქელში, არამედ სხვა ნივთებშიც (მშვილდსაკინძები, საკინძები, ბეჭდები და სხვ.).

VI—VIII სს. სამარხებში დაცული ნივთები წინა პერიოდის ნივთებისაგან გამოიჩენა ჩამოყალიბებული და დასრულებული ფორმებით, რაც გამოხატება თუნდაც იმაში, რომ მინის ჰურქლის მხოლოდ სამი ძირითადი ტიპი გვაქვს.

VI—VIII სს. ფორმათა ერთფეროვნება შეიმჩნევა სამარხეული ინვენტარის სხვა გრუფებშიც (საკინძები, მშვილდსაკინძები, ბეჭდები და სხვ.). ეს იმაა როდი ნიშნავს, რომ სამი საუკუნის მანძილზე მათი ყველა ფორმა უცვლელი ჩნდება. პირიქით, ისინი დანამდვილებით განიცდიან ერთგვარ სახეცვლის, მაგრამ სამარხეული ინვენტარის ნომენკლატურაში არსებითი სიახლე შაინც არ ჩანს.

ისიც საყურადღებოა, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხებში მოპოვებული, VI—VIII საუკუნეთა არქეოლოგიური მასალა ყველგან შეიცავს ერთომეორის ჟელმიწევნოთ მსგავს ფორმებს. ეს ეხება შიდა ქართლს (მცხეთა-სამთარო, კარსანი, არმაზისისევი, მარტოზახევი, ურბინისი, კასაი, გორი და სხვ.),



ქვემო ქართლს (წალკის სამაროვნები), კახეთში (კაჭრეთი და სართიჭალა), კუშეთა (რუსთავი) თუ ერწოს (თრანი)¹⁸² გათხრილ სამაროვნებს.

ეს კი იმას მთასწავებს, რომ საქართველოს აღნიშვნული კუთხები კულტურულად ერთი-მეორისაგან მოწყვეტილი სულაც არა ყოფილა და თან ვერ ვიმს-ჯელებთ დაკრძალვის წესის, სამაულისა თუ ნივთიერი კულტურის სხვა ელე-მენტების ცალ-ცალკე, განსაკუთრებული გზებით განვითარების შესახებ.

თავი გაოთხე

IV—VIII საუკუნეთა ჩართლური მინის ზარმომების ტექნიკური გილდიანი სამართლების

ზემოთ ვანხილული მინის კურპლის ადგილობრივის საკითხის გადაწყვეტილისათვის მინიშვნელოვანია აგრეთვე მინის ქიმიური შემაღებელობის გარკვევა. ამ მიზნით გაკეთებულია სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ოცდა-ხუთი კურპლის ანალიზი. შერჩეულ ნიმუშთაგან ცხრა I—III საუკუნეებს ეკუთხის, ცხრა IV—V სს., ხოლო შედეგი VI—VIII სს.

I—III საუკუნეთა მინის კურპლის უმეტესად ცისფერი, უფრო კი მოკისფრო-მომწვანო ან უფერული მინისაგან არის ნაკეთები. მაგრამ გვხვდება აგრეთვე ფერადი მინისაც: ლურჯი, ლვინისფერი, მწვანე, ვარდისფერი და სხვა¹⁸³.

IV—V საუკუნეთა მინის კურპლის უმეტესობა მომწვანო-მოყვითალო მინისაგან არის ნაკეთები და იშვათია ფერადი (ლურჯი, იოდისფერი, ლია მწვანე). საერთოდ, წინა ქრონოლოგიური ჭილადის კურპლის შედარებით მინა უფრო ერთგვაროვანია.

რაც შეეხება VI—VIII საუკუნეების მრავალრიცხოვან მინის კურპლებს, იგი თითქმის უკლებლივ ლია მწვანეა, რაც გარკვეულ სპეციფიკურობას ანიჭებს ამ ქრონოლოგიურ გვუფს. მინა შედგენილობით ძლიერ ჰგავს ერთი-მეორეს და ამიტომ ამ გვუფიდან საანალიზოდ შერჩეულ იქნა მხოლოდ შვილი ნიმუში (იხ. ანალიზთა ცხრილი).

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ სამივე გვუფში მინა მეტ-ნაკლებად გამოფიტულია.

